პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
23 დეკემბერი ორშაბათი 2013
№299 (14 215) ფასი 80 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვინ არის 2013 წლის საუკეთესო სპორტსმენი

### არჩევანი თქვენზეა

წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად ლელომ გულშემატკივართა ტრადიციული გამოკითხვა დაიწყო

დაწვრილებით 11

# საჩხერული სიხარული

## ჩიხურამ დინამო დაამარცხა და სუპერთასი აიღო



სუპერთასის გამარჯვებული საჩხერის ჩიხურა გახდა

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო



## ბაიერნი, ცა და კასაბლანკა, დედამიწა

მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი 9

## დერბი ინტერმა მოიგო



ევროფეხბურთი 5-9

ლეგიონის უქმეები 4

## პერ გამი ბერლინელებს

კობიაშვილმა შეუცვლელად ითამაშა

## ბორუსია დორტმუნდში შერცხვა



უკანასკნელი საათს

## პასარელა დაიჭირეს

არგენტინაში სკანდალი მძვინვარებს. დაპატიმრებულია მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1978, 1986), ქვეყნის ნაკრების ექსკაპიტანი და „ალბისელესტეს" ყოფილი მწვრთნელი, ლეგენდარული ცენტრალური მცველი **დანიელ პასარელა**. საქმე ეხება ნახევარი წლის წინ დაწყებულ გამოძიებას, რომელიც „რივერ პლეიტის" (პასარელა ამ კლუბის ყოფილი პრეზიდენტიცაა) „მონუმენტალზე" ყალბი ბილეთებით ვაჭრობასა და სხვადასხვა მაქინაციაში იყო ჩართული. გამოძიებით დადგინდა, რომ მსგავს ქმედებებს ადგილი ჰქონდა „მილიონარიოსში" სწორედ პასარელას ხელმძღვანელობისას, რითაც თავადაც ითბობდა ხელს. სკანდალში „რივერის" სხვა ყოფილი მაღალჩინოსნებიც არიან გარეულნი.



შაბათობით! ლელო week

22.12. თბილისი. მ. მესხი.
2 500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| დინამო (თბ) | 0 |
| ჩიხურა | 1 |

0:1 ტატანაშვილი (59)

| დინამო 4-4-2 | ჩიხურა 4-3-3 |
|---|---|
| ლორია | სომხიშვილი |
| ხურცილავა | ოდიკაძე |
| კვარაცხელია | ლომაშვილი |
| გველესიანი | რეხვიაშვილი |
| კვირკველია | კაშია |
| გოგა | ბეჟვაია |
| ხმალაძე | დათუნაიშვილი |
| პაპავა | ჯილაური |
| მერებაშვილი | გაბედავა |
| დვალი | დეკანოიძე |
| ჩისკო | ტატანაშვილი |
| მწვრთნელი მ. ჟვანია | მწვრთნელი ს. ფრუიძე |

**ჩიხურა**

83. დეკანოიძე - **ნ. კვასხვაძე**
87. ჯილაური - **ლ. ქელიძე**
90. დათუნაიშვილი - **ქიმაძე**

*სათადარიგო: თევდორაძე, ივანიშვილი, გოგატიშვილი, ჩიკვაიძე*

**დინამო**

62. მერებაშვილი - **გლიშიჩი**
73. გოგა - **ვუო**

*სათადარიგო: ზარქუა, სეთურიძე, ლექვთაძე, შაშიაშვილი, ძარია*

გაფრთხილება: გოგა (27), გაბედავა (58)

არბიტრი: ლ. სილაგავა

# ჩიხურამ დინამოს დაუტაქტანა

საჩხერის „ჩიხურამ გუშინ პირველი ტიტული მოიპოვა. სუპერთასით ვერ გახვალ ევროსარბიელზე და ვერც იმდენ ფულს მოინაგრებ, რომ კლუბის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი, მაგრამ ამ ფაქტორებზე უფრო გუშინ სხვა რამეში იყო საქმე - სუპერთასი პერიფერიის გუნდმა ასწია და იქნებ, ამას ისიც მოჰყვეს, რომ „ჩიხურა" უფრო მსუყედ დააფინანსონ, საჩხერეში საფეხბურთო კერა კიდევ უფრო გაღვივდეს და გუნდმა სუპერთასზე უფრო სერიოზული მიზნებისთვის იბრძოლოს.

გუშინ თბილისის „დინამოს" რომ მოეგო, ეს არავის არ გაუკვირდებოდა, ტიტულების კოლექციას ერთ თასსაც მიუმატებდა, თუმცა გუშინდელ შეხვედრას „დინამოსთვისაც" ჰქონდა სხვა, განსაკუთრებული მნიშვნელობა - გუნდს ახალი მწვრთნელი ჰყავს და საკუთარი თავის დასამკვიდრებლად ტიტულის მოგება ძალიან სჭირდებოდა...

„ჩიხურას" ნახევარი ყოფილი დინამოელებითაა დაკომპლექტებული - ცხადია, ეს ფაქტორი ფეხბურთელებს მოტივაციას კიდევ უფრო ულვივებდა. გუნდმა, რომელიც უმაღლეს ლიგაში მეორე სეზონს თამაშობს, წლეულს ევროსარბიელზე ითამაშა და სუპერთასით საახალწლო საჩუქარიც გაიმზადა.

მატჩის გმირი **დიმიტრი ტატანაშვილი** გახდა, მიმდინარე ჩემპიონატის მთავარმეგოლე, ვინც **დავით ოდიკაძის** კუთხურს შორეულ ძელთან ჩაუსაფრდა და **ვაჟა ლომაშვილის** პასს ახლოდან ზუსტი დარტყმა მიაყოლა.

იყო არასასიამოვნო ინციდენტიც. „ჩიხურას" გულშემატკივრების მიერ გა-



გამარჯვების გოლი დიმიტრი ტატანაშვილმა გაიტანა — თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

მოფენილ ტრანსპარანტს მავანი შესწვდა, ჩამოგლეჯა დაუპირა და ტრიბუნიდან გადმოვარდა, ტრავმა სერიოზული გამოდგა - სავარაუდოდ, ფეხის მოტეხილობა, - გვითხრა დაცვის ერთ-ერთმა თანამშრომელმა.

თამაშს რაც შეეხება, პირველი წუთები „დინამოსი" იყო. **გიორგი მერებაშვილის** დარტყმა მეკარე **გიორგი სომხიშვილმა** უპრობლემოდ მოიგერია.

მერე **ჩისკო**, ფაქტობრივად, პირისპირ დარჩა საჩხერელთა მეკარესთან, მაგრამ მასთან მიახლოებას დარტყმა არჩია და ბურთი ხარიხას გადააცილა.

სომხიშვილმა მოიგერია **დორინ გოგას** საჯარიმო დარტყმაც, რომელსაც ჩისკო ამატებდა, მაგრამ მიზანი ვერ გაისწორა.

„ჩიხურამაც" შექმნა სახიფათო მომენტი - **გიორგი გაბედავა** „დინამოს" კარიდან 7-8 მეტრში აღმოჩნდა და მის დარტყმას **გიორგი გველესიანი** გადაეფარა.

პირველი ტაიმის შუაწელიდან „ჩიხურამ" თამაში გამოაკეთა, მეტოქეზე უფრო დალაგებულად და აზრიანად აგორებდა ბურთს.

შესვენების შემდეგ **სოსო ფრუიძის** გუნდი უფრო შლეგი და შეუპოვარი ჩანდა. საჩხერელებმა აგრესიას მოუმატეს. **გიორგი დათუნაიშვილის** დარტყმა **გიორგი ლორიამ** მოიგერია, კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს კი ლომაშვილმა უთავაზა თავური, მაგრამ დარტყმა ძლიერი ვერ გამოვიდა.

ტატანაშვილის გოლის შემდეგ თამაში უკეთესი სანახავი გახდა, ტემპი გაიზარდა, ბრძოლის ჟინიც თითქოს გაორმაგდა. ცხადია, „დინამოს" მარცხთან შეგუება არ უნდოდა, „ჩიხურა" კი პირველ ტიტულს უახლოვდებოდა - დაახლოებით 10-წუთიანი მონაკვეთი მართლაც თვალსასეირო გამოდგა, დეკემბრის სუსხსა და ქარს დაგავიწყებდათ.

კონტრშეტევაზე, **ჯაბა ჯილაურის** პასის შემდეგ, გაბედავა მარცხნიდან შეიჭრა „დინამოს" საჯარიმოში, მაგრამ ბურთი მარჯვენა ფეხზე ვერ მოიჯინა, ცაციათი კი უხეიროდ დაარტყა და ლორიამ ხიფათი იოლად გააუვნებლა.

**მალხაზ ჟვანიამ** მერებაშვილი **დარკო გლიშიჩით** შეცვალა. გლიშიჩი მერებაშვილზე უკეთესი დრიბლიორი ნამდვილად ვერ არის და ფლანგური ჩაწოდებებით ცდილობდა „ჩიხურას" საჯარიმოში ხიფათის შექმნას. შეცვლამ ვერ გაამართლა.

**დავით ხურცილავამ** გარე ტერფით ძალიან სახიფათოდ დაარტყა და სომხიშვილმა ერთხელაც იმარჯვა.

მატჩის მიწურულს შეტევაში გადასულ **გივი კვარაცხელიას** ჰქონდა ანგარიშის გათანაბრების შანსი, მაგრამ ახლო მანძილიდან ძლიერად ვერ დაარტყა.

თასი საჩხერეში წავიდა...



საჩხერის ჩიხურა პირველ ტიტულს ზეიმობს — თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

### მატჩის შემდეგ

მალხაზ ჟვანია (დინამოს მწვრთნელი): **„მოწინააღმდეგეს გამარჯვებას ვულოცავ. კარგი თამაში გამოვიდა - ტემპიანი და სანახაობრივი. პირველ ტაიმში ბევრი მომენტი ვერ გამოვიყენეთ და როცა ასე ხდება, მერე აქეთ ილებ გოლს... ვცადეთ სიტუაციის გამოსწორება, მაგრამ გოლი ვერ გავიტანეთ. დაღლა არაფერ შუაშია, უბრალოდ, სწორად ვერ განვახორციელეთ შეტევები".**

სოსო ფრუიძე (ჩიხურას მწვრთნელი): **„მატჩის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე ხუმრობით ვთქვი - „დინამოსთან" იმდენჯერ წავაგეთ, ახლა აუცილებლად მოვიგებთ-მეთქი. ეს წარმატება მეტი სტიმული იქნება საჩხერისთვის, სადაც ფეხბურთში ფული იხარჯება. მატჩის დასაწყისი ჩვენთვის რთული გამოდგა, „დინამომ" გარკვეული გადაადგილებები განახორციელა და ამისთვის უცბად ალღოს ალება გაგვიჭირდა".**

დავით თავართქილაძე

● *მოსალოდნელი ტრანსფერი*

# ჯანელიძე დინამოში?

## ვიტ ჯორჯიადან ლიდერები მიდიან

საშემოდგომო ეტაპი „ვიტ ჯორჯიამ" დამაჯერებლად დაასრულა. გუნდმა, რომელიც სეზონის დასაწყისში სიმპათიას ვერ იწვევდა, ბოლო ტურებში საკმაოდ გამართული, ლამაზი და, რაც მთავარია, შედეგიანი ფეხბურთი აჩვენა, შესაბამისად, საუკეთესო ექვსეულში მოხვედრის შანსიც გაიზარდა.

მაგრამ, შესაძლოა, საგაზაფხულო ეტაპისთვის გუნდი განახლდეს. როგორც შევიტყვეთ, „ვიტ ჯორჯიას" ლიდერებს კლუბთან კონტრაქტები დაუმთავრდათ. ამ სიაში არიან **გიორგი ჯანელიძე, გურამ ადამაძე, ლაშა კასრაძე, გიორგი კორიფაძე.** ისინი, სავარაუდოდ, კლუბს დატოვებენ. ეს, ნაწილობრივ, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ზურაბ ბერიძემაც** დაგვიდასტურა:

*„დიახ, ასეა, მაგრამ დავაზუსტებ, რომ კონტრაქტები უმთავრდებათ გიორგი ჯანელიძეს და გურამ ადამაძეს. ასეთივე ვითარებაა გიორგი კორიფაძის შემთხვევაშიც, მაგრამ მას დაველაპარაკებით და თუ ფინანსები გამოჩნდება, შესაძლოა, არა მხოლოდ ის დავტოვოთ, სხვებიც მოვიწვიოთ. პირადად მე, მაქვს იმედი, რომ ვითარება უკეთესობისკენ შეიცვლება და „ვიტ ჯორჯია" აღორძინდება".*

ინფორმაცია **ლაშა კასრაძემაც** დაგვიდასტურა: *„უცხოეთში წასვლა მსურდა და ეს „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტ გურამ რუხაძეს რომ ვუთხარი, ადამიანურად გამიგო, მითხრა, რომ მზადაა, კონტრაქტი განწყვიტოს და გამიშვას. ახლა წინადადებას ველოდები - არის შემოთავაზება აზერბაიჯანიდან, რაღაც ვარიანტი საქართველოშიც არის. მაგრამ ჩემი ტრანსფერი ჯერ გადაწყვეტილი არ არის და ნაჩქარევ განცხადებებს მოვერიდები".*

სანდო წყარომ გვითხრა, რომ თბილისის „დინამოს" „ვიტ ჯორჯიას" 21 წლის თავდამსხმელის **ელგუჯა ლობჯანიძის** მიმართ ინტერესი არ განელებია და მოლაპარაკება კვლავ მიმდინარეობს. თუმცა ამ ცნობას მხარეები ჯერ არ ადასტურებენ.

ამავე დროს თბილისის „დინამო" დაინტერესებულია ვეტერინართა ლიდერის, 24 წლის შემტევი ნახევარმცველის **გიორგი ჯანელიძი**თაც, რასაც თავად ფეხბურთელიც ადასტურებს:

- დიახ, "ვიტ ჯორჯიასთან" კონტრაქტი დამიმთავრდა. თუ რომელ გუნდში გადავალ, ამას მალე გაიგებთ.

**- შევიტყვეთ, რომ თქვენით თბილისის „დინამო" დაინტერესდა...**

- რა გითხრათ... ლაპარაკი არის. აზერბაიჯანის ვარიანტი იყო, მაგრამ იქ წასვლას საქართველოს ყველაზე პოპულარულ გუნდში თამაში მირჩევნია. თუმცა ჯერ ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. იოლი გუნდისა და იოლი ცხოვრების ძიება არც მიცდია. ფეხბურთის თამაში თუ გინდა, ასეთ გუნდში გადასვლა სჯობია და სირთულეებიც უნდა გადალახო. რაც უნდა მოხდეს, „ვიტ ჯორჯიამ" ბევრი შემძინა და ამ კლუბს წარმატება მინდა ვუსურვო.

მერაბ მამულაშვილი



გიორგი ჯანელიძე (მარჯვენა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დასრულდა...

ესეც ასე - ჩემპიონატის პირველი ეტაპი დამთავრდა! სამწუხაროდ, უამინდობის გამო ერთი მატჩის („ზესტაფონი"-"სპარტაკი") ჩატარება ვერ მოხერხდა, თორემ, დანარჩენი ყველაფერი კალენდრის გათვალისწინებით წარიმართა. თანაც, შეგახსენებთ, რომ წინა სეზონისგან განსხვავებით, XXV ჩემპიონატის პირველი ეტაპი ზამთრის პაუზამდე არ დასრულებულა - ზემოთ ნახსენები ის ერთი გადადებული მატჩი პლუს ოთხი ტური 2014 წლის თებერვალ-მარტში გაიმართება.

ჰოდა, სწორედ მაშინ დაკომპლექტდება კიდეც საბოლოოდ ზედა და ქვედა ექვსეულებად; თუმცა, ამის მიუხედავად, 10 აგვისტოდან 19 დეკემბრამდე ჩატარებულ პერიოდს მაინც შევაფასებთ და შევაჯამებთ, ტრადიციულად, ნომინანტებსაც დავასახელებთ და ასე შემდეგ. მაგრამ, ვიდრე ამ საშუალედო ეტაპის რჩეულებს წარმოგიდგენდეთ, მანამდე 2013 წლის ბოლო ტურზე უნდა ვისაუბროთ.

ზედა ექვსეულში მოხვედრის შანსი კიდევ ერთ გუნდს გაუჩნდა, კიდევ ერთმა გუნდმა ზედიზედ მეორე მოგების შემდეგ საგრძნობლად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა, ერთ გუნდში ოფიციალურად დაადასტურეს მთავარი მწვრთნელის გათავისუფლების ამბავი, კიდევ ორ გუნდში მოსალოდნელ სამწვრთნელო გადაადგილებების შესახებ კი ქართული საფეხბურთო საზოგადოება უახლოეს დღეებში შეიტყობს...

## სამსაჯო საკითხი

პირველი ეტაპის ბოლო ტურის ექვსი მატჩიდან მხოლოდ ორი („მერანი"-„დინამო", „ვიტ ჯორჯია"-"ტორპედო") შეხვედრა ჩამთავრდა ისე, მსაჯების მიმართ საჯარო პრეტენზიები რომ არ ყოფილა. თუმცა, ეს ხომ არახალი ამბავია: ჩვენთან ლამის არის წესად იქცა ნებისმიერი წარუმატებლობ(ებ)ის არბიტრებზე გადაბრალება!

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ხშირ შემთხვევაში ქართველი მსაჯები მართლაც უშვებენ ისეთ შეცდომებს (გვინდა დავიჯეროთ, უნებლიედ), კონკრეტული მატჩის შედეგზეც რომ გავლენას ახდენს. საერთოდ, მსაჯების შეფასება შესაბამისი ორგანოს კომპეტენციაა, მაგრამ ნამეტნავად რომ მომრავლდა ეს პრეტენზიებია, ამას, ალბათ, ვერავინ უარყოფს.

აი, ახლაც, ერთ-ერთ მატჩში მასპინძელთა ქომაგები აღშფოთდნენ მათ კარში დანიშნული პენალტის გამო, მეორედან სტუმართა წარმომადგენლები მიიჩნევდნენ, რომ არბიტრი ტენდენციურად სჯიდა, მესამეგან იმას მიიჩნევდნენ, რომ ფეხბურთელი მოედნიდან სულ ტყუილად გააძევეს, მეოთხეგან არდადებულ პენალტ(ებ) წუხდნენ და ასე შემდეგ. იმედი დავიტოვოთ, რომ 2014 წელს ამ მხრივ სიტუაცია რადიკალურად შეიცვლება; ოღონდ, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მთავარია... ჩემპიონატი გაგრძელდეს!..

## ზამთრის ჩემპიონი

ბოლო ტურის წინ ისეთი სატურნირო სიტუაცია იყო, რომ როგორც არ უნდა განვითარებულიყო მოვლენები, „ზამთრის ჩემპიონის" არაოფიციალურ ტიტულს თბილისის „დინამო" დაეუფლებოდა. თუმცა, ჩემპიონმა და ლიდერმა საკუთარ თავს ზედიზედ ორჯერ ნაფორხილების უფლება არ მისცა და წელინადი ჩემპიონატში გამარჯვებით დაამთავრა.

„დინამოს" მთავარი მწვრთნელის რანგში მეორე მატჩი მოიგო **მალხაზ ჟვანიამ**, თანაც, იმ გუნდთან, სადაც ეს სეზონი დაიწყო და სადაც 7 სეზონის განმავლობაში მუშაობდა! ისე, კარგი ფაქტი მოხდა, როცა მარტვილის „მერანის" ქომაგებმა მალხაზ ჟვანიას ღვაწლი არ დაივიწყეს და ამჯერად უკვე მეტოქის თავკაცს ოვაცია მოუწყვეს.

„დინამომ" თითო ტაიმში თითო გოლი გაიტანა: 27 წლის **გიორგი მერებაშვილმა** ჩემპიონატში მეხუთედ ისახელა თავი, 22 წლის **დარკო გლიშიჩმა** კი - მეორედ; აღსანიშნავია, რომ გლიშიჩმა (ისე როგორც პირველ ჯერზე) ამჯერადაც შეცვლაზე შესულმა შეძლო თავის გამოჩენა, თანაც მოედანზე შესვლიდან... ერთ წუთში!

## დაუნდოველი ვეტერინარები

ბოლო ოთხ მატჩში სამი მოგება და ერთი ფრე - ამ წარმატებული სერიის შედეგად „ვიტ ჯორჯია" ზედა ექვსეულს მიუახლოვდა! **ზურაბ ბერიძის** გუნდმა წინა ტურში ყველა ხომ გააოცა, სტუმრად „დინამოს" რომ მოუგო, ამჯერად „ტორპედოს" კარში ხუთი უპასუხო გოლი გაიტანა! სხვათა შორის, ამ ჩემპიონატში უკვე მეორედ მოხდა, „ვიტ ჯორჯიამ" ხუთი ბურთი რომ გაიტანა (VIII ტურში „ვეტერინარებმა" „მეტალურგს" 5:2 მოუგო).

არადა, წინა სეზონში მხოლოდ ერთი თამაში მოიგეს დიდი ანგარიშით (სტუმრად „სიონი" 3:0 დაამარცხეს); ახლა იმას აღარ იკითხავთ, როდის შეძლო „ვიტ ჯორჯიამ" ერთი სეზონის განმავლობაში ხუთი ან მეტი ბურთის სხვაობით ორი მატჩის მოგება? როდის და 2006-07 წლების სეზონში, როცა **რამაზ მუმლაძის** თავკაცობით მოასპარეზე „ვეტერინარებში" ერთი-მეორეზე უკეთესი ფეხბურთელები თამაშობდნენ: **ნიკა გელაშვილი, დავით დიღმელაშვილი, გიორგი დათუნაიშვილი...**

აი, „ტორპედოს" დაღმასვლას კი ბოლო არ უჩანს: ბოლო ცხრა მატჩში გუნდმა რვა მატჩი წააგო!..

## ზუგდიდის აღმასვლა

ალბათ, ბევრს გაუკვირდა, როცა **გიორგი დარასელია** თითქმის განწირული „ზუგდიდის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა; თუმცა, ამ სპეციალისტის შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია და პირველი ტურის ფინიშზე მოპოვებული ზედიზედ ორი გამარჯვებაც ამას მოწმობს. თანაც, დარასელიას დამოძღვრილმა გუნდმა ამჯერად მედლების მოპოვების ერთ-ერთ კანდიდატს, „მეტალურგს" მოუგო და თუ გავითვალისწინებთ, რომ „ზუგდიდში" ერთობ სასიკეთო ძვრებია მოსალოდნელი, მეორე ეტაპზე აბსოლუტურად განსხვავებულ გუნდსაც ვიხილავთ;

აღსანიშნავია, რომ „ზუგდიდს" საშინაო მატჩი 31 აგვისტოს მერე არ ჰქონდა მოგებული.; ახლა კი გამარჯვების მომტანი ერთადერთი გოლი 29 წლის **შოთა ლომიამ** გაიტანა, ვინც წინა ტურში ორი საგოლე პასით გამოირჩა. „მეტალურგზე" კი მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ წამყვანი ფეხბურთელების ტრავმებისა თუ დისკვალიფიკაციის გამო გუნდი კვლავაც არაოპტიმალური შემადგენლობით ასპარეზობდა.

თუმცა, ისიც ფაქტია, რომ რუსთაველთა გუნდს, ალბათ, ბევრად უკეთ მოეთხოვება სტუმრად ასპარეზობა: პირველ ეტაპზე, ჩატარებულ 8 საგარეო მატჩში „მეტალურგმა" მხოლოდ 7 ქულა მოიპოვა...

**გია ტუხაშვილი**



ვიტ ჯორჯია-ტორპედო 5:0. ვეტერინარებმა პირველი ეტაპის დასკვნითი ნაწილი ალმავლობით ჩაატარეს

## ტურის სიმბოლური ნაკრები




### II ლიგა
### აღმოსავლეთი ზონა
#### XV ტური

| | |
|---|---|
| არაგვი-დინამო (ს) | 1:2 |
| იბერია-ივერია | 1:3 |
| ივერიონი-საქ. უნივერსიტეტი | 0:2 |
| ალაზანი-ბორჯომი | 2:4 |
| ფორვარდი-ლიახვი | 3:3 |
| გოლიადორი-მარკ სტარი | 2:2 |
| სასკო 2-დურუჯი | გადაიდო |
| რუსთავი-აბული | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორჯომი | 14 | 12 | 2 | 0 | 52-13 | 38 |
| 2. მარკ სტარი | 15 | 12 | 1 | 2 | 60-11 | 37 |
| 3. ლიახვი | 15 | 9 | 5 | 1 | 41-20 | 32 |
| 4. საქ. უნივერსიტ. | 15 | 9 | 4 | 2 | 47-21 | 31 |
| 5. ივერია | 15 | 9 | 2 | 4 | 38-23 | 39 |
| 6. გოლიადორი | 14 | 7 | 1 | 6 | 39-35 | 22 |
| 7. არაგვი | 15 | 5 | 6 | 4 | 33-27 | 21 |
| 8. დურუჯი | 14 | 6 | 1 | 7 | 22-27 | 19 |
| 9. აბული | 13 | 5 | 2 | 6 | 18-23 | 17 |
| 10. ივერიონი | 15 | 4 | 5 | 6 | 25-32 | 17 |
| 11. დინამო (ს) | 15 | 5 | 1 | 9 | 21-39 | 16 |
| 12. ალაზანი | 15 | 4 | 3 | 8 | 24-36 | 15 |
| 13. იბერია | 15 | 3 | 1 | 11 | 23-55 | 10 |
| 14. რუსთავი | 14 | 3 | 1 | 10 | 25-58 | 10 |
| 15. ფორვარდი | 14 | 2 | 3 | 9 | 17-39 | 9 |
| 16. სასკო 2 | 14 | 2 | 0 | 12 | 14-40 | 6 |

### დუბლების ჩემპიონატი
#### XVII-XVIII ტური

| | |
|---|---|
| ზესტაფონი-სპარტაკი | 0:4 |
| მეტალურგი-გურია | 5:0 |
| ტორპედო-ზუგდიდი | გადაიდო |
| სიონი-მერანი | გადაიდო |
| დილა-ჩიხურა | 3:3 |
| დინამო-ვიტ ჯორჯია | 4:2 |
| გურია-ზესტაფონი | 0:0 |
| ზუგდიდი-მეტალურგი | 4:3 |
| მერანი-დინამო | 1:2 |
| ვიტ ჯორჯია-ტორპედო | 3:3 |
| სპარტაკი-დილა | 4:1 |
| ჩიხურა-სიონი | 2:0 |

#### გამოტოვებული მატჩები
**23 დეკემბერი**

დილა-ზესტაფონი
გურია-ტორპედო

**24 დეკემბერი**

ჩიხურა-მერანი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტალურგი | 18 | 14 | 1 | 3 | 48-23 | 43 |
| 2. დინამო | 18 | 13 | 1 | 4 | 45-22 | 40 |
| 3. ზუგდიდი | 17 | 8 | 2 | 6 | 29-28 | 29 |
| 4. მერანი | 16 | 8 | 4 | 4 | 21-14 | 28 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 18 | 7 | 5 | 6 | 31-34 | 26 |
| 6. ჩიხურა | 17 | 6 | 5 | 6 | 27-22 | 23 |
| 7. ტორპედო | 16 | 6 | 4 | 6 | 32-23 | 22 |
| 8. სპარტაკი | 18 | 5 | 4 | 9 | 27-36 | 19 |
| 9. ზესტაფონი | 17 | 5 | 3 | 9 | 22-29 | 18 |
| 10. დილა | 17 | 5 | 3 | 9 | 27-36 | 18 |
| 11. სიონი | 16 | 4 | 3 | 9 | 17-33 | 15 |
| 12. გურია | 17 | 2 | 3 | 12 | 17-41 | 9 |

### ჭაბუკთა ლიგა
#### XV ტური. 1996/97 წ.დ.

| | |
|---|---|
| ნ. დინამო-ზესტაფონი | 2:0 |
| საბურთალო-სპარტაკი | 4:0 |
| მერანი-დინამო (თბ) | 2:9 |
| ვიტ ჯორჯია-სიონი | 1:3 |
| გურია-მეტალურგი | გადაიდო |
| 35-ე სს-დინამო (ბთ) | გადაიდო |
| დილა-ზუგდიდი | გადაიდო |
| ჩიხურა-ტორპედო | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტალურგი | 14 | 13 | 1 | 0 | 45-8 | 40 |
| 2. ტორპედო | 14 | 9 | 4 | 1 | 28-13 | 31 |
| 3. დინამო (თბ) | 15 | 9 | 2 | 4 | 36-16 | 29 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 15 | 8 | 4 | 3 | 33-22 | 28 |
| 5. დილა | 14 | 7 | 5 | 2 | 27-10 | 26 |
| 6. საბურთალო | 15 | 7 | 4 | 4 | 27-16 | 25 |
| 7. 35-ე სს | 14 | 7 | 2 | 5 | 26-20 | 23 |
| 8. დინამო (ბთ) | 14 | 7 | 2 | 5 | 27-24 | 23 |
| 9. სიონი | 15 | 6 | 1 | 8 | 27-31 | 19 |
| 10. მერანი | 15 | 6 | 1 | 8 | 18-34 | 19 |
| 11. ნ. დინამო | 15 | 4 | 3 | 8 | 22-31 | 15 |
| 12. სპარტაკი | 15 | 4 | 2 | 9 | 18-32 | 14 |
| 13. ზუგდიდი | 14 | 3 | 5 | 6 | 14-20 | 14 |
| 14. ზესტაფონი | 15 | 3 | 3 | 9 | 14-29 | 12 |
| 15. გურია | 14 | 2 | 1 | 11 | 4-40 | 7 |
| 16. ჩიხურა | 14 | 1 | 0 | 13 | 9-29 | 3 |

#### 1998/99 წ.დ.

| | |
|---|---|
| ნ. დინამო-ზესტაფონი | 1:1 |
| საბურთალო-სპარტაკი | 2:0 |
| ვიტ ჯორჯია-სიონი | 1:0 |
| ჩიხურა-ტორპედო | გადაიდო |
| დილა-ზუგდიდი | გადაიდო |
| მერანი-დინამო (თბ) | გადაიდო |
| გურია-მეტალურგი | გადაიდო |
| 35-ე სს-დინამო (ბთ) | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბურთალო | 15 | 11 | 4 | 0 | 45-4 | 37 |
| 2. დინამო (თბ) | 14 | 11 | 2 | 1 | 49-8 | 35 |
| 3. 35-ე სს | 14 | 10 | 1 | 3 | 30-16 | 31 |
| 4. დილა | 14 | 8 | 1 | 5 | 21-15 | 27 |
| 5. ტორპედო | 14 | 8 | 1 | 5 | 30-15 | 25 |
| 6. ზუგდიდი | 14 | 8 | 1 | 5 | 23-18 | 25 |
| 7. ვიტ ჯორჯია | 15 | 7 | 2 | 6 | 24-17 | 23 |
| 8. ნ. დინამო | 15 | 6 | 5 | 4 | 17-20 | 23 |
| 9. მეტალურგი | 14 | 6 | 3 | 5 | 19-20 | 21 |
| 10. დინამო (ბთ) | 14 | 5 | 2 | 7 | 13-17 | 17 |
| 11. სპარტაკი | 15 | 5 | 1 | 9 | 20-31 | 16 |
| 12. ზესტაფონი | 15 | 3 | 6 | 6 | 13-17 | 15 |
| 13. მერანი | 14 | 3 | 1 | 10 | 9-35 | 10 |
| 14. სიონი | 15 | 2 | 4 | 9 | 16-32 | 10 |
| 15. გურია | 14 | 2 | 1 | 11 | 7-51 | 7 |
| 16. ჩიხურა | 14 | 1 | 1 | 12 | 5-25 | 4 |

● საქართველოს თასი

# მეოთხედფინალისტები დაწყვილდნენ

საქართველოს თასის მეოთხედფინალისტების ვინაობა ოქტომბრის ბოლოს გაირკვა, აი, გუშინ კი, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში წილისყრა ჩატარდა. 8 გუნდი ასე დაწყვილდა:

**მეტალურგი (რუსთავი)-დინამო (თბილისი)**
**სიონი (ბოლნისი)-ჩიხურა (საჩხერე)**
**ტორპედო (ქუთაისი)-დილა (გორი)**
**შუქურა (ქობულეთი)-მერანი (მარტვილი)**

პირველი მატჩები 2014 წლის 22 თებერვალს გაიმართება, საპასუხო - 20 მარტს. 22 თებერვალს ჩატარდება აგრეთვე XVII ტურის გადადებული შეხვედრა „ზესტაფონსა" და „სპარტაკს" შორის, ხოლო ჩემპიონატის II ეტაპი 26 თებერვალს განახლდება.

მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის ფეხბურთის რეგიონული ფედერაციები სამძიმარს უცხადებენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომლებს ნარგიზა და კესარია ჩხიკვაძეებს დედის გარდაცვალების გამო.

● ზუგდიდი

# გიორგი დარასელია: კარგად ვიცოდი, საით მივდიოდი და რა მინდოდა

## წიტაიშვილს გოლებით დაბრუნება სურს

„ზუგდიდის“ მთავარ მწვრთნელად გიორგი დარასელიას დანიშვნას გულშემატკივარი იმედით ელოდა - იქნებ, 44 წლის გამოცდილ სპეციალისტს მაინც მოეხერხებინა გუნდის მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანა. თუმცა, „ზუგდიდს“ თავიდან ვერაფერი მოუხერხა - პირველ 4 შეხვედრაში მისმა განწრთნილებმა არათუ ვერ მოიგეს, ერთი კინკილა გოლიც ვერ გაიტანეს.

„ზუგდიდმა“ მდგომარეობა რადიკალურად ბოლო ორ ტურში გამოასწორა: გასვლაზე ქუთაისის „ტორპედოს“ 2:1 სძლია, შინ კი - რუსთავის „მეტალურგს“ (1:0) და გამოჩნდა, რომ გუნდს გაცილებით მეტი პოტენციალი აქვს, ვიდრე ეს სატურნირო მდგომარეობიდან ჩანს. დარასელია ამბობს, რომ ეს ყველაფერი ლოგიკურია.



გიორგი დარასელია

- ფეხბურთში იღბალი შემთხვევით არავის წყალობს. ქუთაისის „ტორპედოსთან“ იყო გადამწყვეტი მატჩი, სადაც გამოჩნდა, რომ საკმაოდ მძიმე და დაძაბულმა შრომამ შედეგი მოგვიტანა. დარწმუნებულიც ვიყავი, რომ ჩვენი დრო მოვიდოდა და ასეც მოხდა. ახლა მთავარია, ზამთრის მოსამზადებელი ეტაპი კარგად გამოვიყენოთ.

**- ბოლო მატჩებში 5 მცველით თამაშობდით. მეტისმეტად ფრთხილი ტაქტიკა ხომ არ არის?**

- ტაქტიკას მწვრთნელი ფეხბურთელებისა და მათი მდგომარეობის შესაბამისად არჩევს. მთავარია, ამ ტაქტიკამ გაამართლა. მისი დანიშნულება იყო, რომ მეტოქეს ჩვენი საჯარიმოს სიახლოვეს ბურთის გაგორების საშუალება არ ჰქონოდა და სწრაფი კონტრშეტევების ორგანიზება მოგვეხერხებინა. ამ დროს, ფლანგის მცველები ნახევარმცველების როლს ასრულებენ. ასე რომ, 5 მცველის დაყენება მხოლოდ დაცვაში თამაშს არ ნიშნავს.

**- ფეხბურთელები ფიზიკურად ძალიან ცუდად იყვნენ მომზადებულები, მაგრამ ბოლო მატჩებში გუნდი ამ კუთხით უკეთ გამოიყურებოდა.**

- ამ პრობლემის სრულად გამოსწორება შეუძლებელი იყო, რადგან ფიზმომზადებას სეზონის დაწყებამდე უყრიან საფუძველს. გუნდს სრულფასოვანი მომზადება არ გაუვლია და აქედან გამომდინარე, მდგომარეობა ლოგიკურიც იყო. არადა, სხვაგვარად თამაშების ნორმალურად ჩატარება შეუძლებელი იყო. ზუსტად დავთვალე - „ზუგდიდში“ სულ 18 ვარჯიში ჩავატარე და კარგად ვიცოდი, საით მივდიოდი და რა მინდოდა. ამ ვარჯიშების შედეგად, ფეხბურთელების მდგომარეობა უნდა გაუმჯობესებულიყო და ასეც მოხდა. ბოლო შეხვედრებში ბიჭები გაცილებით ბრძოლისუნარიანები ჩანდნენ და ბოლო ორი მატჩი მოვიგეთ კიდეც - ეს იმ დროს, როცა 31 აგვისტოს შემდეგ გამარჯვება ოცნებად იყო ქცეული. ფიზიკურ მომზადებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი სწორი მოძრაობაა, რომლითაც ენერგიის უაზროდ ხარჯვას თავიდან ვიცილებდით. იმედია, მეორე წრისთვის კარგად მოვემზადებით და გაზაფხულზე ძირითადი ეტაპის დარჩენილ 4 შეხვედრაში ქულათა მაქსიმუმის მოპოვებას შევძლებთ.

**- ეს ალბათ ფინანსებზეცაა დამოკიდებული. ჯერჯერობით კი უცნობია, რა ბიუჯეტი ექნება კლუბს 2014 წელს...**

- ფინანსებს მე არ ვეხები და ამაზე ზუსტ პასუხს ვერ გაგცემთ. ჩემი საქმე გუნდის მომზადებაა.

**- მაგრამ ბიუჯეტზეა დამოკიდებული, სად მოემზადებით და რა დონის მოთამაშეებს დაიმატებთ. ასე არ არის?**

- ამ საკითხზე კლუბის ხელმძღვანელობა მუშაობს და იმედია, 2014 წელს უკეთესი სამუშაო გარემო გვექნება. ნიჭიერი ბიჭები გვყავს და მათ ხელშეწყობა სჭირდებათ. თუ ასე მოხდა, „ზუგდიდი“ ბევრად უკეთეს ფეხბურთს ითამაშებს.

## წიტაიშვილის პირობა: 7 გოლი!

**16 დეკემბერს „ზუგდიდის“ მთავარი მწვრთნელის ასისტენტ კობა წიტაიშვილს 35 წელი შეუსრულდა. შეგახსენებთ, რომ წიტაიშვილმა აქტიურ ფეხბურთში დაბრუნება გადაწყვიტა და იქვე, „ზუგდიდის“ შემადგენლობაში აპირებს თამაშს.**

**დარასელიას მისვლამდე, წიტაიშვილი გუნდის მთავარი მწვრთნელი გახლდათ. მაგრამ გუნდში არსებულმა პრობლემებმა ამ ნაბიჯის გადადგმა აიძულა. წიტაიშვილი საერთო ჯგუფთან ერთად ემზადებოდა კიდეც. მართალია, ჰქონდა იმედი, რომ საშემოდგომო ეტაპის ბოლო ორ ტურში ითამაშებდა, მაგრამ ჩანს, ჯერ საამისოდ მზად არ არის. თუმცა იმედოვნებს, რომ ეს მეორე წრეში მოხდება.**

**- კობა, თამაში მოგენატრათ თუ რატომ გადაწყვიტეთ მოედანზე დაბრუნება?**

- თამაში რომ მომენატრა, ეს ერთია. კარიერის დასრულების შემდეგ ასეთი გრძნობა ყველა ფეხბურთელს უჩნდება. მაგრამ მთავარი ისაა, რომ „ზუგდიდს“ ყველანაირად უნდა დავეხმარო.

**- 3 წელია არ გითამაშიათ. ფორმის აღდგენა და წონის დაკლება არ გაგიჭირდებათ?**

- იოლი არ იქნება, მაგრამ წონის პრობლემა ძალიან არც მაწუხებდა და მეორეც - „ზუგდიდში“ ბიჭებთან ერთად ვვარჯიშობდი და ვგრძნობ, რომ მალე მოედანზე დაბრუნებასაც შევძლებ.

**- ახლა, ჩემპიონატის დონე დაბალია და, წესით, თამაში არ უნდა გაგიჭირდეთ.**

- ვერ ვიტყვი, რომ საქართველოში თამაში ადვილია. მოსამზადებელ შეკრებას რომ გავივლი, მზად მერე ვიქნები. იმას არ ვამტკიცებ, რომ სრულად ვითამაშებ, მოედანზე ბოლო 15-20 წუთი გავალ, გუნდთან ვიქნები და ბიჭებს სტიმულს მივცემ.

**- თქვენი აზრით, რამდენი გოლის გატანას შეძლებთ?**

- გულშემატკივარს ვპირდები, რომ თუ კარგად მოვემზადე, 15 შეხვედრაში 7 გოლს გავიტან.

**მერაბ მამულაშვილი**



კობა წიტაიშვილი

● ლეგიონის უქმეები

# უნივერსალი კობი

## დაცვის ცენტრში, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე შემტევი გუნდის წინააღმდეგ

**მორჩა, ყველა ქართველ ლეგიონერს დაუსრულდა სეზონის პირველი ნახევარი. მათი გუნდები ზამთრის შესვენებაზე გავიდნენ. ზოგი იანვრის შუაწელამდე დაისვენებს, ზოგი თებერვლამდე, ზოგიც მხოლოდ მარტიდან ჩაებმება ბატალიებში.**

### ხელიდან გაშვებული გამარჯვება

ჰოლანდიის ერედივიზიეს ლიდერი, ქართველთა „ვიტესი“ სტუმრად 2:0-ს უგებდა „ჰერაკლესს“, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და ქულები დაკარგა - 2:2. **პეტერ ბოშმა** თასზე მომხდარი ინციდენტის მიუხედავად, სასტარტოში დააყენა კაპიტანი **გურამ კაშია**, ასევე სასტარტოში იყო **ვაკო ყაზაიშვილი**, რომელიც 90-ე წუთზე **გიორგი ჭანტურიამ** შეცვალა. სტუმართაგან გოლები **ვან აანჰოლტმა** და **ლუკას პიაზონმა** გაიტანეს. „ვიტესს“ 37 ქულა აქვს.

### კობი: 90 წუთი და დამარცხებული დორტმუნდი!

2013 წლის ბოლო ტურის წინ ბერლინის „ჰერტას“ ქართველი ლეგიონერი **ლევან კობიაშვილი** ამბობდა, რომ მის გუნდს წლის დასრულება პოზიტიურად სურდა - დორტმუნდში „ბორუსიას“ ძლევით. ყველაფერი მართლაც ასე მოხდა - „ჰერტამ“ 2:1 მოიგო, ხოლო ლევანმა 90 წუთი ითამაშა! „ჰერტა“ 28 ქულით მე-6 ადგილზეა. 67-ე წუთზე მარცხენა ცენტრალურ მცველად მოთამაშე კობიაშვილმა ყვითელი ბარათი მიიღო.

II ბუნდესლიგაში „ფორტუნა“ ტრავმირებული **ლევან ყენიას** გარეშე თამაშობს. III ბუნდესლიგაში კი **ლუკას ჰუფნაგელის** „უნტერჰახინგი“ შინ 0:4 შერცხვა „რეგენსბურგთან“. ქართველი ნახევარმცველი სათადარიგო იყო. „უნტერჰახინგი“ ზამთრის პაუზაზე მე-10 ადგილზე გავიდა.

„შპორტალმა“ კობიაშვილის თამაში 3,5 ბალით შეაფასა: *„ვეტერანმა მისთვის უჩვეულო პოზიციაზე ითამაშა - დაცვის ცენტრში. თუმცა თავისი საქმე ძალიან კარგად შეასრულა, მოქმედებდა აკურატულად, ხოლო სიჩქარის ნაკლებობას კარგი პოზიციური თამაშით ანაზღაურებდა“.*



ლევან კობიაშვილი დორტმუნდთან ცენტრალურ მცველად მოგვევლინა

*„ეს იყო საუკეთესო საშობაო საჩუქარი ჩვენი ფანებისთვის. ძალიან ძლიერად ვითამაშეთ მას მერე, რაც მეტოქე დაწინაურდა. მეორე ტაიმი ფეხბურთს ნაკლებად ჰგავდა, მაგრამ ჩვენი მიზანი ნათელი იყო, გამარჯვების შენარჩუნება“,* - განაცხადა კობიმ, რომელმაც ბუნდესლიგაში 340-ე მატჩი ითამაშა.

### მჭედლიძე ზამთრის ჩემპიონია

სერია B-ს პირველი ნაწილი პირველ ადგილზე დაასრულა ქართველთა „ემპოლიმ“, რომელმაც სტუმრად „ნოვარას“ 1:0 სძლია. „ემპოლის“ 36 ქულა აქვს, ორით მეტი, ვიდრე მეორეადგილოსან „პალერმოს“. **ლევან მჭედლიძე** თამაშში 70-ე წუთზე ჩაერთო, ხოლო **ირაკლი შეყილაძე** ბოლომდე სათადარიგოთა სკამზე დარჩა. ერთადერთი გოლი **მასიმო მაკარონემ** მე-10 წუთზე გაიტანა.

### ...გელაშვილიც

აზერბაიჯანის ჩემპიონატში მე-18 ტურის მატჩები გაიმართა და 1 თებერვლამდე შესვენება გამოცხადდა. ერთი კვირის წინ, „სიმურგის“ პრეზიდენტმა მწვრთნელ **გიორგი ჩიხრაძეს** დარჩენილი ორი მატჩის მოგება მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი გათავისუფლებით დაემუქრა - ქართველმა მწვრთნელმა მოთხოვნა შეასრულა - 20 დეკემბერს მისმა გუნდმა სტუმრად „რავანი“ 3:0 გაანადგურა. „სიმურგმა“ 25 ქულით საშემოდგომო ეტაპი მე-6 ადგილზე დაასრულა.

დიდ ინტერესს იწვევდა დაპირისპირება ლიდერთა ჯგუფში „ყარაბახსა“ და „ინტერს“ შორის. მასპინძელთა რიგებში სასტარტოში იყო **ნიკოლოზ გელაშვილი** (მეორე ტაიმში შეცვალეს), ხოლო **კახა ცხადაძემ** სასტარტოში ათამაშა **გიორგი ლომაია** და **ლაშა სალუქვაძე**.

მეორე ტაიმში „ყარაბახმა“ ლომაიას კარში 2 გოლი გაიტანა და ზამთრის ჩემპიონი გახდა 36 ქულით. ცხადაძის „ინტერი“ 27 ქულით მე-4-5 ადგილებს იყოფს „ბაქისთან“.

### ლაზეთში დაკარგული ორი ქულა

თურქეთის სუპერლიგაში **შოთა არველაძის** „ქასიმფაშა“ „რიზესპორს“ ეწვია და ლაზეთში ორი ქულის დატოვებამ მოუწია - 0:0. „ქასიმფაშა“ მე-2 ადგილზე რჩება.

**ზურაბ ხიზანიშვილის** „ქაისერი“ შინ „ქონიას“ დაუზავდა - 0:0. ქართველმა მარჯვენა მცველის პოზიციაზე შეუცვლელად ითამაშა. „ქაისერი“ 12 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა.

კვიპროსის ჩემპიონატის მე-14 ტურში **შოთა გრიგალაშვილის** „ანორთოსისი“ სტუმრად „ომონიასთან“ 2:3 დამარცხდა. ქართველი სათადარიგო იყო.

სამხრეთ აფრიკაში **გია ნერგაძის** „მოროკამ“ სტუმრად 2:2 ითამაშა „ფრი სტეიტ სტარსთან“. ქართველი ნახევარმცველი 57-ე წუთზე შეცვალეს, როცა მისი გუნდი 1:0-ს იგებდა.

ცუდად დაასრულა წელინადი **ავთო ებრალიძის** „ჟილ ვისენტემ“ - შინ 0:3 წააგო „აროუკასთან“. ქართველის გუნდი 18 ქულით მე-8 ადგილზეა. „ჟილ ვისენტეს“ 4 ტურია, არ მოუგია. ებრალიძე სასტარტო შემადგენლობაში იყო. ის 74-ე წუთზე შეცვალეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ლეგიონის ამბები

### ექსპერტი: ჭანტურია ვიტესის დონის არ არის

უკვე მოვყევით, რა ინციდენტი შეემთხვა **გურამ კაშიას**, როცა კაპიტანი კამერების წინ გამოლანძღა მწვრთნელმა **პეტერ ბოშმა**.

ახლახან „ფუტბალ ინტერნასიონალმა“ გამოაქვეყნა ინტერვიუ საფეხბურთო ექსპერტ **სტეფ დე ბონტთან**, რომელმაც „ვიტესის“ პრობლემებზე ილაპარაკა და მკვეთრად გააკრიტიკა **გიორგი ჭანტურია**.

შეგახსენებთ, რომ „ვიტესის“ ფორვარდის, **მაიკ ჰავენაარის** დისკვალიფიკაციის გამო ჭანტურიამ „როდასთან“ სასტარტოში ითამაშა, ერთხელ ბურთი ხარიხას გაარტყა და საგოლე პასიც მიითვალა. მიუხედავად ამისა, ექსპერტის დასკვნა უარყოფითი იყო:

*„რაც შეეხება ჭანტურიას, ის, უბრალოდ, არ არის „ვიტესის“ დონის ფეხბურთელი და ამით ყველაფერი ნათქვამია“.*

შეგახსენებთ, რომ არც ისე დიდი ხანია, რაც გუნდიდან წამოვიდა ყოფილი მფლობელი **მერაბ ჟორდანია**. ნებით თუ უნებლიედ, ქართველებზე შეტევას ამ ფაქტს ვუკავშირებთ.

### დვალიშვილს ბერგი გაწვრთნის

2014 წლის 1-ელი იანვრიდან **ლადო დვალიშვილის** ვარშავის „ლეგიას“ ახალი მწვრთნელი ეყოლება - ნორვეგიელი **ჰენინგ ბერგი**. ფეხბურთელობისას ბერგს „ბლექბერნ როვერსსა“ და „მანჩესტერ იუნაიტედში“ უთამაშია.

სწორედ ბერგმა შეცვალა **იან ურბანი**, რომლის ხელმძღვანელობითაც, მართალია, პოლონეთის ჩემპიონატში ერთპიროვნული ლიდერია, მაგრამ ევროპალიგაზე სრული ფიასკო განიცადა. პოლონეთის ჩემპიონატში თებერვლამდე შესვენებაა. ლადო დვალიშვილი 9 გოლით ერთ-ერთი მოწინავეა, ის სულ 2-2 გოლით ჩამორჩება დაწინაურებულ **პაველ ბროჟეკსა** და **მარკო პაიშაოს**.

პოლონელებმა გამოითვალეს და ჩემპიონატში ლადოს ყოველ 128 წუთში გააქვს გოლი, ეს კი **ლუკ ტეოდორჩიკთან** ერთად საუკეთესო შედეგია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● სალერის თასი

# საბურთალომ ატლეტიკო დაამარცხა

„საბურთალო“ „სალერის თასის“ მესამე გათამაშების გამარჯვებული გახდა. ქართულმა გუნდმა ფინალში მადრიდის „ატლეტიკოს“ თანატოლებთან 11-მეტრიანებში იმარჯვა და მთავარ პრიზს დაეუფლა.

ეს გუნდები ჯგუფშიც დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და ის შეხვედრა 1:1 დასრულდა. ამჯერადაც ძირითადი დრო 1:1 მორჩა.

შეხვედრამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია, „ბენდელაზე“ მრავალი ცნობილი ადამიანი შეიკრიბა - ვეტერანი ფეხბურთელები, მწვრთნელები, ჩინოსნები. ქართულ-ესპანურ ფინალს თვალს **ბერა ივანიშვილიც** ადევნებდა.

ანგარიში სტუმრებმა გახსნეს - 62-ე წუთზე თავი **ალბერტო რენტერომ** გამოიჩინა. 76-ე წუთზე კი **გიორგი ხარაიშვილმა** ანგარიში ულამაზესი გოლით გაათანაბრა - „საბურთალოს“ ცენტრალურმა ნახევარმცველმა რამდენიმე ფეხბურთელი ჩამოიშორა და „ატლეტიკოს“ კარის ბადე მოხდენილი დარტყმით შეარხია. სხვათა შორის, სწორედ ხარაიშვილმა გაიტანა გამარჯვების პენალტი 11-მეტრიანების სერიაში.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XVII ტური



ზედიზედ სამი საშინაო მარცხის შემდეგ იურგენ კლოპმა თავი დახარა

# კიდევ კარგი ზამთარია

## კლოპს არდადეგებმა სულზე მიუსწრო

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ზამთრის არდადეგებმა დორტმუნდის „ბორუსიას“ სულზე მიუსწრო. **იურგენ კლოპის** შეგირდებმა ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში მეხუთე მარცხი იწვნიეს და გერმანიის ჩემპიონატის პირველი წრე მეოთხე ადგილზე დაასრულეს („ბორუსიას“ „გლადბახმაც“ გადაასწრო). ზამთრის პაუზა რომ არ ინყებოდეს, დორტმუნდელები იმდენად ცუდ დღეში არიან, მეოთხე ადგილსაც დაკარგავდნენ.

არადა, 2013 წელი „ბორუსიასთვის“ წარმატებული იყო - მართალია, გერმანიის ჩემპიონი ველარ გახდა, მაგრამ ვიცე-ჩემპიონობაც საქმეა და არც ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა უნდა დაგვავიწყდეს. აი, წლის ბოლო კი „დორტმუნდისთვის“ ძალიან მწარე გამოდგა, რომელიც წამყვანი ფეხბურთელების ერთმანეთზე მიყოლებით დაშავებით დაიწყო და შაბათს, ბერლინის „ჰერტასთან“ საშინაო მარცხით დაგვირგვინდა. ეს იყო „ბორუსიას“ ზედიზედ მესამე (!) წაგება საკუთარ კედლებში „ბაიერნთან“ (0:3) და „ლევერკუზენთან“ (0:1) დამარცხების შემდეგ. კლოპი გამწარებულია! საქმე იმაშია, რომ მას მერე, რაც „დორტმუნდს“ ავარჯიშებს, პირველ წრეში 5 თამაში პირველად წააგო! ზედიზედ სამი საშინაო მარცხი კი „დორტმუნდმა“ ბუნდესლიგაში ბოლოს 13 წლის წინ განიცადა. ცხადია, კომენტარი ზედმეტია.

*„2013 წლის ბოლო მესამედში მხოლოდ ერთი რამ მოხდა კარგი - როგორც იქნა, ეს დეკადა დამთავრდა! ეს იყო წელი, რომელიც ჩვენთვის ძალიან კარგად დაიწყო და ძალიან ცუდად დამთავრდა. იმედი მაქვს, რომ ზამთარში წლის ბოლოს მიღებულ იარებს მოვიშუშებთ,“* - აღნიშნა კლოპმა.

გერმანიის ჩემპიონობაზე ფიქრი დორტმუნდელებმა ჯერ კიდევ ხუთი ტურის წინ, „ბაიერნთან“ განადგურების შემდეგ შეწყვიტეს, თუმცა მერე ისე ცუდად წაუვიდათ საქმე, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზურზეც კი უნდა ინერვიულონ. თანაც, **ილქაი გიუნდოგანი, ნევენ სუბოტიჩი, მატს ჰუმელსი** და **მარსელ შმელცერი** ლაზარეთში რჩებიან.

თუმცა კლოპი მომავალს და 2014 წელს ოპტიმისტურად უყურებს: *„ჯერ კიდევ არსებობს შანსი, რომ მომდევნო წელი დორტმუნდის „ბორუსიას“ ისტორიაში საუკეთესო იყოს,“* - ცხადია, რომ იურგენი ჩემპიონთა ლიგას გულისხმობს, რომლის მერვედფინალში „ბორუსია“ სანკტ პეტერბურგის „ზენიტს“ უნდა შეხვდეს (მატჩები 25 თებერვალს და 19 მარტს).

### ამ ჰერტას ბევრი შესძლებია

„ჰერტა“ ამ სეზონში აქამდეც კარგად თამაშობდა და ყველას აოცებდა, დორტმუნდში მოპოვებული დამსახურებული გამარჯვებით კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. რაც ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა და წინა გვერდებზეც წაიკითხავდით, ბერლინელთა 50 წლის მწვრთნელმა **იოს ლუჰუკაიმ** ვეტერანი ქართველი **ლევან კობიაშვილი** 90 წუთი ათამაშა და თანაც, დაცვის ცენტრში! „ბილდმა“ ლევანის თამაში 2 ბალით შეაფასა, რაც ძალიან კარგი შედეგია (საუკეთესო შეფასება ერთიანია, ყველაზე ცუდი - ექვსიანი).

ჰოლანდიელმა სპეციალისტმა შეგირდებს აქტიური პრესინგი დაავალა და სწორედ ამან გამოილო შედეგი გადამწყვეტ მომენტში. ბერლინელთა პრესინგს დორტმუნდელმა მცველებმა ვერ გაუძლეს. საბედისწერო შეცდომა დაუშვა „ბორუსიას“ ახალგაზრდა ცენტრალურმა მცველმა **მარიან ზარმა**, ვინც ბურთი დაკარგა და **რომან ვაიდენფელერის** კარის ბადეც შეირხა. აღსანიშნავია, რომ „ჰერტასაც“ ჰყავდა 18 წლის ფეხბურთელი და, თანაც, მეკარე - **მარიუს გერსბეკი**, რომელმაც მთელი მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარა და მხოლოდ სიხარულზე ეტყობოდა, რომ ბუნდესლიგაში პირველი მატჩი ჩაატარა. ამ გამარჯვების შედეგად „ჰერტამ“ პირველი წრე საუკეთესო ექვსეულში დაასრულა, ექვსეული კი, მოგეხსენებათ, ევროპალიგის ზონაა.

### ვერდერმა ფეხი გამოყო

როგორც იცით, მიუნხენის „ბაიერნს“ ამ უქმეებზე მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ფინალი ჰქონდა, რომელიც მოიგო კიდეც - ნელ-ნელა შეიძლება იმაზე ფიქრი, რომ უეფამ და ფიფამ „ბაიერნისთვის“ რაიმე ახალი ტურნირი უნდა მოიგონონ.

თუმცა ბუნდესლიგაში „ბაიერნს“ მატჩის ჩაგდებით არაფერი დააკლდა, რადგან წააგო „ლევერკუზენთან“ და თანაც, არ იკითხავთ, ვისთან? ბრემენის „ვერდერთან“! ეს ხომ სასწაულია, მაგრამ კიდევ უფრო დიდი სასწაული ის არის, რომ „ვერდერმა“ კარი მშრალად შეინახა და აღარ არის ისეთი გუნდი, რომელსაც ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში ყველაზე მეტი გოლი აქვს გაშვებული - ასეთი უკვე „ჰამბურგია“. თუმცა, „ჰამბურგი“ და „ვერდერი“ რამ გაყო - ორივე ჩრდილოურია და ორივე ბედოვლათი.

ზემოთაც ვთქვით, რომ მესამე ადგილზე „გლადბახი“ აძვრა, ოღონდ, მიონხენგლადბახელებს არ მოუგიათ - გუშინ „ვოლფსბურგთან“ 0:0 ითამაშეს და ქულაც ეყოთ იმისათვის, რომ პირველი წრის საუკეთესო სამეულში დამთავრება მოეხერხებინათ. ერთი სიტყვით, ბუნდესლიგაში საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მეორე წრეში ჩემპიონთა ლიგისთვის და ევროპალიგისთვის ძალიან საინტერესო ბრძოლა უნდა ვიხილოთ, ჩემპიონის ვინაობა კი, დიდი შანსია, სარეკორდოდ სწრაფად გაირკვეს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

### ალიარება

## კიკერის წლის კაცი რიბერია!

**ფრანკ რიბერისთვის** ეს მართლაც საოცნებო წელი იყო: მიუნხენის „ბაიერნთან“ ერთად მოიგო ყველაფერი, რისი მოგებაც შეეძლო - ჩემპიონთა ლიგა, ევროპის სუპერთასი, გერმანიის ჩემპიონატი, გერმანიის თასი და ახლა მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის გამარჯვებულიც გახდა. ამასთან, რიბერი „ბაიერნის“ ლიდერი იყო და მთელი სეზონი უმაღლეს დონეზე ჩაატარა.

29 წლის ფრანგი „ოქროს ბურთის“ სამ საბოლოო კანდიდატს შორის დასახელდა და ბევრი ექსპერტი მიიჩნევს, რომ მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშის წოდებას იმსახურებს და ამ ყველაფრის შემდეგ რა გასაკვირია, რომ გერმანულმა სპორტულმა გამოცემამ, „კიკერმა“ რიბერი 2013 წლის კაცად აღიარა. შეგახსენებთ, რომ „კიკერი“ წლის კაცს 1990 წლიდან ასახელებს. რიბერიმ ეს წოდება უკვე მეორედ დაიმსახურა - „კიკერის“ „წლის კაცი“ ის პირველად 2008 წელს გახდა.

### თურქეთი

**სუპერლიგა. XVII ტური**

**რიზე-ქასიმფაშა** 0:0

**ბეშიქთაში-ელაზიგი** 4:1

გოლები: 1:0 შიოკი (22), 1:1 დ. ილმაზი (29), 2:1 პოლოშკო (46), 3:1 შაპანი (70), 4:1 პოლოშკო (81)

**ესქიშეჰირი-გაზიანთეფი** 2:0

გოლები: 1:0 ზენგინი (82), 2:0 ნ'დიაიე (90-პენ)

**ქაისერი-კონია** 0:0

**ქარაბიუქი-ფენერბაჰჩე** 2:1

გოლები: 1:0 აკპალა (13), 1:1 ემენიკე (40), 2:1 პარლაკი (69-პენ)

**ანთალია-გენჩლერბირლიგი** 2:3

გოლები: 0:1 პეტროვიჩი (24), 0:2 პეტროვიჩი (29), 1:2 ბასანი (50-პენ), 1:3 კულუშიჩი (67), 2:3 პრომისი (83)

**გალათასარაი-ტრაბზონი** 2:1

გოლები: 1:0 ბ. ილმაზი (60), 1:1 ადინი (67), 2:1 ბ. ილმაზი (68)

**23 დეკემბერი**

**ბურსა-ერჩიესი** 22:00

**ახისარი-სივასი** 22:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფენერბაჰჩე | 16 | 12 | 2 | 2 | 38-18 | 38 |
| 2. ქასიმფაშა | 16 | 9 | 4 | 3 | 30-17 | 31 |
| 3. გალათასარაი | 16 | 8 | 6 | 2 | 25-16 | 30 |
| 4. ბეშიქთაში | 16 | 8 | 5 | 3 | 30-18 | 29 |
| 5. ესქიშეჰირი | 16 | 8 | 3 | 5 | 21-11 | 27 |
| 6. სივასი | 15 | 8 | 2 | 5 | 27-20 | 26 |
| 7. ქარაბიუქი | 16 | 7 | 5 | 4 | 16-14 | 26 |
| 8. ტრაბზონი | 16 | 7 | 3 | 6 | 23-20 | 24 |
| 9. ბურსა | 15 | 5 | 5 | 5 | 16-18 | 20 |
| 10. გაზიანთეფი | 16 | 6 | 2 | 8 | 22-31 | 20 |
| 11. ახისარი | 15 | 5 | 4 | 6 | 15-18 | 19 |
| 12. ანთალია | 16 | 4 | 6 | 6 | 19-21 | 18 |
| 13. გენჩლერბ. | 16 | 5 | 3 | 8 | 17-20 | 18 |
| 14. კონია | 16 | 5 | 2 | 9 | 18-25 | 17 |
| 15. რიზე | 16 | 4 | 4 | 8 | 18-24 | 16 |
| 16. ქაისერი | 16 | 2 | 6 | 8 | 12-23 | 12 |
| 17. ერჩიესი | 15 | 3 | 3 | 9 | 10-22 | 12 |
| 18. ელაზიგი | 16 | 3 | 1 | 12 | 18-39 | 10 |

ბომბარდირები: 10 - ჩამეჩუპე (სივასი), უგო ალმეიდა (ბეშიქთაში); 9 - სკარიონე (ქასიმფაშა); 8 - სოუ (ფენერბაჰჩე).

**აინტრახტი-აუგსბურგი 1:1**

**გოლები**: 0:1 ბობადილია (33), 1:1 როზენტალი (42)

**აინტრახტი (4-2-2-1-1)**: ტრაპი - ს. იუნგი, სამბრანო, ანდერსონი, ჯაპკა - შვეგლერი, ფლუმი (62. ა. მაიერი) - შრიოკი, როდე - როზენტალი - ხოსელუ (87. ბაკალორცი).

**აუგსბურგი (4-2-2-1-1)**: ჰიტცი - ვერჰეგი, კალსენ-ბრაკერი, კლავანი, ოსტრცოლეკი - ფოგტი, ბაიერი - ჰანი, ტო. ვერნერი (91. მ. დე იონგი) - ჰალილ ალთინთოფი - ბობადილია (81. მილიკი).

**გაფრთხილება**: ფლუმი, როდე, შვეგლერი - ბაიერი, ფოგტი

**კუთხური**: 4-3; **ჯარიმა**: 18-14; **თამაშგარე**: 2-5; **კარში დარტყმა**: 5(5)-9(3); **ბურთის ფლობა**: 61%-39%.

**მაყურებელი**: 46 400

**დორტმუნდი-ჰერტა 1:2**

**გოლები**:1:0 როისი (7), 1:1 რამოსი (23), 1:2 ალაგი (45)

**დორტმუნდი (4-2-3-1)**: ვაიდენფელერი - გროსკროიტცი, სოკრატისი, ზარი (46. პიშჩეკი), დურმი - კელი (77. შიბერი), ნ. შაჰინი - ბლაშჩიკოვსკი (56. ი. ჰოფმანი), მხითარიანი, როისი - ლევანდოვსკი.

**ჰერტა (4-1-4-1)**: გერსბეკი - მ. ნდიენგი, ლუსტენბერგერი, **კობიაშვილი**, პეკარიკი - ჰოსოგაი - ალაგი, სკიელბრედი (69. ნიმაიერი), ჩიგერჩი (90. იანკერი), ნ. შულცი - რამოსი (78. ვაგნერი).

**გაფრთხილება**: ზარი, ნ. შაჰინი - ჩიგერჩი, კობიაშვილი, ჰოსოგაი

**კუთხური**: 5-0; **ჯარიმა**: 20-19; **თამაშგარე**: 1-1; **კარში დარტყმა**: 20(5)-6(4); **ბურთის ფლობა**: 68%-32%.

**მაყურებელი**: 80 645

**ვერდერი-ლევერკუზენი 1:0**

**გოლი**: 1:0 გარსია (74)

**ვერდერი (4-2-3-1)**: ვოლფი - გებრე სელასიე, პრიოდლი, კალდიროლა, გარსია - მაკიადი, ბარგფრედე - დი სანტო (71. იგნიოვსკი), ჰანტი (84. ლუკიმია), ელია (91. თრაიბული) - პეტერსენი.

**ლევერკუზენი (4-1-2-2-1)**: ლენო - დონატი, ვოლშაიდი, თოფრაქი (78. იოზთუნალი), ჩანი - როლფესი - ლ. ბენდერი, კასტრო - კრუსი (78. დერდიოკი), სონი (66. ჰეგელერი) - კისლინგი.

**გაფრთხილება**: ბარგფრედე, ელია - თოფრაქი, კრუსი, ვოლშაიდი

**კუთხური**: 5-9; **ჯარიმა**: 14-10; **თამაშგარე**: 0-2; **კარში დარტყმა**: 11(3)-22(5); **ბურთის ფლობა**: 35%-65%.

**მაყურებელი**: 39 145

**ფრაიბურგი-ჰანოვერი 2:1**

**გოლები**: 1:0 მეჰმედი (25), 2:0 მეჰმედი (36), 2:1 ბიტენკური (93)

**ფრაიბურგი (4-2-2-2)**: ბაუმანი - ზორგი, ჰიონი, კრმასი (46. შუსტერი), გიუნტერი - გინტერი, ფერნანდესი - შმიდი, პილარი (79. გუედე) - მეჰმედი (88. ჰანკე), დარიდა.

**ჰანოვერი (4-2-2-2)**: ცილერი - ჩერუნდოლო (82. შლაუდრაფი), მარსელო, ჰოფმანი, პრიბი - ანდრეასენი (46. შმიდებახი), სანე - შტინდლი, ბიტენკური - მ. დიუფი, სულეიმანი (46. ა. ზობიეხი).

**გაფრთხილება**: ჰოფმანი, ცილერი

**კუთხური**: 0-1; **ჯარიმა**: 16-13; **თამაშგარე**: 3-2; **კარში დარტყმა**: 11(3)-20(6); **ბურთის ფლობა**: 45%-55%.

**მაყურებელი**: 23 200

**ჰამბურგი-მაინცი 2:3**

**გოლები**: 1:0 ჩალჰანოღლუ (21), 1:1 ოკაზაკი (47), 1:2 ნ. მიულერი (50), 2:2 ვან დერ ვაარტი (79), 2:3 ოკაზაკი (92)

**ჰამბურგი (4-2-3-1)**: დრობნი - რინკონი, თაა, ჯურუ, იანსენი - ბადელი, არსლანი (58. ირაჩეკი) - ბაისტერი (58. ზუა), ვან დერ ვაარტი, ჩალჰანოღლუ (84. ლამი) - ლასოგა.

**მაინცი (4-1-2-1-2)**: კარიუსი - პოსპეხი, ბელი, ნოვესკი, პარკი - გაისი - მორიტცი (84. ზალერი), სოტო (65. ჟუნიორ დიასი) - მალი (77. ჩუპო-მოტინგი) - ნ. მიულერი, ოკაზაკი.

**გაფრთხილება**: ჯურუ - მორიტცი

**გაძევება**: რინკონი (82. ჰამბურგი)

**კუთხური**: 5-3; **ჯარიმა**: 21-13; **თამაშგარე**: 0-3; **კარში დარტყმა**: 18(8)-13(7); **ბურთის ფლობა**: 40%-60%.

**მაყურებელი**: 50 918

**ბრაუნშვაიგი-ჰოფენჰაიმი 1:0**

**გოლი**: 1:0 იორლი (29-პენ)

**ბრაუნშვაიგი (4-1-2-2-1)**: დავარი - კესელი (90. ვასჰაუზენი), ბიჩაქჩიჩი, დოგანი, პერთელი - თოიერკაუფი - პფიტცნერი (77. ვრანჩიჩი), იორლი - ელაბდელაუი, ბოლანდი - ადემი (69. კუმბელა).

**ჰოფენჰაიმი (4-2-3-1)**: გრალი - ბეკი, ზიულე, ვესტერგაარდი, ტოლიანი (22. სალიჰოვიჩი) - რუდი (78. მოდესტე), პოლანსკი - ფოლანდი, რობერტო ფირმინო, ფ. ჯონსონი - შიპლოკი (60. ჰერდლინგი).

**გაფრთხილება**: პფიტცნერი - შიპლოკი, ჰერდლინგი

**გაძევება**: პერთელი (82. ბრაუნშვაიგი)

**კუთხური**: 7-8; **ჯარიმა**: 17-19; **თამაშგარე**: 4-2; **კარში დარტყმა**: 14(8)-16(3); **ბურთის ფლობა**: 38%-62%.

**მაყურებელი**: 21 600

**ნიურნბერგი-შალკე 0:0**

**ნიურნბერგი (4-2-3-1)**: რ. შეფერი - ჩენდლერი, ნილსონი, პინოლა, პლატენჰარდტი - ფრანტცი, ჰასები - დრმიჩი (85. მაკი), კიოტაკე, პლუშეკი - გინჩეკი (86. ჰეკჰარტი).

**შალკე (4-2-3-1)**: ფერმანი - უჩიდა, მატიპი, ფელიპე სანტანა, კოლასინაცი - ჯონსი, ნოიშტედტერი - ფარფანი, მ. მაიერი (92. კ. პაპადოპულოსი), ფუხსი (31. გორეტცკა) - სალაი (70. ობასი).

**გაფრთხილება**: 0-0; **კუთხური**: 9-4; **ჯარიმა**: 14-19; **თამაშგარე**: 3-2; **კარში დარტყმა**: 15(4)-8(2); **ბურთის ფლობა**: 60%-40%.

**მაყურებელი**: 42 687

**გლადბახი-ვოლფსბურგი 2:2**

**გოლები**: 0:1 დიეგო (53), 1:1 რაფაელი (59), 2:1 არანგო (64), 2:2 დოსტი (85)

**გლადბახი (4-2-2-1-1)**: ტერ შტეგენი - კორბი, იანჩკე, შტრანცლი, ვენდტი - კრამერი, ჯაკა - ჰერმანი (87. ჰრგოტა), არანგო - რაფაელი (93. ლ. დე იონგი) - მ. კრუზე.

**ვოლფსბურგი (4-2-3-1)**: ბენალიო - ოხსი, ნალდო, კნოხე, როდრიგესი - ლუის გუსტავო, მედოიევიჩი (71. პერიშიჩი) - დ. კალიჯური (87. კოო), არნოლდი, დიეგო - ოლიჩი (79. დოსტი).

**გაფრთხილება**: ვენდტი - ოხსი, დიეგო, დ. კალიჯური

**კუთხური**: 4-4; **ჯარიმა**: 10-12; **თამაშგარე**: 4-1; **კარში დარტყმა**: 14(4)-18(13); **ბურთის ფლობა**: 52%-48%.

**მაყურებელი**: 53 301

**მომდევნო ტური**

24 იანვარი. **გლადბახი-ბაიერნი.**

25 იანვარი. **დორტმუნდი-აუგსბურგი, შტუტგარტი-მაინცი, ვოლფსბურგი-ჰანოვერი, ნიურნბერგი-ჰოფენჰაიმი, ფრაიბურგი-ლევერკუზენი, აინტრახტი-ჰერტა.**

26 იანვარი. **ვერდერი-ბრაუნშვაიგი, ჰამბურგი-შალკე.**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 16 | 14 | 2 | 0 | 42-8 | 44 |
| 2. ლევერკუზენი | 17 | 12 | 1 | 4 | 32-16 | 37 |
| 3. გლადბახი | 17 | 10 | 3 | 4 | 35-19 | 33 |
| 4. დორტმუნდი | 17 | 10 | 2 | 5 | 38-20 | 32 |
| 5. ვოლფსბურგი | 17 | 9 | 3 | 5 | 28-19 | 30 |
| 6. ჰერტა | 17 | 8 | 4 | 5 | 27-20 | 28 |
| 7. შალკე | 17 | 8 | 4 | 5 | 32-28 | 28 |
| 8. აუგსბურგი | 17 | 7 | 3 | 7 | 21-25 | 24 |
| 9. მაინცი | 17 | 7 | 3 | 7 | 25-31 | 24 |
| 10. შტუტგარტი | 16 | 5 | 4 | 7 | 29-31 | 19 |
| 11. ვერდერი | 17 | 5 | 4 | 8 | 22-37 | 19 |
| 12. ჰოფენჰაიმი | 17 | 4 | 6 | 7 | 36-38 | 18 |
| 13. ჰანოვერი | 17 | 5 | 3 | 9 | 23-31 | 18 |
| 14. ჰამბურგი | 17 | 4 | 4 | 9 | 33-38 | 16 |
| 15. აინტრახტი | 17 | 3 | 6 | 8 | 20-29 | 15 |
| 16. ფრაიბურგი | 17 | 3 | 5 | 9 | 16-31 | 14 |
| 17. ნიურნბერგი | 17 | 0 | 11 | 6 | 17-33 | 11 |
| 18. ბრაუნშვაიგი | 17 | 3 | 2 | 12 | 10-32 | 11 |

ბომბარდირები: 11 - რობერტ ლევანდოვსკი (დორტმუნდი), ადრიან რამოსი (ჰერტა); 10 - მარიო მანჯუკიჩი (ბაიერნი); 9 - პიერ-ემერიკ ობამეიანგი (დორტმუნდი), ვედად იბიშევიჩი (შტუტგარტი), შტეფან კისლინგი (ლევერკუზენი), პიერ-მიშელ ლასოგა (ჰამბურგი), რაფაელი (გლადბახი).

**II ბუნდესლიგა. XIX ტური**

**ზანქტ პაული-კარლსრუე** 0:2

გოლები: 0:1 მიჩანსკი (63), 0:2 ტორესი (84)

**ზანდჰაუზენი-აუე** 1:0

გოლი: 1:0 ულმი (31-პენ)

**დინამო-ბოხუმი** 0:0

**ფრანკფურტი-მიუნხენ 1860** 2:2

გოლები: 1:0 ლეკიე (21), 1:1 შტოპელკამპი (38-პენ), 2:1 იელენი (70), 2:2 შტოპელკამპი (90)

**უნიონი-არმინია** 4:2

გოლები: 0:1 კლოსი (1), 1:1 ეგიმანი (18), 2:1 კოლმანი (26), 3:1 ნემეცი (42), 4:1 მატუშკა (49-პენ), 4:2 იერატი (51-პენ)

**ფიურტი-აალენი** 1:0

გოლი: 1:0 ფიულკრუგი (60)

**პადერბორნი-კოტბუსი** 1:0

გოლი: 1:0 პიუნემაიერი (63)

**ფორტუნა-კიოლნი** 2:3

გოლები: 0:1 უჯა (29), 0:2 ჰელმესი (38), 1:2 ჰოფერი (55), 2:2 ბენშოპი (62), 2:3 უჯა (75)

**23 დეკემბერი**

**ინგოლშტადტი-კაიზერსლ.** 23:15

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კიოლნი | 19 | 11 | 6 | 2 | 32-10 | 39 |
| 2. ფიურტი | 19 | 11 | 2 | 6 | 35-22 | 35 |
| 3. კარლსრუე | 19 | 8 | 7 | 4 | 26-17 | 31 |
| 4. უნიონი | 19 | 9 | 4 | 6 | 31-26 | 31 |
| 5. ზანქტ პაული | 19 | 9 | 4 | 6 | 26-23 | 31 |
| 6. პადერბორნი | 19 | 8 | 5 | 6 | 32-32 | 29 |
| 7. კაიზერს. | 18 | 8 | 4 | 6 | 30-19 | 28 |
| 8. მიუნხენ 1860 | 19 | 8 | 4 | 7 | 18-21 | 28 |
| 9. ზანდჰაუზენი | 19 | 7 | 6 | 6 | 17-17 | 27 |
| 10. ფორტუნა | 19 | 7 | 4 | 8 | 21-29 | 25 |
| 11. ბოხუმი | 19 | 6 | 5 | 8 | 18-20 | 23 |
| 12. აალენი | 19 | 6 | 5 | 8 | 18-21 | 23 |
| 13. ფრანკფურტი | 19 | 5 | 6 | 8 | 27-29 | 21 |
| 14. ინგოლშტადტი | 18 | 6 | 3 | 9 | 17-24 | 21 |
| 15. არმინია | 19 | 6 | 3 | 10 | 27-36 | 21 |
| 16. აუე | 19 | 6 | 3 | 10 | 21-30 | 21 |
| 17. დინამო | 19 | 4 | 9 | 6 | 20-29 | 21 |
| 18. კოტბუსი | 19 | 3 | 4 | 12 | 21-32 | 13 |

ბომბარდირები: 9 - მაჰირ ზალიკი (პადერბორნი); 8 - ჩარლისონ ბენშოპი (ფორტუნა), მოჰამადუ იდრისუ (კაიზერსლაუტერნი), ედმონდ კაპლანი (ფრანკფურტი), ტორსტენ მატუშკა (უნიონი), მარსელ რისსე (კიოლნი), სიმონ ცოლერი (კაიზერსლაუტერნი); 7 - ზოლტან შტიბერი (ფიურტი), ანტონი უჯა (კიოლნი).

**III ბუნდესლიგა**

ელვერსბერგი-დარმშტადტი 0:3, ჰაიდენჰაიმი-დუისბურგი 2:2, ლაიპციგი-ჰალეშერი 2:1, ერფურტი-შტუტ. კიკერსი 1:2, ვეენი-ზაარბრიუკენი 1:0, ჰოლშტაინ კილი-ჰანზა 2:2, ოსნაბრიუკი-ხემნიტცი 0:2, უნტერჰახინგი-რეგენსბურგი 0:4, ბურგჰაუზენი-პროისენ მიუნსტერი 2:4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XVI ტური

# გრანდებს როდრიგესებმა მოაგებინეს

## ატლეტიკოს კი, რა თქმა უნდა, დიეგო კოშტამ

**ლა ლიგაში, 2013 წლის ბოლო ტური საკმაოდ შედეგიანი გამოდგა - 10 შეხვედრაში გუნდებმა 37 გოლი გაიტანეს. გაუჭირდა მადრიდის „ატლეტიკოს", მაგრამ კერკეტი კაკალი „ლევანტე" ბოლოს მაინც გატეხა. უფრო ცუდად დაიწყო თავისი მატჩი „ბარსელონამ", მაგრამ თამაშის ბედი პირველივე ტაიმში შემოატრიალა.**

„ალფონსო პერეს კოლისეუმზე" შეკრებილი პუბლიკა თვალებს არ უჯერებდა: „ხეტაფე" მრისხანე „ბარსელონას" 15 წუთის შემდეგ 2:0-ს უგებდა. მართალია, სტუმრები **ლეო მესის** და **ნეიმარის** გარეშე თამაშობდნენ, მაგრამ მოვლენების ასეთ განვითარებას ვერავინ წარმოიდგენდა. ამ დროს ბევრს, ალბათ, 2007 წლის 10 მაისი გაახსენდა, როდესაც „კოპა დელ რეის" 1/2 ფინალის საპასუხო შეხვედრაში „ხეტაფემ" „ბარსელონას" 4:0 მოუგო, პირველ შეხვედრაში განცდილი მარცხისთვის (2:5) რევანში აიღო და ფინალში გავიდა. სულ ტყუილად...

შეხვედრის გმირი არა მასპინძელთა რომელიმე მცველი, არამედ **პედრო როდრიგესი** გახდა, რომელმაც სეზონში მეორე ჰეთთრიქი შეასრულა და გარდა ამისა, **ფაბრეგასსაც** გაატანინა. აღსანიშნავია, რომ კანარის კუნძულებზე დაბადებულმა ფორვარდმა პირველი ჰეთთრიქიც მადრიდში გაიფორმა, როდესაც „რაიო ვალეკანოს" ქომაგები დაამწუხრა.

„ხეტაფეს" ორივე ბურთი მცველების ანგარიშზეა: ჯერ **სერხიო ესკუდერომ** გაიტანა, ზუსტად ხუთ წუთში კი თავი **ლისანდრო ლოპესმა** გამოიჩინა. ამის მერე, საქმე ხელი პედრომ მოჰკიდა - 26 წლის თავდამსხმელმა 9 წუთში ჰეთთრიქი შეასრულა და „ბარსას" პირველი ტაიმი მოაგებინა. პირველ შემთხვევაში პედროს სესკ ფაბრეგასმა გაატანინა, რამდენიმე წუთში კი ასისტენტად **ანდრეს ინიესტა** მოგვევლინა. თითქოს ტაიმი ფრედ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ 43-ე წუთზე „ბარსას" 7-იანმა კიდევ ერთხელ გაისროლა და ანგარიში 2:3 გახდა.

მეორე ნახევარში შესანიშნავი შანსი მიეცა **დიეგო კასტროს**, რომელმაც ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა, შედეგად, მადრიდელები დაისაჯნენ - პედრომ ფაბრეგასს ბურთი ფეხზე დაასვა და ამ უკანასკნელმაც **მოიას** შანსი არ დაუტოვა. საბოლოო წერტილი იმავე ფაბრეგასმა დასვა, რომელმაც ისევ და ისევ პედროს წაქცევისთვის დანიშნული 11-მეტრიანი გამოიყენა - 2:5.

3 გოლი, საგოლე პასი და მოპოვებული პენალტი - პედრომ ერთდროულად მესიც შეცვალა და ნეიმარიც.

### დიეგო კოშტას მორიგი გოლები

„ლევანტემ" „ატლეტიკოს" სერიოზული ბრძოლა გაუმართა და ოდნავ რომ გამართლებოდა, ვინ იცის, იქნებ მადრიდიდან ქულაც კი წამოეღო. **ანდრეას ივანშიტცმა** სტუმრები უკვე მეორე წუთზე დააწინაურა, რის შემდეგაც ვალენსიელები საკუთარ საჯარიმოსთან ჩაიკეტნენ. **დიეგო სიმეონეს** კრებულმა უდიდესი უპირატესობა მოიპოვა, რაც **დიეგო გოდინის** გოლშიც აისახა. პირველ ტაიმში „როხიბლანკომ" ვერაფერი მოახერხა, სამაგიეროდ მეორე ნახევრის დებიუტში თავისი მორიგი გოლი გაიტანა **დიეგო კოშტამ** და ფავორიტი დააწინაურა. მიუხედავად ამისა, **ხოაკინ კაპაროსის** გუნდს დანებებაზე არც უფიქრია - „ბაყაყებმა" მეტოქე კონტრშეტევაზე გამოიჭირეს და წონასწორობა აღადგინეს.

„ატლეტიკოს" შინ ჩატარებულ 8 შეხვედრაში 8 მოგება ჰქონდა **პედრო რიოსის** გოლის შემდეგ კი შესანიშნავ სერიას საფრთხე დაემუქრა, მაგრამ ყველაფერი დედაქალაქელთა სასიკეთოდ დასრულდა. 77-ე წუთზე, შეტევაში ჩართული **ხუანფრანი** და **რუბენ გარსია** ერთმანეთს საჯარიმოში შეეჯახნენ, არბიტრმა 11-მეტრიანი დანიშნა, რომელიც დიეგო კოშტამ გამოიყენა.

განსხვავებული მატჩები ჩაატარეს ხუანფრანებმა - „ატლეტიკოს" მარჯვენა მცველმა საგოლე პასი გააკეთა (გოდინს გაატანინა) და პენალტი მოიპოვა, „ლევანტეს" ვეტერანმა მარცხენა მცველმა კი ბოლო წუთზე წითელი ბარათი მიიღო.

### აქაც როდრიგესი

შესანიშნავი მატჩი გაიმართა „მესტალიაზე", სადაც სტუმრად მადრიდის „რეალი" ჩავიდა და დედაქალაქში 3 ქულით დაბრუნდა. მასპინძლებმა, რომელთაც **ნიკო ესტევესი** უკანასკნელად ხელმძღვანელობდა, „სამეფო კლუბს" სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია. შეხვედრას ესწრებოდა **ხუან ანტონიო პიცი**, რომელიც „ღამურებს" მომავალი ტურიდან დამოძღვრავს.

„რეალი" შეხვედრის განმავლობაში სამჯერ დაწინაურდა, „ღამურებმა" კი სათანადო პასუხის გაცემა მხოლოდ ორჯერ მოახერხეს. **გარეთ ბეილის** ნაცვლად ძირითადში მოხვედრილმა **ანხელ დი მარიამ** ანგარიში კი გახსნა, მაგრამ მისმა თანამემამულე **პაბლო პიატიმ** საკმაოდ მალე გაათანაბრა, თუმცა ტაიმი მაინც „სამეფო კლუბმა" მოიგო - **კრიშტიანო რონალდომ** სეზონში თავისი მე-18 გოლი გაიტანა.

მეორე ნახევარში მასპინძლებმა შეუტიეს და **დანი პარეხოს** მოწოდებული კუთხურის შემდეგ ანგარიში **ჟერემი მატიომ** გაათანაბრა, თუმცა ბოლო სიტყვა მაინც მადრიდელებმა თქვეს - მოედანზე რამდენიმე წუთით ადრე გამოსულმა **ხესე როდრიგესმა ლუკა მოდრიჩის** გადაცემა მიიღო და **ვისენტე გუაიტას** ახლო კუთხეში გაუტანა - 2:3.

„რეალმა", კონკურენტების მსგავსად, რთული გამარჯვება მოიპოვა და წინ მყოფ ორ ლიდერთან 5-ქულიანი ჩამორჩენა შეინარჩუნა.

### წარმატებული და წარუმატებელი სევილიელები

**უნაი ემერის** „სევილიამ" „ელ მადრიგალზე" „ვილიარეალს" მოუგო და დაუმარცხებელი სერია 5 მატჩამდე გაზარდა. ამ პერიოდში ანდალუსიელებმა 13 ქულა მოაგროვეს, რამაც მათ ჩემპიონთა ლიგის ზონასთან მიახლოების საშუალება მისცა. „ვილიარეალმა" კი ზედიზედ მეორე მატჩი წააგო და **მარსელინიოს** გუნდი მეექვსე ადგილამდე დაეშვა.

კვლავ ბოლო პოზიციაზეა „ბეტისი", რომელიც შინ „ალმერიასთან" დამარცხდა. „თეთრ-მწვანეები" კატასტროფულ მდგომარეობაში არიან - „ბეტისს" უკვე 11 მატჩია არ მოუგია (2 ფრე და 9 წაგება), თანაც ამ შეხვედრებში გუნდმა 10 გოლი გაიტანა, საკუთარ კარში კი 32 მიიღო.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**



პედრომ კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა

**ელჩე-მალაგა 0:1**

**გოლი:** 0:1 ი. კამაჩო (6)

**ელჩე** (4-2-3-1): ტონიო - დ. სუარესი, ბოტია, ს. პელეგრინი, ედუ ალბაკარი - კ. სანჩესი, რუბენ პერესი (81. აარონ ნიგესი) - კარლეს ხილი, კორომინასი, ფიდელი (65. მანტეკონი) - ბოაკი (73. კრისტიან ერერა)

**მალაგა** (4-2-3-1): ვ. კაბალიერო - ხესუს გამესი, სერხიო სანჩესი, ველიგტონი, ანტუნეში - ტისონე, ი. კამაჩო - პ. მორალესი (55. სამუ), პორტილიო (79. ანხელერი), დუდა (90. სანტა კრუსი) - ხუანმი

**გაფრთხილება:** დ. სუარესი, კ. სანჩესი, ედუ ალბაკარი, კორომინასი - ი. კამაჩო, ხესუს გამესი, ტისონე, დუდა

**გაძევება:** დ. სუარესი (60. ელჩე)

**კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 17-14; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 8-6 (2-2); **ბურთის ფლობა:** 60%-40%

**მაყურებელი:** 19 124

**ვილიარეალი-სევილია 1:2**

**გოლები:** 0:1 კალა (24), 0:2 ბაკა (71), 1:2 პერბე (88-პენ)

**ვილიარეალი** (4-4-2): ასენხო - მარიო, მუსაჩიო, გაბრიელ პაულისტა, ხაუმე კოსტა - ხ. აკინო (46. პინა), ბრუნო (72. ხ. პერეირა), ტრიგეროსი, ე. პერესი - ჯოვანი დოს სანტოსი, ი. უჩე (67. პერბე)

**სევილია** (4-2-3-1): ბეტუ - კოკე, ფასიო, კალა, ფ. ნავარო - იბორა, კარიკო - ხ. რეიესი (73. ხაირო სამპერიო), რაკიტიჩი, ვიტოლო - ბაკა (84. გამეირო)

**გაფრთხილება:** ხაუმე კოსტა, გაბრიელ პაულისტა, ხ. პერეირა - კარიკო, კოკე, იბორა, ბეტუ

**გაძევება:** კალა (86. სევილია)

**კუთხური:** 11-4; **ჯარიმა:** 13-24; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 13-12 (5-4); **ბურთის ფლობა:** 70%-30%

**მაყურებელი:** 16 000

**ბეტისი-ალმერია 0:1**

**გოლი:** 0:1 აზიზი (4)

**ბეტისი** (4-4-2): სარა - ჩიკა (73. სალვა სევილია), პაულაო, ხ. ფიგერასი, დიდაკ ვილა - ვადილიო (49. ხუანფრანი), ლ. რეიესი (73. ნონო), მატილია, ხუან კარლოსი - ხორხე მოლინა, რუბენ კასტრო

**ალმერია** (4-2-3-1): ესტებანი - ნელსონი (58. რაფიტა), ტრუხილიო, ტორსილიერი, დუბარბიერი - აზიზი, ტებარი - ალექს ვიდალი, ვერსა, ელდერ ბარბოსა (65. სორიანო) - ოსკარ დიასი (84. სუსო)

**გაფრთხილება:** - ელდერ ბარბოსა, ნელსონი

**კუთხური:** 11-2; **ჯარიმა:** 9-17; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 25-14 (8-7); **ბურთის ფლობა:** 61%-39%

**მაყურებელი:** 26 500

**ატლეტიკო-ლევანტე 3:2**

**გოლები:** 0:1 ივანშიტცი (2), 1:1 გოდინი (30), 2:1 დიეგო კოშტა (47), 2:2 პედრო რიოსი (56), 3:2 დიეგო კოშტა (77-პენ)

**ატლეტიკო** (4-4-2): კურტუა - ხუანფრანი, მირანდა, გოდინი, ფილიპე ლუიში - კოკე (64. ადრიანი), ტიაგო, გაბი, არდა თურანი - ვილია (60. რაულ გარსია), დიეგო კოშტა

**ლევანტე** (5-4-1): კ. ნავასი - პედრო ლოპესი (85. ანხელი), ვინტრა, დ. ნავარო, კარაბელასი, ხუანფრანი - ივანშიტცი (34. პედრო რიოსი), სიმაო ჟუნიორი (87. სერჟიუ პინტუ), პ. დიოპი, რუბენ გარსია - ბარალი

**გაფრთხილება:** გაბი, რაულ გარსია, გოდინი - რუბენ გარსია, კარაბელასი, პედრო ლოპესი, პ. დიოპი, სერჟიუ პინტუ

**გაძევება:** ხუანფრანი (90. ლევანტე)

**კუთხური:** 10-6; **ჯარიმა:** 16-18; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 16-8 (6-4); **ბურთის ფლობა:** 67%-33%

**მაყურებელი:** 49 000

**გრანადა-სოსიედადი 1:3**

**გოლები:** 0:1 ველა (29), 1:1 პიტი (37), 1:2 გრიზმანი (42), 1:3 ველა (64)

**გრანადა** (4-3-2-1): რობერტო - ფულკიე, მაინსი, მურილიო, ანგულო - ფრან რიკო, იტურა (67. რიკი), იებდა (49. რესიო) - ბრაჰიმი, პიტი - ელ-არაბი (77. იგალო)

**სოსიედადი** (4-2-3-1): ბრავო - კ. მარტინესი, ი. მარტინესი, ანსოტეგი, ხოსე ანხელი - ბერგარა, რუბენ პარდო (90. ხავი როსი) - ველა, ჩაბი პრიეტო, გრიზმანი (89. სეფეროვიჩი) - აგირეჩე (82. ელუსტონდო)

**გაფრთხილება:** ბრაჰიმი, რესიო, რიკი - ჩაბი პრიეტო

**კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 16-9; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 23-11 (8-7); **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 15 889

**ესპანიოლი-ვალიადოლიდი 4:2**

**გოლები:** 1:0 სერხიო გარსია (5-პენ), 2:0 სტუანი (37), 3:0 ვიქტორ სანჩესი (68), 4:0 სტუანი (70), 4:1 ხავი გერა (75), 4:2 ვიქტორ პერესი (89)

**ესპანიოლი** (4-2-3-1): კასილია - ხავი ლოპესი, კოლოტო, ე. მორენო, ხუან ფუენტესი - ვიქტორ სანჩესი, დავიდ ლოპესი (57. რაულ როდრიგესი) - სტუანი, სერხიო გარსია, სიმაო (75. ვიქტორ ალვარესი) - ჯ. კორდობა (59. ალექსი)

**ვალიადოლიდი** (4-2-3-1): დიეგო მარინიო - რუკავინა, ხესუს რუედა (65. დ. ლარსონი), მარკ ვალიენტე, პენია - ა. რუბიო (56. ვიქტორ პერესი), ფ. როსი - ებერტი (21. ო. რამოსი), ოსკარი, ბერგდიხი - ხავი გერა

**გაფრთხილება:** ვიქტორ სანჩესი, ხავი ფუენტესი, სიმაო - ხესუს რუედა

**კუთხური:** 2-4; **ჯარიმა:** 23-13; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 13-9 (7-4); **ბურთის ფლობა:** 41%-59%

**მაყურებელი:** 15 342

**ხეტაფე-ბარსელონა 2:5**

**გოლები:** 1:0 ს. ესკუდერო (10), 2:0 ლისანდრო ლოპესი (15), 2:1 პედრო (34), 2:2 პედრო (41), 2:3 პედრო (43), 2:4 ფაბრეგასი (68), 2:5 ფაბრეგასი (72-პენ)

**ხეტაფე** (4-2-3-1): მოია - ვალერა, ლისანდრო ლოპესი, ალექსისი, ს. ესკუდერო - ბორხა, მოსკერა - პედრო ლეონი, დიეგო კასტრო (72. პ. სარაბია), ლაფიტა (80. გავილანი) - მარიკა (60. ა. კოლუნგა)

**ბარსელონა** (4-3-3): პინტო - დანი ალვეში, პიკე, მასკერანო, ალბა - სერხი რობერტო, ბუსკეტსი (89. ბარტრა), ინიესტა - ა. სანჩესი, ფაბრეგასი (85. ა. სონგი), პედრო (80. ტელიო)

**გაფრთხილება:** მოსკერა, ლისანდრო ლოპესი, ბორხა, ალექსისი - დანი ალვეში, პიკე, ბუსკეტსი

**კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 26-7; **თამაშგარე:** 0-5; **კარში დარტყმა:** 12-15 (2-7); **ბურთის ფლობა:** 28%-72%

**მაყურებელი:** 9 563

**ბილბაო-ვალეკანო 2:1**

**გოლები:** 1:0 სან ხოსე (32), 1:1 ა. ბუენო (61), 2:1 მიკელ რიკო (66)

**ბილბაო** (4-2-3-1): ირაისოსი - ირაოლა, გურპეგი, სან ხოსე, ბალენსიაგა - იტურასპე, მიკელ რიკო - სუსაეტა, ანდერ ერერა (65. იბაი გომესი), მუნიაინი (78. ბენიატი) - ტოკერო (65. ადურისი)

**ვალეკანო** (4-2-3-1): რუბენი - ტიტო, გალვესი, ზე კასტრო (82. ტრაშორასი), მოხიკა - საულ ნიგესი, ადრიანი - ლ. ბანგურა, ხ. ვიერა, ა. პერეა (74. ნ. კასტილიო) - ა. ბუენო

**გაფრთხილება:** - ტიტო, ადრიანი

**კუთხური:** 8-7; **ჯარიმა:** 11-21; **თამაშგარე:** 6-0; **კარში დარტყმა:** 23-13 (9-5); **ბურთის ფლობა:** 46%-54%

**მაყურებელი:** 36 000

**სელტა-ოსასუნა 1:1**

**გოლები:** 0:1 ე. არმენტეროსი (17), 1:1 ა. ფერნანდესი (34)

**სელტა** (4-3-2-1): იოელი - ჯონი კასტრო, დავიდ კოსტასი, ფონტასი, აურტენეჩე - ბორხა ოუბინია, რაფაელ ალკანტარა, კრონ-დელი (71. ალექს ლოპესი) - ა. ფერნანდესი (83. ბერმეხო), ფ. ორელიანა (64. ნოლიტო) - სანტი მინა

**ოსასუნა** (4-2-3-1): ანდრეს ფერნანდესი - მარკ ბერტრანი, ფლანიო, ლოტიე, დამია - პუნიალი, ლოლო - სეხუდო, რ. ტორესი (74. ოიერი), ე. არმენტეროსი (78. მანუელი) - ორიოლ რიერა

**გაფრთხილება:** - დამია, ფლანიო, სეხუდო

**კუთხური:** 5-7; **ჯარიმა:** 14-15; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 14-13 (6-4); **ბურთის ფლობა:** 59%-41%

**მაყურებელი:** 14 500

**ვალენსია-რეალი 2:3**

**გოლები:** 0:1 დი მარია (28), 1:1 პიატი (34), 1:2 კრიშტიანო რონალდო (40), 2:2 მატიო (62), 2:3 ხესე როდრიგესი (82)

**ვალენსია** (4-2-3-1): გუაიტა - ჟოაო პერეირა, ვიქტორ რუისი, მატიო, ხუან ბერნატი - ორიოლ რომეუ, პარეხო (84. ბანეგა) - ფეგული, პიატი (80. გუარდადო), კარტაბია (62. კანალესი) - ჟონასი

**რეალი** (4-2-3-1): დიეგო ლოპესი - არბელოა (80. დანი კარვახალი), სერხიო რამოსი, ნაჩო, მარსელო - ჩაბი ალონსო, მოდრიჩი - დი მარია (87. ილიარამენდი), ისკო (73. ხესე როდრიგესი), კრიშტიანო რონალდო - ბენზემა

**გაფრთხილება:** პიატი, მატიო - ნაჩო, არბელოა

**კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 12-13; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 12-12 (5-5); **ბურთის ფლობა:** 33%-67%

**მაყურებელი:** 52 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 17 | 15 | 1 | 1 | 49-12 | 46 |
| 2. ატლეტიკო | 17 | 15 | 1 | 1 | 46-11 | 46 |
| 3. რეალი | 17 | 13 | 2 | 2 | 49-21 | 41 |
| 4. ბილბაო | 17 | 10 | 3 | 4 | 26-21 | 33 |
| 5. სოსიედადი | 17 | 8 | 5 | 4 | 33-23 | 29 |
| 6. ვილიარეალი | 17 | 8 | 4 | 5 | 27-18 | 28 |
| 7. სევილია | 17 | 7 | 5 | 5 | 32-29 | 26 |
| 8. ხეტაფე | 17 | 7 | 2 | 8 | 20-27 | 23 |
| 9. ესპანიოლი | 17 | 6 | 4 | 7 | 22-23 | 22 |
| 10. მალაგა | 17 | 5 | 5 | 7 | 19-22 | 20 |
| 11. ვალენსია | 17 | 6 | 2 | 9 | 23-29 | 20 |
| 12. გრანადა | 17 | 6 | 2 | 9 | 15-22 | 20 |
| 13. ლევანტე | 17 | 5 | 5 | 7 | 17-25 | [illegible] |
| 14. ელჩე | 17 | 4 | 5 | 8 | 16-23 | 17 |
| 15. სელტა | 17 | 4 | 4 | 9 | 21-27 | 16 |
| 16. ალმერია | 17 | 4 | 4 | 9 | 17-32 | 16 |
| 17. ვალიადოლიდი | 17 | 3 | 6 | 8 | 21-29 | 15 |
| 18. ოსასუნა | 17 | 4 | 3 | 10 | 14-28 | 15 |
| 19. ვალეკანო | 17 | 4 | 1 | 12 | 16-40 | 13 |
| 20. ბეტისი | 17 | 2 | 4 | 11 | 15-36 | 10 |

**ბომბარდირები:** 19 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო); 18 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 11 - ანტუან გრიზმანი (სოსიედადი), ხავი გერა (ვალიადოლიდი); 10 - პედრო (ბარსელონა)

**მომდევნო ტური**

4 იანვარი: მალაგა-ატლეტიკო, ვალიადოლიდი-ბეტისი, ვალენსია-ლევანტე, ალმერია-გრანადა

5 იანვარი: სევილია-ხეტაფე, ბარსელონა-ელჩე, ოსასუნა-ესპანიოლი, სოსიედადი-ბილბაო

6 იანვარი: რეალი-სელტა, ვალეკანო-ვილიარეალი

**სეგუნდა დივიზიონი. XIX ტური**

**ლუგო-ერკულესი 1:3**

**გოლები:** 0:1 პამარო (14), 0:2 ხ. პორტილიო (22), 1:2 მანუ (57-პენ), 1:3 სუგიტა იუკია (73)

**ალავესი-ეიბარი 0:2**

**გოლები:** 0:1 მ. არუაბარენა (32), 0:2 იაროშიკი (79-საკ. კარში)

**დეპორტივო-ნუმანსია 3:3**

**გოლები:** 0:1 ხუანმა (12), 1:1 ხუან დომინგესი (27), 2:1 ბორხა (29), 2:2 სერხი ენრიჩი (67), 2:3 სერხი ენრიჩი (80), 3:3 ლუის ფერნანდესი (90)

**ბარსელონა B-სპორტინგი 2:2**

**გოლები:** 0:1 შჩეპოვიჩი (14), 1:1 სანაბრია (32), 1:2 შჩეპოვიჩი (88), 2:2 ედუ ბედია (90)

**რეალი B-კორდობა 3:1**

**გოლები:** 1:0 რაულ დე ტომასი (41), 2:0 ლუკას ვასკესი (63), 3:0 ბურგუი (79), 3:1 ჩისკო ხიმენესი (84)

**ტენერიფე-საბადელი 0:3**

**გოლები:** 0:1 კრესპი (5), 0:2 ანტონიო იდალგო (57-პენ), 0:3 სურდო (76-პენ)

**უელვა-ლას პალმასი 1:3**

**გოლები:** 0:1 ქრისანტუსი (22), 1:1 ხოსელუ (24), 1:2 ვალერონი (40), 1:3 ნაუსეტი (51-პენ)

**პონფერადინა-ხაენი 1:0**

**გოლი:** 1:0 ნინო (5-საკ. კარში)

**მალიორკა-ჟირონა 2:0**

**გოლები:** 1:0 ალფარო (37), 2:0 ალფარო (50-პენ)

**მირანდესი-ალკორკონი 1:1**

**გოლები:** 0:1 ოსკარ პლანო (88), 1:1 პაბლო (90)

**სარაგოსა-მურსია 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დეპორტივო | 19 | 10 | 4 | 5 | 22-14 | 34 |
| 2. სპორტინგი | 19 | 8 | 8 | 3 | 33-25 | 32 |
| 3. უელვა | 19 | 9 | 5 | 5 | 35-29 | 32 |
| 4. ეიბარი | 19 | 9 | 4 | 6 | 25-18 | 31 |
| 5. ლას პალმასი | 19 | 8 | 5 | 6 | 21-20 | 29 |
| 6. ნუმანსია | 19 | 6 | 10 | 3 | 24-19 | 28 |
| 7. მალიორკა | 19 | 8 | 4 | 7 | 23-29 | 28 |
| 8. მურსია | 19 | 6 | 9 | 4 | 26-22 | 27 |
| 9. პონფერადინა | 19 | 7 | 5 | 7 | 25-22 | 26 |
| 10. ლუგო | 19 | 7 | 5 | 7 | 23-22 | 26 |
| 11. სარაგოსა | 19 | 7 | 5 | 7 | 23-22 | 26 |
| 12. კორდობა | 19 | 7 | 5 | 7 | 22-22 | 26 |
| 13. ალკორკონი | 19 | 6 | 6 | 7 | 15-14 | 24 |
| 14. ხაენი | 19 | 7 | 3 | 9 | 25-26 | 24 |
| 15. საბადელი | 19 | 7 | 3 | 9 | 22-24 | 24 |
| 16. ერკულესი | 19 | 6 | 6 | 7 | 24-28 | 24 |
| 17. ტენერიფე | 19 | 6 | 5 | 8 | 18-21 | 23 |
| 18. მირანდესი | 19 | 6 | 5 | 8 | 20-24 | 23 |
| 19. ბარსელონა B | 19 | 7 | 2 | 10 | 21-28 | 23 |
| 20. ჟირონა | 19 | 5 | 6 | 8 | 22-27 | 21 |
| 21. რეალი B | 19 | 6 | 2 | 11 | 16-26 | 20 |
| 22. ალავესი | 19 | 4 | 7 | 8 | 28-31 | 19 |

**ბომბარდირები:** 15 - შჩეპოვიჩი (სპორტინგი); 12 - ვიგერა (ალავესი); 10 - კოკე (მურსია); 9 - ლინარესი (უელვა), მეხია (ხაენი)

**პორტუგალია**

**პრიმეირა ლიგა. XIV ტური**

**მარიტიმო-ბრაგა 2:2**

**გოლები:** 1:0 დანილო პერეირა (35), 2:0 დერლეი (38), 2:1 ალანი (43), 2:2 ფ. პარდო (81)

**გაძევება:** დერლეი (84. მარიტიმო)

**პორტუ-ოლიანენსე 4:0**

**გოლები:** 1:0 მანგალა (30), 2:0 ჯ. მარტინესი (53), 3:0 კარლოს ედუარდო (82), 4:0 ე. ერერა (84)

**პორტუ** (4-3-3): ელტონი - დანილო, ოტამენდი, მაიკონი, მანგალა - ფერნანდო, ლუჩო გონსალესი (75. ე. ერერა), კარლოს ედუარდო - ლიკა (57. კელვინი), ვარელა, ჯ. მარტინესი (85. გილასი)

**სეტუბალი-ბენფიკა 0:2**

**გოლები:** 0:1 როდრიგო (54), 0:2 ლიმა (69-პენ)

**ბენფიკა** (4-4-2): ობლაკი - მაქსი პერეირა, ლუიზაო, გარაი, სილვიო - ე. პერესი, ფეისა (46. სულეიმანი), მატიჩი, გაიტანი (88. ლ. მარკოვიჩი) - ლიმა, როდრიგო (77. რუბენ ამორიმი)

**გიმარაეში-აკადემიკა 3:0**

**გოლები:** 1:0 მარკო მატიაში (27), 2:0 ბარიენტოსი (56), 3:0 ანდრე ანდრე (59)

**გაძევება:** პალიშე (34. აკადემიკა)

**სპორტინგი-ნასიონალი 0:0**

**სპორტინგი** (4-3-3): რუი პატრისიო - სედრიკი, მაურისიო, როხო, ჯეფერსონი - ადრიენ სილვა, ანდრე მარტინში (45. სლიმანი), ვილიამი - ა. კარილიო (68. ვილსონ ედუარდო), ფ. მონტერო, დიეგო კაპელი (84. კარლოს მანე)

**ჟილ ვისენტე-არუკა 0:3**

**გოლები:** 0:1 კლარო (30), 0:2 რობერტო (63), 0:3 კლარო (69)

**გაძევება:** ლუის მარტინში (61. ჟილ ვისენტე)

**შენიშვნა:** ავთო ებრალიძემ 74 წუთი ითამაშა

**პ. ფერეირა-რიო ავე 0:0**

**ბელენენსეში-ეშტორილი 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპორტინგი | 14 | 10 | 3 | 1 | 33-9 | 33 |
| 2. პორტუ | 14 | 10 | 3 | 1 | 29-9 | 33 |
| 3, ბენფიკა | 14 | 10 | 3 | 1 | 27-12 | 33 |
| 4. ეშტორილი | 14 | 7 | 3 | 4 | 23-16 | 24 |
| 5. გიმარაეში | 14 | 7 | 2 | 5 | 16-10 | 23 |
| 6. ნასიონალი | 14 | 5 | 6 | 3 | 19-15 | 21 |
| 7. ბრაგა | 14 | 6 | 1 | 7 | 17-17 | 19 |
| 8. ჟილ ვისენტე | 14 | 5 | 3 | 6 | 13-18 | 18 |
| 9. რიო ავე | 14 | 5 | 2 | 7 | 11-15 | 17 |
| 10. მარიტიმო | 14 | 4 | 4 | 6 | 23-27 | 16 |
| 11. სეტუბალი | 14 | 4 | 4 | 6 | 16-23 | 16 |
| 12. აკადემიკა | 14 | 4 | 3 | 7 | 7-18 | 15 |
| 13. ბელენენსეში | 14 | 2 | 6 | 6 | 9-16 | 12 |
| 14. არუკა | 14 | 3 | 3 | 8 | 11-19 | 12 |
| 15. პ. ფერეირა | 14 | 2 | 3 | 9 | 10-25 | 9 |
| 16. ოლიანენსე | 14 | 2 | 3 | 9 | 8-23 | 9 |

**ბომბარდირები:** 13 - ფრედი მონტერო (სპორტინგი); 12 - ჯექსონ მარტინესი (პორტუ); 9 - დერლეი (მარიტიმო); 8 - ელდონი (მარიტიმო)

ეროვნული ბიბლიოთეკა

 იტალია. სერია A. XVII ტური

# იუვე და რომა წინ გაიჭრნენ

**სერია A-მ 2013 წელი მეტად საინტერესო ტურით დახურა, რომლის მთავარი მშვენება მილანური დერბი გახლდათ. თუმცა იქამდეც საინტერესო მატჩები გაიმართა და ჩვენც ლიდერთა პაექრობებზე გავამახვილებთ ყურადღებას.**

## ნაპოლი კოჭლობს, კალიარი იშლება

**რაფაელ ბენიტესის** „ნაპოლი" ვერა და ვერ დაადგა ჭეშმარიტების გზას - ესპანელს უდავოდ ძლიერი გუნდი ჰყავს, რომელსაც ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია, მაგრამ ამავდროულად, ნებისმიერ მეტოქესთან ახერხებს ქულების დაკარგვას. ამას არასტაბილურობა ჰქვია და შედეგად, „ნაპოლი" უკვე გვარიანად ჩამორჩება ჩემპიონატის ლიდერს. პირველობის დამთავრებამდე დიდი დროა და ნეაპოლელებს ჯერ კიდევ შეუძლიათ სკუდეტოსთვის ბრძოლა, მაგრამ ამისთვის, დარჩენილი ტურების ერთი ამოსუნთქვით, ჩავარდნის გარეშე გავლაა საჭირო. ძალუძს თუ არა ეს რაფას გუნდს, ძნელი სათქმელია.

„ნაპოლი" „კალიარის" ესტუმრა და მხოლოდ ქულას გამორჩა, 1:1. მე-9 წუთი მიმდინარეობდა, როდესაც სარდინიელებმა მარცხენა ფრთიდან ეფექტური კომბინაცია გაითამაშეს და იერიში უზუსტესი დარტყმით დააბოლოვეს - თავი **ნენემ** გამოიჩინა 1:0. დაახლოებით 10 წუთში, ნეაპოლელებმა თერთმეტმეტრიანი მოიპოვეს, რომელიც გოლად **გონსალო იგუაინმა** აქცია 1:1. დარჩენილ ტაიმ-ნახევარში თანაბარი თამაში იყო და შედეგიც ლოგიკური დაფიქსირდა.

მატჩის შემდეგ, რაფაელ ბენიტესმა დაკარგული ორი ქულა გამოიგლოვა და დაგვპირდა, რომ ახალი წლიდან, მისი გუნდი გაცილებით უკეთ ითამაშებს. უფრო დიდი ყურადღება მიიქცია „კალიარის" პრეზიდენტის **მასიმო ჩელინოს** კომენტარმა:

*„ჯერ კიდევ ვერ მივილეთ იმის უფლება, რომ საკუთარ სტადიონზე, სავსე ტრიბუნების ფონზე ვითამაშოთ. კლუბის ამჟამინდელი მდგომარეობა სერია C-ს შეეფერება. ხვალიდან, ნებისმიერ ფეხბურთელს შეუძლია წასვლა და ახალ გუნდში გადაბარგება, მათ შორის დავიდე ასტორის და რაჯა ნაინგოლანს. მე რომ ფეხბურთელი ვიყო, ამ „კალიარიში" არ გავჩერდებოდი".*

## სამი 4:1

გასულ ტურში, ყველაზე პოპულარული ანგარიში 4:1 იყო. ასეთი შედეგით „ტორინომ" „კიევოს" სძლია, „ვერონამ" „ლაციოს", ხოლო „იუვენტუსმა" „ატალანტას". ტურინელებმა გასვლაზე იძალეს და კიდევ ერთხელ გვაჩვენეს, რომ სკუდეტოს მოპოვების უპი ფავორიტები არიან.

ბერგამოელები პირველ ტაიმში ასე თუ ისე გაუძალიანდნენ მეტოქეს, აი მეორეში კი „იუვეს" უპირატესობა გამოიკვეთა და ეს გოლებშიც აისახა. **ანტონიო კონტეს** ფორვარდებმა გაუმართლეს: გოლი **კარლოს ტევესმაც** გაიტანა და **ფერნანდო ლორენტემაც**, მხარი კი მათ **პოლ პოგბამ** და **არტურო ვიდალმა** აუბეს. ერთი სიტყვით, „ვეკია სენიორამ" გადაურბინა მეტოქეს და კიდევ უფრო განიმტკიცა ლიდერობა. მართალია, „რომამაც" მოიგო, მაგრამ „ნაპოლიმ" დაკარგა ქულები, რომელიც ასევე ითვლება ტურინული გრანდის უშუალო კონკურენტად. ისიც ვთქვათ, რომ ანტონიო კონტე კვლავ არ გამოცხადდა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე.

„ლაციოს" საქმე ცუდადაა - **ვლადიმირ პეტკოვიჩის** გუნდი „ვერონას" ესტუმრა და განადგურდა. „სიყვარულის ქალაქში" **ლუკა ტონის** ბენეფისი შედგა, რომელმაც მეორე ვეტერანი **მიროსლავ კლოზე** დაჩრდილა და დუბლი მიითვალა. „ვერონამ" წელი მაჟორულ ნოტზე დაასრულა, რასაც იმსახურებდა კიდეც როგორც კონკრეტულად ამ მატჩით, ისე მთლიანად, სეზონის განვლილი ნაწილით. ისეთი პირი უჩანს, რომ „ვერონა" ევროპალიგის საგზურისთვის იბრძოლებს, რაც ახლადაღზევებული გუნდისთვის სახუმარო საქმე ნამდვილად არაა.

4:1 მოიგო „ტორინომაც" და წაუგებელ მატჩთა სერია ხუთამდე გაზარდა - შედეგად, „გრანოტა" მეშვიდე ადგილზეა სატურნირო ცხრილში და მდევრებსაც კომფორტული უპირატესობით უსწრებს. მოკლედ, „ტორომ" გვარიანად მოუმატა და თუ ტემპი არც სეზონის განახლების მერე დააგდო, ვინძლო „ვერონას" მსგავსად, ევროთასებს ნაეპოტინოს.

## რომამ კატანია გადათელა

**რუდი გარსიამ** 4-3-3 ტაქტიკაზე უარი თქვა და გუნდი 4-2-3-1 სქემაზე გადააწყო. დაცვა ძველებურად, **მირალემ პიანიჩი** და **მაიკლ ბრედლი** საყრდენ ხაზზე, უფრო წინ **ფრანჩესკო ტოტი**, **ადემ ლიაიჩი** და **ჟერვინიო**, ცენტრფორვარდად კი **მატია დესტრო**. ვერ დავიჩემებთ, რომ სხვა ტაქტიკის შემთხვევაში, „რომას" გაუჭირდებოდა „კატანიას" ძლევა, მაგრამ ფაქტია, რომ გარსიას ექსპერიმენტმა გაამართლა - რომაელებმა ნამდვილი შოუ დადგეს, გადაურბინეს მეტოქეს და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს - 4:0.

თითო გოლი **ჟერვინიომ** და შესანიშნავ ფორმაში მყოფმა **მატია დესტრომ** გაიტანეს, ორჯერ კი თავი **მეჰდი ბენატიამ** გამოიჩინა. ცენტრალურმა მცველმა თავი გამოიდო, წინ გაიჭრა და მეტოქის დაცვა დაანიოკა. თქმა არ სჭირდება, რომ ბენატიას ტრანსფერმა „რომას" 100%-ით გაუმართლა. დედაქალაქელებს კიდევ არაერთი გოლის გატანა შეეძლოთ, მაგრამ ხან დამაგვირგვინებელ ფაზაში სცოდავდნენ, ხანაც სიცილიელთა მეკარე იყო მონოდების სიმაღლეზე.

## ისევ როსი

არ თმობს პოზიციებს „ფიორენტინა", **ჯუზეპე როსი** კი შეუჩერებელია. 82-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც პეპიტომ მორიგი გოლი გაიტანა და „ვიოლას" „სასუოლოსთან" გასვლითი მატჩი მოაგებინა. თამაში ფლორენციელთა უპირატესობით წარიმართა და შედეგიც კანონზომიერი დაფიქსირდა. **ვინჩენცო მონტელას** გუნდმა წელი გამარჯვებით დაასრულა და ისეთი პირი უჩანს, რომ ახალი წლიდან უკეთესად ათამაშდება - ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გუნდს ტრავმირებული **მარიო გომესი** დაუბრუნდება. წესით, სეზონის მეორე ნახევარი კიდევ უფრო საინტერესო უნდა იყოს.

**ლაშა წიკლაური**




მეჰდი ბენატიამ დაცვაშიც ივარგა და გოლებიც გაიტანა

### ლივორნო-უდინეზე 1:2

**გოლები:** 0:1 ლოპესი (11), 1:1 სილიგარდი (32), 1:2 ერუ (65).

**ლივორნო (5-3-2):** ბარდი - ჩეკერინი (76. მბაიე), კოდა (59. ვალენტინი), ემერსონი, ლამბრუგი (71. ემეგარა), სკატარელა - ბიაჯანტი, ლუჩი, გრეკო - პაულინიო, სილიგარდი.

**უდინეზე (3-4-2-1):** ბრკიჩი - ერუ, დანილო, დომიცი - სანტოსი (63. გაბრიელ სილვა), ბასტა, ლაძარი (56. პინცი), ალანი - პერეირა, ლოპესი - დი ნატალე (76. ფერნანდესი).

**გაფრთხილება:** სკატარელა, ემერსონი, კოდა - ერუ, ლაძარი.

**კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 20-10; **თამაშგარე:** 0-5; **კარში დარტყმა:** 9-9 (4-4); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 12 000

### კალიარი-ნაპოლი 1:1

**გოლები:** 1:0 ნენე (9), 1:1 იგუაინი (19-პენ.).

**კალიარი (4-3-1-2):** ავრამოვი - პიზანო, დელ გროსო, ასტორი, აველარი (46. ეკდალი) - დესენა, ნაინგოლანი, კონტი - კოსუ (86. იბრაიმი) - საუ, ნენე (15. პინილია).

**ნაპოლი (4-2-3-1):** რეინა (48. რაფაელი) - მაჯო, ალბიოლი, ფერნანდესი, რეველიერი - ბერამი, ჯემაილი - პანდევი (82. საპატა), კალეხონი, ინსინიე (71. მერტენსი) - იგუაინი.

**გაფრთხილება:** პიზანო, ნენე - ბერამი, კალეხონი.

**კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 12-13; **თამაშგარე:** 8-2; **კარში დარტყმა:** 7-6 (4-2); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 7 000

### ბოლონია-ჯენოა 1:0

**გოლი:** 1:0 დიამანტი (57).

**ბოლონია (3-4-1-2):** კურჩი - ნატალი, მანტოვანი, გარიჩი - მორლეო, კონე, კრპინი, პერესი - დიამანტი - მოსკარდელი (85. კრესპო), კრისტალდო (76. აკვაფრესკა).

**ჯენოა (3-5-2):** პერინი - ანტონინი, გამბერინი, მანფრედინი - მათუზალემი, ბიონდინი, ბერტოლაჩი (56. კოფიე), ვრსალკო (64. ფელტფატცკიდისი), ანტონელი - კონატე, ჯილარდინო (76. კალაიო).

**გაფრთხილება:** კურჩი, გარიჩი, კრპინი, დიამანტი, აკვაფრესკა - გამბერინი.

**კუთხური:** 8-4; **ჯარიმა:** 21-23; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 14-5 (3-1); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 22 000

### ატალანტა-იუვენტუსი 1:4

**გოლები:** 0:1 ტევესი (6), 1:1 მორალესი (15), 1:2 პოგბა (46), 1:3 ლორენტე (75), 1:4 ვიდალი (79).

**ატალანტა (4-4-1-1):** კონსილი - რაიმონდი (81. კონე), მილიაჩო, სტენდარდო, დელ გროსო (67. კაცოლა) - კარმონა, ჩიგარინი, ბონავენტურა (67. ლივაია), ბრივიო - მორალესი - დენისი.

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი - ბარცალი, ბონუჩი, კიელინი - ლიხტშტაინერი, ვიდალი (80. პადოინი), პოგბა (82. პელუზო), მარკიზიო, ასამოა - ტევესი (82. კვალიარელა), ლორენტე.

**გაფრთხილება:** მილიაჩო - ბარცალი, პოგბა.

**კუთხური:** 1-4; **ჯარიმა:** 16-13; **თამაშგარე:** 0-0; **კარში დარტყმა:** 6-11 (3-4); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 32 000

### ვერონა-ლაციო 4:1

**გოლები:** 1:0 ტონი (5), 1:1 ბილია (27), 2:1 იტურბე (44), 3:1 რომულო (63), 4:1 ტონი (78).

**ვერონა (4-3-3):** რაფაელი - კაჩატორე, მორასი, მაიეტა, აგოსტინი - რომულო, ფრელო (88. ლაზერი), ალფრედსონი (76. დონატი) - ტალები, იტურბე (69. დონადელი), ტონი.

**ლაციო (4-5-1):** მარკეტი - კონკო, ცანა, დიასი, ლულიჩი - ბილია (62. კეიტა), ედერსონი (70. ფლოკარი), კანდრევა (76. პერესი), ლედესმა, ონაზი - კლოზე.

**გაფრთხილება:** მაიეტა - ცანა, ლედესმა.

**კუთხური:** 1-10; **ჯარიმა:** 12-7; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 11-17 (7-9); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 28 000

### რომა-კატანია 4:0

**გოლები:** 1:0 ბენატია (18), 2:0 დესტრო (50), 3:0 ბენატია (59), 4:0 ჟერვინიო (80).

**რომა (4-2-3-1):** დე სანქტისი - მაიკონი, კასტანი, ბენატია, დოდო - ბრედლი, პიანიჩი (81. ფლორენცი) - ტოტი (87. რიჩი), ლიაიჩი, ჟერვინიო - დესტრო (59. ტადეი).

**კატანია (4-3-3):** ფრიზონი - პერუცი (46. ბირაგი), ლეგროტალიე, როლინი, ალვარესი - ისკო, გუარენტე, პლაშილი - კასტრო (60. ბერგესიო), ბარიენტოსი, ლეტო (67. მონძონი).

**გაფრთხილება:** ბრედლი - პერუცი, ბარიენტოსი, კასტრო, ბირაგი.

**კუთხური:** 9-3; **ჯარიმა:** 16-10; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 17-7 (10-1); **ბურთის ფლობა:** 68%-32%.

**მაყურებელი:** 60 000

### სამპდორია-პარმა 1:1

**გოლები:** 1:0 ედერი (44), 1:1 ლუკარელი (64).

**სამპდორია (4-2-3-1):** და კოსტა - მუსტაფი, გასტალდელო, დე სილვესტრი, რეჯინი - ობიანგი, პალომბო - სორიანო (79. პოცი), კრსტიჩიჩი, სანსონე (63. ვრზოლეკი) - ედერი (90. ბარნასონი).

**პარმა (4-3-3):** მირანტე - კასანი, ლუკარელი, ფელიპე, გობი - ასკუა, მარკიონი, პაროლო - ბიაბიანი (56. პალადინო), ამაური, სანსონე.

**გაფრთხილება:** მუსტაფი, პალომბო - კასანი, პობი, პაროლო, სანსონე.

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 17-16; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 7-8 (3-5); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 25 000

### სასუოლო-ფიორენტინა 0:1

**გოლი:** 0:1 როსი (82).

**სასუოლო (3-4-3):** პეგოლო - ანტეი, ბიანკო, მარძორატი - გაცოლა, მარონე (90. კურტიჩი), ჩიბსა, ლონგი - ბერარდი (81. ლარიბი), ძაძა, ციგლერი (85. ფლორო ფლორესი).

**ფიორენტინა (4-3-3):** ნეტო - ტომოვიჩი, კომპერი, სავიჩი, პასკუალი - აკვილანი, ამბროზინი, ბორხა ვალერო (77. ფერნანდესი) - ვარგასი (65. პისარო), ილიჩიჩი (90. ვოლსკი), როსი.

**გაფრთხილება:** პეგოლო, გაცოლა, მარონე, ლონგი - ტომოვიჩი, კომპერი, პასკუალი.

**კუთხური:** 2-3; **ჯარიმა:** 10-17; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 7-9 (3-5); **ბურთის ფლობა:** 35%-65%.

**მაყურებელი:** 20 000

### ტორინო-კიევო 4:1

**გოლები:** 0:1 თერეუ (9), 1:1 იმობილე (47), 2:1 იმობილე (65), 3:1 ვივესი (80), 4:1 ჩერჩი (90).

**ტორინო (3-5-2):** პადელი - მაქსიმოვიჩი, გლიკი, მორეტი (78. როდრიგესი) - დარმიანი, ვივესი, ბაშა, ბრიგი, პასკუალე - ჩერჩი, იმობილე (91. მეჯორინი).

**კიევო (3-5-2):** პუჯონი - ფრეი, პაპი, დაინელი - სარდო (69. ლაზარევიჩი), რიგონი (77. სესტუ), ჰეტემაი, ბენტივოლიო, დრამე - თერეუ, პალოსკი (84. არდემანი).

**გაფრთხილება:** ბრიგი, ვივესი - ჰეტემაი, პალოსკი.

**კუთხური:** 6-7; **ჯარიმა:** 11-11; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 10-6 (6-3); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 20 000

### ინტერი-მილანი 1:0

**გოლი:** 1:0 პალასიო (86).

**ინტერი (3-5-1-1):** ჰანდანოვიჩი - კამპანიარო, როლანდო, ჟუან ჟესუსი - ჯონატანი, ტაიდერი (57. კოვაჩიჩი), კამბიასო (82. იკარდი), ძანეტი (68. კუზმანოვიჩი), ნაგატომო - გუარინი - პალასიო.

**მილანი (4-3-2-1):** აბიატი - დე შილიო, საპატა, ბონერა, კონსტანტი (46. ემანუელსონი) - პოლი (88. პაცინი), მუნტარი, დე იონგი - საპონარა (75. მატრი), კაკა - ბალოტელი.

**გაფრთხილება:** როლანდო, ჟუან ჟესუსი, გუარინი - დე შილიო, კონსტანტი, დე იონგი, ბალოტელი.

**გაძევება:** მუნტარი (90. მილანი).

**კუთხური:** 5-7; **ჯარიმა:** 15-12; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 14-13 (7-5); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 82 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 17 | 15 | 1 | 1 | 39-11 | 46 |
| 2. რომა | 17 | 12 | 5 | 0 | 35-7 | 41 |
| 3. ნაპოლი | 17 | 11 | 3 | 3 | 36-20 | 36 |
| 4. ფიორენტინა | 17 | 10 | 3 | 4 | 33-19 | 33 |
| 5. ინტერი | 17 | 8 | 7 | 2 | 37-21 | 31 |
| 6. ვერონა | 17 | 9 | 2 | 6 | 31-26 | 29 |
| 7. ტორინო | 17 | 6 | 7 | 4 | 30-24 | 25 |
| 8. პარმა | 17 | 4 | 8 | 5 | 23-25 | 20 |
| 9. ჯენოა | 17 | 5 | 5 | 7 | 17-20 | 20 |
| 10. ლაციო | 17 | 5 | 5 | 7 | 22-26 | 20 |
| 11. უდინეზე | 17 | 6 | 2 | 9 | 17-22 | 20 |
| 12. კალიარი | 17 | 4 | 8 | 5 | 18-24 | 20 |
| 13. მილანი | 17 | 4 | 7 | 6 | 25-26 | 19 |
| 14. სამპდორია | 17 | 4 | 6 | 7 | 19-25 | 18 |
| 15. ატალანტა | 17 | 5 | 3 | 9 | 18-25 | 18 |
| 16. კიევო | 17 | 4 | 3 | 10 | 13-23 | 15 |
| 17. ბოლონია | 17 | 3 | 6 | 8 | 17-31 | 15 |
| 18. სასუოლო | 17 | 3 | 5 | 9 | 17-36 | 14 |
| 19. ლივორნო | 17 | 3 | 4 | 10 | 16-29 | 13 |
| 20. კატანია | 17 | 2 | 4 | 11 | 10-32 | 10 |

**ბომბარდირები:** 14 - როსი (ფიორენტინა); 11 - ტევესი (იუვენტუსი); 10 - პალასიო (ინტერი); 9 - ჩერჩი (ტორინო), იგუაინი (ნაპოლი); 8 - კალეხონი (ნაპოლი), იმობილე (ჯენოა).

### მომდევნო ტური

5 იანვარი: კიევო-კალიარი, ფიორენტინა-ლივორნო, იუვენტუსი-რომა; 6 იანვარი: ნაპოლი-სამპდორია, კატანია-ბოლონია, ჯენოა-სასუოლო, მილანი-ატალანტა, პარმა-ტორინო, უდინეზე-ვერონა, ლაციო-ინტერი.

### სერია B. XIX ტური

**ტერნანა-ტრაპანი 0:2**
გოლები: 0:1 მანკოზუ (51), 0:2 ნიძატო (90).

**პესკარა-პადოვა 1:0**
გოლი: 1:0 კუტოლო (80).

**ბრეშა-ვარეზე 4:2**
გოლები: 1:0 კარაჩოლო (3), 2:0 კარაჩოლო (14), 2:1 პავოლეტი (16), 3:1 სოდინია (61), 4:1 კარაჩოლო (72), 4:2 პავოლეტი (81).

**კარპი-პალერმო 1:0**
გოლი: 1:0 მემუშა (72).

**ჩეზენა-რეჯინა 3:1**
გოლები: 1:0 დალესანდრო (19), 2:0 კაშონე (55), 2;1 ჯერარდი (61), 3:1 როდრიგესი (73).

**ჩიტადელა-ბარი 1:1**
გოლები: 0:1 კალდერონი (63), 1:1 პერესი (90).

**კროტონე-იუვე სტაბია 1:1**
გოლები: 0:1 დი კარმინე (24), 1:1 კონტინი (57-საკ. კარში).

**ნოვარა-ემპოლი 0:1**
გოლი: 0:1 მაკარონე (9).

**სიენა-ლატინა 1:0**
გოლი: 1:0 როსეტი (38).

**სპეცია-ლანჩანო 2:0**
გოლები: 1:0 ბოვო (70), 2:0 ებაგუა (76).

**აველინო-მოდენა 2:1**
გოლები: 1:0 დანჯელო (42), 2:0 გალაბინოვი (66), 2:1 ბაბაქარი (84).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ემპოლი | 19 | 10 | 6 | 3 | 29-14 | 36 |
| 2. პალერმო | 19 | 10 | 4 | 5 | 30-16 | 34 |
| 3. აველინო | 19 | 9 | 6 | 4 | 23-18 | 33 |
| 4. კროტონე | 19 | 9 | 5 | 5 | 31-28 | 32 |
| 5. პესკარა | 19 | 8 | 7 | 4 | 30-22 | 31 |
| 6. ლანჩანო | 19 | 8 | 6 | 5 | 18-15 | 30 |
| 7. ჩეზენა | 19 | 7 | 8 | 4 | 23-16 | 29 |
| 8. სიენა | 19 | 8 | 8 | 3 | 32-22 | 27 |
| 9. სპეცია | 19 | 7 | 6 | 6 | 18-22 | 27 |
| 10. ვარეზე | 19 | 7 | 5 | 7 | 26-23 | 26 |
| 11. ბრეშა | 19 | 5 | 11 | 3 | 27-24 | 26 |
| 12. ტრაპანი | 19 | 6 | 8 | 5 | 25-22 | 26 |
| 13. ლატინა | 19 | 6 | 8 | 5 | 16-17 | 26 |
| 14. კარპი | 18 | 7 | 3 | 8 | 18-24 | 24 |
| 15. მოდენა | 19 | 5 | 6 | 8 | 23-22 | 21 |
| 16. ბარი | 19 | 5 | 8 | 6 | 20-21 | 20 |
| 17. ნოვარა | 19 | 4 | 8 | 7 | 18-27 | 20 |
| 18. ტერნანა | 19 | 4 | 7 | 8 | 23-24 | 19 |
| 19. ჩიტადელა | 19 | 3 | 9 | 7 | 17-26 | 18 |
| 20. პადოვა | 18 | 4 | 5 | 9 | 13-23 | 17 |
| 21. რეჯინა | 19 | 3 | 4 | 12 | 14-31 | 13 |
| 22. იუვე სტაბია | 19 | 1 | 6 | 12 | 17-34 | 9 |

**შენიშვნა:** სიენა - 5, ბარი - 3 ქულა.

**ბომბარდირები:** 13 - მანკოზუ (ტრაპანი), პავოლეტი (ვარეზე); 11 - ტავანო (ემპოლი), კარაჩოლო (ბრეშა); 10 - ერნანდესი (პალერმო), მანიერო (პესკარა), ბაბაქარი (მოდენა); 9 - ანტენუჩი (ტერნანა).

### სერია C1 A

ვენეცია-ალბინოლეფე 1:0, ლუმეცანე-სავონა 2:1, კარარეზე-პრო ვერჩელი 3:3, ენტელა-კრემონეზე 0:0, ფერალპიზალო-რეჯინა 2:0, პავია-კომო 1:1, სუდტიროლი-პროპატრია 2:0, ვიჩენცა-სან მარინო 1:0.

### სერია C1 B

სალერნიტანა-პაგანეზე 1:1, ბენევენტო-პრატო 3:0, კატანძარო-ლაკვილა 0:2, ფროზინონე-პერუჯა 1:1, გროსეტო-ბარლეტა 0:0, გუბიო-პონტედერა 2:2, ნოჩერინა-ასკოლი 2:2, პიზა-ვიარეჯო 0:1.

### ჰოლანდია

#### ერედივიზიე. XVIII ტური

**ვაალვაიკი-ტვენტე 1:1**
გოლები: 1:0 სნო (42), 1:1 კასტანიოსი (80)

**ალკმაარი-ჰეერენვეენი 1:5**
გოლები: 0:1 ბასაჩიკოღლუ (12), 0:2 ზიეჩი (20), 1:2 იოჰანსონი (40), 1:3 სლაგვეერი (45), 1:4 ფინბოგასონი (69), 1:5 ზიეჩი (73)

**ჰერაკლესი-ვიტესი 2:2**
გოლები: 0:1 ვან აანჰოლტი (6), 0:2 პიაზონი (41), 1:2 ლინსენი (51), 2:2 ლინსენი (77)

**ბრედა-კამბუური 1:0**
გოლი: 1:0 ადური (74)

**ფეიენოორდი-ზვოლე 3:0**
გოლები: 1:0 იმერსი (33), 2:0 იმერსი (39), 3:0 ბოეტიუსი (55)

**როდა-აიაქსი 1:2**
გოლები: 1:0 დაიკჰუიზენი (34), 1:1 რიდვალდი (88), 1:2 რიდვალდი (90+2)

**გრონინგენი-ნაიმეგენი 5:2**
გოლები: 1:0 დე ლეეუვი (14), 2:0 კოსტიჩი (24), 3:0 ვან აიდენი (27-ს.კ-ში), 4:0 დე ლეეუვი (49), 4:1 ჰემლეინი (57), 4:2 იაჰანბახში (63), 5:2 დე ლეეუვი (70)

**იგლსი-უტრეხტი 2:1**
გოლები: 0:1 ბადიეკი (4), 1:1 რაისდაიკი (14), 2:1 ვან დერ ლინდენი (74-პენ)

**ეინდჰოვენი-დენ ჰააგი 2:0**
გოლები: 1:0 ლოკადია (33-პენ), 2:0 ლოკადია (41)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აიაქსი | 18 | 11 | 4 | 3 | 41-17 | 37 |
| 2. ვიტესი | 18 | 11 | 4 | 3 | 42-24 | 37 |
| 3. ტვენტე | 18 | 9 | 7 | 2 | 41-18 | 34 |
| 4. ფეიენოორდი | 18 | 10 | 3 | 5 | 36-24 | 33 |
| 5. ჰეერენვეენი | 18 | 8 | 5 | 5 | 42-32 | 29 |
| 6. გრონინგენი | 18 | 7 | 6 | 5 | 36-32 | 27 |
| 7. ეინდჰოვენი | 18 | 7 | 5 | 6 | 35-25 | 26 |
| 8. ალკმაარი | 18 | 7 | 3 | 8 | 29-33 | 24 |
| 9. უტრეხტი | 18 | 7 | 3 | 8 | 26-34 | 24 |
| 10. იგლსი | 18 | 6 | 5 | 7 | 29-41 | 23 |
| 11. ზვოლე | 18 | 5 | 7 | 6 | 25-24 | 22 |
| 12. ბრედა | 18 | 6 | 4 | 8 | 29-32 | 22 |
| 13. ჰერაკლესი | 18 | 6 | 4 | 8 | 25-31 | 22 |
| 14. ვაალვაიკი | 18 | 4 | 6 | 8 | 25-34 | 18 |
| 15. როდა | 18 | 4 | 6 | 8 | 30-41 | 18 |
| 16. დენ ჰააგი | 18 | 5 | 2 | 11 | 21-40 | 17 |
| 17. კამბუური | 18 | 4 | 4 | 10 | 16-26 | 16 |
| 18. ნაიმეგენი | 18 | 3 | 6 | 9 | 29-49 | 15 |

**ბომბარდირები**- 17 - ალფრედ ფინბოგასონი (ჰეერენვეენი), 13 - გრაციანო პელე (ფეიენოორდი), 11 - არონ იოჰანსონი (ალკმაარი), ლუკას პიაზონი (ვიტესი)

**ლევან ბიბილაშვილი**

ინგლისი. პრემიერლიგა. XVII ტური

# არაჩვეულებრივი წინასაშობაო უქმეები

## ტურის მთავარი სანახაობა დღეს ღამით ლონდონში გაიმართება

### გავიტან, რამდენსაც მინდა

ფორმაში მყოფ „მანჩესტერ სიტის" „ფულჰემთან" მოუხდა დაპირისპირება, გუნდთან, რომელსაც ბოლო 9 შეხვედრიდან 8 წაგება ჰქონდა. მეტოქეთა შორის ძალთა ბალანსზე მეტს აღარაფერს ვიტყვით. სტუმარს ჩემპიონატში გასვლაზე თამაში შედარებით რომ უჭირს და კარის მშრალად შენახვას ვერ ახერხებს (მიმდინარე სეზონში „ქალაქელებმა" ეს მხოლოდ ერთხელ შეძლეს), ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა, რადგან **მანუელ პელეგრინის** გუნდი ბოლო პერიოდში უჩვეულოდ შედეგიანად თამაშობს. შეტევაზე გააკეთეს აქცენტი **რენე მალენსტენის** შეგირდებმაც, რადგან სხვა გამოსავალი მათ არც ჰქონდათ. შესაბამისად, „ქრევეინ კოტეჯზე" თვალსასეირო სანახაობა გაჩაღდა.

მეტოქეებმა სახიფათო მომენტები დებიუტშივე გაცვალეს. **ტაარაბტის** დარტყმა ძირითადში დაბრუნებულმა **ჰარტმა** მოიგერია, საპასუხო შეტევაში კი **დავიდ სილვამ** ხარიხას გაარტყა. რამდენიმე წუთში ბედმა უმუხთლა **ტურესაც**, ივუარელის დარტყმაც ხარიხას მოხვდა. იაიამ „თავისი წილი" გოლი მაინც გაიტანა. საჯარიმოს ხაზიდან აფრიკელის ეფექტურ სტანდარტულს **სტეკელენბურგმა** მხოლოდ თვალი გააყოლა. მეორე გოლში სტუმართა მცველები მონაწილეობდნენ: **დემიკელისის** თავურს საჯარიმოში **კომპანიმ** ფეხი დაუხვედრა. მეორე ტაიმი უკვე მასპინძელთა შეტევებით გაიხსნა. განსაკუთრებით აქტიურობდა ტაარაბტი, ვისაც ხან ჰარტი უშლიდა ხელს, ხანაც თანაგუნდელები არ აცლიდნენ კარში დარტყმას. მაროკოელს გოლი არა, მაგრამ შედეგიანი გადაცემა კი გამოუვიდა. კონტრშეტევაზე მან **რიჩარდსონი** თითქმის დაუცველ კართან დატოვა. ანგარიში კურიოზულ ვითარებაში გათანაბრდა. კომპანის ბურთი ფეხზე აეჭრა, უცნაური ტრაექტორიით მეკარეს თავზე გადააფრინდა და საბოლოო განსასვენებელი ბადეში პოვა. „სიტიმ" ძალები მოიკრიბა. შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელებმა **ნავასმა** და **მილნერმა** ორბურთიანი ფორა აღადგინეს. უკანასკნელმა **ნეგრედოს** ჯადოსნური პასით იხეირა.

### უკვე თერთმეტი

თამაშის წინა დღეს **ლუის სუარესმა** „ლივერპულს" ერთგულება შეჰფიცა და მასთან ახალ 5-წლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. „წითლების" მხრიდან ეს ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო. შეუძლებელი გვგონია, 5-წლიან კი არა უვადო კონტრაქტზე არ იფიქრო ფეხბურთელთან, ვისაც შეუძლია პრემიერლიგის 12 შეხვედრაში 19 გოლის გარდა 5 საგოლე გადაცემა მიითვალოს. კიდევ უფრო გამაოგნებელია ურუგვაელის შედეგი ბოლო 4 შეხვედრაში: 10 გოლი და 4 პასი. ლუისმა „ნორვიჩთან" პოკერის შემდეგ ზედიზედ მესამე შეხვედრაში შეასრულა დუბლი (ამჯერად მას ჰეთთრიკის შანსიც ჰქონდა, მაგრამ ძელს გაარტყა). თუკი უქმეებამდე სამხრეთამერიკელი გოლების რაოდენობით პრემიერლიგის 10 კლუბს აღემატებოდა, შაბათს მან მეთერთმეტე „მეტოქე" მოიტოვა უკან. და კიდევ ერთი შტრიხი სუარესის პორტრეტიდან: 83-ე წუთზე შეცვლაზე შესულ **აგერს** გუნდის კაპიტანმა მხარდაჭერის ნიშნად სამკლავური გადაულოცა. მოგეხსენებათ, დანიელი უთამაშებლობას უჩივის და წასვლაზე ფიქრობს.

გადარეულ სუარესთან და კომპანიასთან „ენფილდზე" გასამართი შეხვედრის წინ „კარდიფის" პრეზიდენტი **ვინსენტ ტანი მალკი მაკაის** გათავისუფლებით დაემუქრა. უელსელი გულშემატკივარი მერსისაიდს ფეხბურთელებზე მეტად გუნდის დამრიგებლის მხარდასაჭერად ეწვია და მატჩის შემდგომ, წაგების მიუხედავად, მწვრთნელს ფეხზე დამდგარი დიდხანს უხდიდა მადლობას. ხალხს ტრიბუნებზე პრეზიდენტის საწინააღმდეგო პლაკატები ჰქონდა გამოფენილი.

**ბრენდან როჯერსი** და მაკაი ძველი მეგობრები არიან, მაგრამ ფეხბურთმა ძმობა და მეგობრობა არ იცის. მასპინძელმა 3 ქულა აილო და თუნდაც 48 საათით, მაგრამ ცხრილს სათავეში მოექცა. რა შეიცვლება ამ მხრივ, დღეს ღამით „ემირეიტსზე" შევიტყობთ. ჩრდილოირლანდიელმა ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე დაუჭირა მხარი მეგობარს და განაცხადა, რომ „კარდიფის" პრეზიდენტი საფეხბურთო კულტურის ფუნდამენტური ღირებულებებისგან ძალიან შორს დგას.



პრემიერლიგელი მცველები ლუის სუარესის გაჩერებას თვეზე მეტია, ვერ ახერხებენ

### ეფექტური ჩემპიონი

„იუნაიტედმა" „ვესტ ჰემთან" სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა და აშკარად მეტს იმსახურებდა, ვიდრე 3:1 იყო. ეს ასეც მოხდებოდა, რომ არა არბიტრ **მაიკ ჯონსის** უხეში შეცდომები. მან „იუნაიტედის" სასარგებლოდ პირველ ტაიმში ჯერ 100%-იანი პენალტი არ დანიშნა, როცა **ნოუბლმა იანუზაის** ხელი ჰკრა, მეორეში კი **ერნანდესს** თამაშგარეს გამო სულაც გოლი გაუუქმა, არადა გამეორებაზე აშკარა იყო, რომ მექსიკელს წესი არ დაურღვევია. **რუნი** პასიური იყო შეტევაში, რადგან შედარებით სიღრმეში მოქმედებდა. მას შეტევების ორგანიზება არანაკლებ რომ ეხერხება, ვიდრე დაგვირგვინება, კიდევ ერთხელ დადასტურდა. **უელბეკმა** და **იანგმა** სწორედ მისი გადაცემებით ისარგებლეს. აღსანიშნავია, რომ იანუზაიმ კარიერაში პირველი გოლი გაიტანა „ოლდ ტრეფორდზე" (თანაც ძალიან ლამაზი), უელბეკმა კი მშობლიურ არენაზე 15-თვიანი პაუზის შემდეგ გამოიჩინა თავი. იანგის ეფექტური გოლის შემდეგ „იუნაიტედმა" ტემპს უკლო და მხოლოდ შედეგის შენარჩუნებაზე დაიწყო ზრუნვა. ამან არ გაამართლა - **კარლტონ კოულმა** სწრაფ კონტრშეტევაზე წავიდა და სხვაობა შეამცირა.

„იუნაიტედმა" როგორც იქნა, შეწყვიტა დანავსული საშინაო სერია ჩემპიონატში. მოგეხსენებათ, „ეშმაკებს" „ოლდ ტრეფორდზე" ზედიზედ ორი მატჩი ჰქონდათ წაგებული მინიმალური ანგარიშით „ევერტონთან" და „ნიუკასლთან".

### პულისი უძლურია

წინა ტურში „სტემფორდ ბრიჯზე" „პალასი" „ჩელსისთან" უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდა - 1:2. ამის გამო საყვედური არავის დასცდენია, თუმცა „ნიუკასლთან" შინ 0:3-ისთვის **ტონი პულისი** უკმაყოფილო შეძახილებს უკვე ველარ გადაურჩა. ანგარიში ასე გაიხსნა: **კაბაის** დარტყმული **ჟედინაკის** უმნიშვნელო რიკოშეტის შემდეგ **დელეინის** ფეხებს შორის გაუძვრა. **სპერონის** შანსები ამ ეპიზოდში მინიმალური იყო. მეორედ **გებიდონმა** „გამოჩინა თავი". 34 წლის ვეტერანი ჩვეულებრივ სათამაშო სიტუაციაში ვერ გაერკვა. მან საკუთარი კარი დალაშქრა, არადა, ბურთი რომ გაეტარებინა, არაფერი დაშავდებოდა. ბოლოს კი შეცვლაზე შესულმა **პარმა** საჯარიმოში **შოლა ამეობის** წინააღმდეგ დაარღვია თამაშის წესები. პენალტი **ბენ არფამ** გაჭირვებით, მაგრამ გაიტანა.

### ადებაიორის წამალი

**ტიმ შერვუდმა** „ტოტენჰემი" სერიოზულად გადაახალისა და თასზე მტკივნეული მარცხის შემდეგ ჩემპიონატში მნიშვნელოვანი მოგება იზეიმა. რაც მთავარია, გაამართლა მისმა მთავარმა ცვლილებამ. **ადებაიორმა**, მართალია მცველების უხეში შეცდომების წყალობით, მაგრამ დუბლი გაიფორმა. ეფექტურად ითამაშა **სოლდადომაც**. ესპანელმა 1:1-ზე დიდებული საგოლე გადაცემა გააკეთა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

## შოტლანდია

### პრემიერშიპი. XVII ტური

| | |
|---|---|
| სელტიკი-ჰართსი | 2:0 |

გოლები: 1:0 კომონსი (64), 2:0 ფორესტი (90+3)

| | |
|---|---|
| დანდი იუნ-როს ქაუნთი | 1:0 |
| ჰიბერნიანი-სტ. ჯონსტონი | 0:0 |
| კილმარნოკი-პატრიკი | 2:1 |
| მოზერველი-სტ. მირენი | 3:0 |
| ინვერნესიაბერდინი | 3:4 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 16 | 13 | 3 | 0 | 38-12 | 42 |
| 2. დანდი იუნ | 17 | 9 | 5 | 3 | 34-12 | 32 |
| 3. აბერდინი | 17 | 10 | 2 | 5 | 28-17 | 32 |
| 4. ინვერნესი | 16 | 10 | 2 | 4 | 26-15 | 32 |
| 5. მოზერველი | 17 | 10 | 1 | 6 | 21-24 | 31 |
| 6. სტ. ჯონსტონი | 16 | 6 | 4 | 6 | 22-17 | 22 |
| 7. ჰიბერნიანი | 17 | 4 | 6 | 7 | 10-16 | 18 |
| 8. სტ. მირენი | 16 | 4 | 4 | 8 | 14-26 | 16 |
| 9. კილმარნოკი | 17 | 4 | 3 | 10 | 19-29 | 15 |
| 10. პატრიკი | 16 | 3 | 5 | 8 | 14-27 | 14 |
| 11. როს ქაუნთი | 16 | 3 | 2 | 11 | 17-32 | 11 |
| 12. ჰართსი | 17 | 3 | 3 | 11 | 13-29 | -3 |

* ჰართსს დაკლებული აქვს 15 ქულა

### ლივერპული-კარდიფი 3:1

**გოლები:** 1:0 სუარესი (25), 2:0 სტერლინგი (42), 3:0 სუარესი (45), 3:1 მატჩი (58)

**ლივერპული (4-2-3-1):** მინიოლე - ჯონსონი, შკრტელი, სახო, ფლენაგანი (55. კელი) - ლეივა, ალენი - კოუტინიო (83. აგერი), სტერლინგი, ჰენდერსონი - სუარესი

**კარდიფი (4-2-3-1):** მარშალი - ტეოფილ-კეტრინი, კოლკერი, ტერნერი, ტეილორი - მატჩი, მედელი (55. კემპბელი) - ნუნუ, გუნარსონი (80. კორნელიუსი), უიტინგემი - ოდემვინგი (55. კიმი)

**გაფრთხილება:** შკრტელი, სტერლინგი -

**კარში დარტყმა:** 27-10 (7-3) **კუთხური:** 9-5 **თამაშგარე:** 2-1 **ჯარიმა:** 11-13 **ბურთის ფლობა:** 69%-31%

**მაყურებელი:** 44 621

### პალასი-ნიუკასლი 0:3

**გოლები:** 0:1 კაბაი (25), 0:2 გებიდონი (39-ს.კ-ში), 0:3 ბენ არფა (86-პენ)

**პალასი (4-4-2):** სპერონი - მარიაპა, გებიდონი, დელეინი, მოქსი (46. პარი) - ჟედინაკი, ვორდი, პანჩეონი, ბენანი (46. ბოლასი) - ჯერომი (77. გეილი), შამახი

**ნიუკასლი (4-4-2):** კრული - დებუში, უილიამსონი, კოლოჩინი, სანტონი - ტიოტე, სისოკო, ანიტა, კაბაი (79. ბენ არფა) - გუფრანი, რემი (75. შ. ამეობი)

**გაფრთხილება:** შამახი - ტიოტე, კოლოჩინი

**კარში დარტყმა:** 9-13 (4-6) **კუთხური:** 3-7 **თამაშგარე:** 4-4 **ჯარიმა:** 11-14 **ბურთის ფლობა:** 33%-67%

**მაყურებელი:** 24 936

### ფულჰემი-სიტი 2:4

**გოლები:** 0:1 ი. ტურე (23), 0:2 კომპანი (43), 1:2 რიჩარდსონი (50), 2:2 (69-ს.კ-ში), 2:3 ნავასი (78), 2:4 მილნერი (83)

**ფულჰემი (4-4-2):** სტეკელენბურგი - რიტერი, სენდეროსი (37. ამორებიეტა), ჰიუზი, რიისე - პარკერი, სიდუელი, კარაგუნისი (82. ბენტი), რიჩარდსონი - ტაარაბტი, დეჟაგა (65. კასამი)

**სიტი (4-4-2):** ჰარტი - კლიში, დემიკელისი, კომპანი, კოლაროვი - ფერნანდინიო, ი. ტურე, დ. სილვა (84. ხ. გარსია), ნასრი (75. მილნერი) - ჯეკო (58. ნავასი), ნეგრედო

**გაფრთხილება:** კარაგუნისი - დემიკელისი

**კარში დარტყმა:** 12-17 (5-10) **კუთხური:** 4-4 **თამაშგარე:** 4-2 **ჯარიმა:** 7-15 **ბურთის ფლობა:** 46%-54%

**მაყურებელი:** 25 509

### იუნაიტედი-ვესტ ჰემი 3:1

**გოლები:** 1:0 უელბეკი (26), 2:0 იანუზაი (36), 3:0 იანგი (72), 3:1 კ. კოული (81)

**იუნაიტედი (4-4-2):** დე ხეა - რაფაელი, სმოლინგი, ევანსი, ევრა (80. ბიუტნერი) - კლევერლი, ჯონსი, ვალენსია, იანუზაი (69. იანგი) - რუნი, უელბეკი (54. ერნანდესი)

**ვესტ ჰემი (4-4-2):** კასტილიო - დემელი, კოლინსი (75. რაცი), ტომკინსი, მაკარტნი - ტეილორი (62. კოლისონი), დიამე, ნოუბლი, მორისონი - ჯარვისი (71. კ. კოული), მაიგა

**გაფრთხილება:** იანუზაი - მორისონი, ჯარვისი, ტომკინსი, მაკარტნი

**კარში დარტყმა:** 21-4 (8-1) **კუთხური:** 8-2 **თამაშგარე:** 3-2 **ჯარიმა:** 7-16 **ბურთის ფლობა:** 62%-38%

**მაყურებელი:** 75 350

### სტოკი-ასტონ ვილა 2:1

**გოლები:** 1:0 ადამი (50), 1:1 კოზაკი (66), 2:1 კრაუჩი (70)

**სტოკი (4-4-1-1):** ბეგოვიჩი - კემერონი, შოუკროსი, უილსონი, პიტერსი - ნზონზი, უელანი, არნაუტოვიჩი (46. ადამი), ასაიდი (72. პენანტი) - უოლტერსი, კრაუჩი

**ასტონ ვილა (4-4-2):** გუზანი - ლოუტონი, ჰერდი, კლარკი, ბეიკერი - ვესტვუდი, დელფი, ოლბრაიტონი (81. ბაკუნა), ტონევი (67. ბოუერი) - ვაიმანი, კოზაკი

**გაფრთხილება:** უილსონი - ოლბრაიტონი, კლარკი, დელფი, ჰერდი, ვესტვუდი

**კარში დარტყმა:** 12-14 (2-4) **კუთხური:** 6-7 **თამაშგარე:** 3-3 **ჯარიმა:** 13-17 **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 26 003

### სანდერლენდი-ნორვიჩი 0:0

**სანდერლენდი (4-1-4-1):** მანონე - ჩელუსტკა, ოში, ბრაუნი, ბერდსლი - კატერმოული - კი, ლარსონი (90+5. რობერჯი), ბორინი, ჯაკერინი (63. ჯონსონი) - ალტიდორი (68. ფლეტჩერი)

**ნორვიჩი (4-4-2):** რადი - უიტეიკერი, ტერნერი, ბასონგი, ოლსონი - ჯონსონი, ფერი, სნოდგრასი, რედმონდი - ჰუპერი, ელმანდერი (77. ვან ვოლფსვინკელი)

**გაფრთხილება:** ლარსონი, ბორინი - უიტეიკერი

**გაძევება:** ბრაუნი (90+4) -

**კარში დარტყმა:** 19-14 (4-5) **კუთხური:** 6-7 **თამაშგარე:** 1-1 **ჯარიმა:** 13-10 **ბურთის ფლობა:** 59%-41%

**მაყურებელი:** 37 778

### ვესტ ბრომვიჩი-ჰალი 1:1

**გოლები:** 0:1 ლივერმორი (28), 1:1 ვიდრა (86)

**ვესტ ბრომვიჩი (4-2-3-1):** ფოსტერი - ჯონსი, მაკაული, ოლსონი, რიჯუელი (79. გერა) - მულუმბუ, მორისონი - სინკლერი (46. ბერაინო), ბრანტი, სესინიონი (69. ვიდრა) - ლონგი

**ჰალი (3-4-1-2):** მაკგრეგორი - დევისი, ბრუსი, ჩესტერი - ლივერმორი, მეილერი, ფიგეროა, ელმოჰამადი - ჰადლსტოუნი - საგბო (89. ფრაიატი), გრემი (80. ბოიდი)

**გაფრთხილება:** ჯონსი, გერა - მეილერი

**კარში დარტყმა:** 14-6 (3-3) **კუთხური:** 9-2 **თამაშგარე:** 1-2 **ჯარიმა:** 8-15 **ბურთის ფლობა:** 60%-40%

**მაყურებელი:** 24 753

### საუთჰემპტონი-ტოტენჰემი 2:3

**გოლები:** 1:0 ლალანა (13), 1:1 ადებაიორი (25), 1:2 ჰოიველდი (54-ს.კ-ში), 2:2 ლამბერტი (59), 2:3 ადებაიორი (64)

**საუთჰემპტონი (4-3-3):** გასანიგა - ჩემბერსი, ლოვრენი, ჰოიველდი, ფოქსი (78. გალაგერი) - დევისი (69. რამირესი), შნაიდერლინი, კორკი (64. ვორდ-პრაუსი) - როდრიგესი, ლალანა, ლამბერტი

**ტოტენჰემი (4-4-1-1):** ლორისი - უოლკერი, დოუსონი, კორიკეში, როუზი - ერიქსენი, დემბელე (50. ბენტალები), ლამელა (61. შადლი), სიგურდსონი - ადებაიორი, სოლდადო (85. დეფო)

**გაფრთხილება:** ვორდ-პრაუსი - სიგურდსონი

**კარში დარტყმა:** 11-13 (5-3) **კუთხური:** 2-5 **თამაშგარე:** 3-3 **ჯარიმა:** 10-18 **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მაყურებელი:** 31 455

### სუონსი-ევერტონი 1:2

**გოლები:** 0:1 კოულმანი (66), 1:1 ოვიედო (70 ს.კ.), 1:2 ბერკლი (84)

**სუონსი (4-2-3-1):** ტრემელი - ტიენდალი, ჩიკო, უილიამსი, დევისი - კანიასი, დე გუზმანი (86. პოსუელო) - ერნანდესი, შელვი, რუტლეჯი (66. ლამა) - ბონი (75. ვასკესი)

**ევერტონი (4-2-3-1):** ჰოვარდი - კოულმანი, იაგიელკა, დისტენი, ოვიედო - მაკარტი, ბერი - მირალიაში (78. ოსმანი), ბერკლი, პიენაარი (78. ნეისმიტი) - ლუკაკუ

**გაფრთხილება:** დევისი

**კარში დარტყმა:** 13-14 (3-6) **კუთხური:** 4-8 **თამაშგარე:** 3-1 **ჯარიმა:** 11-10 **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 18 700

### 23 დეკემბერი

| | |
|---|---|
| არსენალი-ჩელსი | 00:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლივერპული | 17 | 11 | 3 | 3 | 42-19 | 36 |
| 2. სიტი | 17 | 11 | 2 | 4 | 51-20 | 35 |
| 3. არსენალი | 16 | 11 | 2 | 3 | 33-17 | 35 |
| 4. ევერტონი | 17 | 9 | 7 | 1 | 29-16 | 34 |
| 5. ჩელსი | 16 | 10 | 3 | 3 | 32-18 | 33 |
| 6. ნიუკასლი | 17 | 9 | 3 | 5 | 24-22 | 30 |
| 7. ტოტენჰემი | 17 | 9 | 3 | 5 | 18-23 | 30 |
| 8. იუნაიტედი | 17 | 8 | 4 | 5 | 28-20 | 28 |
| 9. საუთჰემპტონი | 17 | 6 | 6 | 5 | 22-18 | 24 |
| 10. სტოკი | 17 | 5 | 6 | 6 | 17-21 | 21 |
| 11. სუონსი | 17 | 5 | 5 | 7 | 23-23 | 20 |
| 12. ჰალი | 17 | 5 | 5 | 7 | 14-20 | 20 |
| 13. ასტონ ვილა | 17 | 5 | 4 | 8 | 17-23 | 19 |
| 14. ნორვიჩი | 17 | 5 | 4 | 8 | 15-29 | 19 |
| 15. კარდიფი | 17 | 4 | 5 | 8 | 13-25 | 17 |
| 16. ბრომვიჩი | 17 | 3 | 7 | 7 | 18-23 | 16 |
| 17. ვესტ ჰემი | 17 | 3 | 5 | 9 | 14-22 | 14 |
| 18. პალასი | 17 | 4 | 1 | 12 | 11-27 | 13 |
| 19. ფულჰემი | 17 | 4 | 1 | 12 | 17-34 | 13 |
| 20. სანდერლენდი | 17 | 2 | 4 | 11 | 12-30 | 10 |

ბომბარდირები: 19 - ლუის სუარესი (ლივერპული), 13 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), 9 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული), იაია ტურე (მანჩესტერ სიტი),

### მომდევნო ტური

26 დეკემბერი: ჰალი-მანჩესტერ იუნაიტედი, ასტონ ვილა-პალასი, კარდიფი-საუთჰემპტონი, ჩელსი-სუონსი, ევერტონი-სანდერლენდი, ნიუკასლი-სტოკი, ნორვიჩი-ფულჰემი, ტოტენჰემი-ვესტ ბრომვიჩი, ვესტ ჰემი-არსენალი, მანჩესტერ სიტი-ლივერპული

### ჩემპიონშიპი. XXI ტური

| | |
|---|---|
| ქუინზ პარკი-ლესტერი | 0:1 |

გოლი: 0:1 ვარდი (41)

| | |
|---|---|
| ბოლტონი-ჩარლტონი | 1:1 |

გოლები: 0:1 კერმოგრანტი (11), 1:1 მაკნაუტონი (45)

| | |
|---|---|
| ბარნლი-ბლექპული | 2:1 |

გოლები: 1:0 ინგსი (7), 1:1 კეტკარტი (24), 2:1 არფილდი (47)

| | |
|---|---|
| დერბი-დონკასტერი | 3:1 |

გოლები: 1:0 ვორდი (13), 2:0 დოუკინსი (50), 2:1 ბაქსტონი (64-ს.კ-ში), 3:1 ბრაისონი (78)

| | |
|---|---|
| იპსვიჩი-უოტფორდი | 1:1 |

გოლები: 1:0 მაკგოლდრიკი (73-პენ), 1:1 დინი (81)

| | |
|---|---|
| რედინგი-უიგანი | 1:2 |

გოლები: 0:1 მაკანი (10), 0:2 პაუელი (12), 1:2 პოგრებნიაკი (68)

| | |
|---|---|
| შეფილდ უენ-ბორნმუთი | 1:2 |

გოლები: 0:1 რიჩი (10), 0:2 გრებანი (27), 1:2 მაგომა (82)

| | |
|---|---|
| იოვილი-ბლექბერნი | 0:1 |

გოლი: 0:1 როუდსი (59)

| | |
|---|---|
| მილუოლი-მიდლსბრო | 0:2 |

გოლები: 0:1 ლედესმა (49), 0:2 ადომა (89)

| | |
|---|---|
| ლიდსი-ბარნსლი | 0:0 |
| ბრაიტონი-ჰადერსფილდი | 0:0 |
| ბირმინგემი-ნოტინგემი | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარნლი | 21 | 12 | 7 | 2 | 33-15 | 43 |
| 2. ქუინზ პარკი | 21 | 12 | 6 | 3 | 24-11 | 42 |
| 3. ლესტერი | 21 | 13 | 3 | 5 | 33-22 | 42 |
| 4. დერბი | 21 | 12 | 4 | 5 | 45-27 | 40 |
| 5. ლიდსი | 21 | 10 | 4 | 7 | 32-23 | 34 |
| 6. რედინგი | 21 | 9 | 7 | 5 | 30-24 | 34 |
| 7. ნოტინგემი | 21 | 8 | 9 | 4 | 29-22 | 33 |
| 8. ბრაიტონი | 21 | 8 | 8 | 5 | 25-18 | 32 |
| 9. იპსვიჩი | 21 | 8 | 7 | 6 | 31-25 | 31 |
| 10. ბლექპული | 21 | 8 | 7 | 6 | 24-25 | 31 |
| 11. ბლექბერნი | 21 | 8 | 6 | 7 | 26-24 | 30 |
| 12. უიგანი | 20 | 8 | 4 | 8 | 24-23 | 28 |
| 13. ჰადერსფილდი | 21 | 7 | 6 | 8 | 25-24 | 27 |
| 14. უოტფორდი | 21 | 6 | 8 | 7 | 31-29 | 26 |
| 15. ბორნმუთი | 21 | 7 | 4 | 10 | 26-39 | 25 |
| 16. ბირმინგემი | 21 | 6 | 6 | 9 | 26-26 | 24 |
| 17. მიდლსბრო | 21 | 5 | 8 | 8 | 32-31 | 23 |
| 18. ბოლტონი | 21 | 5 | 8 | 8 | 23-27 | 23 |
| 19. მილუოლი | 21 | 5 | 6 | 10 | 25-42 | 21 |
| 20. დონკასტერი | 21 | 5 | 5 | 11 | 18-37 | 20 |
| 21. ჩარლტონი | 21 | 4 | 7 | 10 | 17-26 | 19 |
| 22. შეფილდ უენ. | 20 | 3 | 8 | 9 | 22-31 | 17 |
| 23. იოვილი | 21 | 4 | 5 | 12 | 17-28 | 17 |
| 24. ბარნსლი | 21 | 3 | 7 | 11 | 19-38 | 16 |

ბომბარდირები: 16 - როს მაკორმაკი (ლიდსი), 13 - ჯორდან როუდსი (ბლექბერნი), 12 - დენი ინგსი (ბარნლი)

### ლიგა 1. XXI ტური

ტრანმერი-ჯილინგემი 1:2, ქროუ-შრიუსბერი 1:1, ლეიტონი-ქროული 2:3, მილტონი-პორტ ვეილი 3:0, ნოთს ქაუნთი-ბრისტოლ ს. 1:1, ოლდჰემი-კოლჩესტერი 0:2, პიტერბორო-ბრედფორდი 2:1, პრესტონი-ბრენტფორდი 0:3, როტერჰემი-ვულვზი 3:3, სტივენიჯი-შეფილდ იუნ 0:0, სუინდონი-ქოვენთრი 2:1, უოლსოლი-კარლაისლი 2:0

### ლიგა 2. XXI ტური

ექსეტერი-ჩესტერფილდი 0:2, საუთენდი-როჩდეილი 1:1, ბრისტოლ რ-პორტსმუთი 2:0, დაგენჰემი-ტორკი 0:1, ფლიტვუდი-ჩელტენჰემი 0:2, ჰარტლპული-ბარტონი 1:1, მანსფილდი-აკრინგტონი 2:3, ნორთჰემპტონი-უიკომბი 1:4, პლიმუთი-ბერი 2:1, სკანტორპი-მორკემბი 2:0, იორკი-ოქსფორდი 0:0, ნიუპორტი-უიმბლდონი გადაიდო

საფრანგეთი. ლიგა 1. XIX ტური

# მონაკოს სენსაციური მარცხი

## სენსაციური პარასკევი

„მონაკომ“ პსჟ-სა და „ლილის“ ურთიერთშეხვედრით ვერ ისარგებლა და სენსაციური მარცხი განიცადა, თანაც „ვალანსიენთან“, რომელსაც იქამდე ლიგა 1-ში გასვლაზე გამართული 22 შეხვედრიდან მხოლოდ 1 ჰქონდა მოგებული. ერთ-ერთმა გამოკვეთილმა აუტსაიდერმა ამით გარკვეული შანსები გაიჩინა და ჩამოსაწერად გამზადებული, უსაფრთხო ზონას მიუახლოვდა, ქება ეკუთვნის ვეტერან მწვრთნელ **არიელ იაკობსს. კლაუდიო რანიერის** გუნდი კი თუ მაინც ოცნებობდა ჩემპიონობაზე, ახლა ეს უნდა დაივიწყოს. ბოლო 10 წუთი ძალიან საინტერესო გამოდგა, 0:2-ის მიუხედავად „ლუი II-ის“ მკვიდრნი არ ნებდებოდნენ და როგორც იქნა, მინდორზე გამოჩენილმა **რადამელ ფალკაომ** პენალტი მოინადირა. თერთმეტმეტრიანის ალად ქცევა თავად შეცვლაზე შემოსულმა კოლუმბიელმა გადაწყვიტა, მაგრამ ძალიან ცუდად დაარტყა და **ნიკოლა პენეტომ** აუღო. მიუხედავად ამისა, წუთში მისმა თანამემამულემ **ჯეიმს როდრიგესმა** სხვაობა შეამცირა. როდრიგესს ცოტა ხანში გათანაბრებაც შეეძლო, მაგრამ თამაშგარე დაუფიქსირეს. იქამდე (0:2-ზე) ამავე მიზეზით გაუქმდა **კურზავას** მიერ სტუმართა კარში გატანილი ბურთიც.

## მწვანეების გზა ხსნილია

მიუხედავად იმისა, რომ „სენტ ეტიენს“ თასზე პსჟ-სთან 120-წუთიანი ომი გადახდა თავს, „მწვანეებს“ დაღლილობა არ ეტყობოდათ და მათ „ნანტს“ პრინციპული მატჩი მოუგეს. ეს **კრისტოფ გალტიეს** გუნდის მე-4 გამარჯვებაა ლიგა 1-ის ხუთ მატჩში. **მევლუთ ერდინჩმა** კი ყველა ტურნირს თუ ავიღებთ, მიჯრით მეხუთე შეხვედრაში გაიტანა გოლი. „სენტ ეტიენი“ მე-5 ადგილზე დამკვიდრდა და თუ 8 იანვარს „ევიანთან“ გადადებულ თამაშში ქულას მაინც აიღებს ერთი ადგილით კიდევ აინაცვლებს.

„ვალანსიენისა“ არ იყოს, ცოტათი გამოფხიზლდა და ხავსს ჩაეჭიდა „სოშოც“. მართალია, მონბელიარელების შანსებზე და გადარჩენაზე საუბარი ჯერ არასერიოზულია, მაგრამ ეს მატჩი აქტივში ჩავუწეროთ. მატჩის გმირი **სედრიკ ბაკამბუ** გახდა, რომელმაც დუბლი გაიფორმა და სეზონში უკვე 6 გოლი მოუგროვდა. სტუმართა მხრიდან **რომენ ალესანდრინიმ** შეაგდო, რაც ნიშნავს, რომ უკანასკნელ 4 თამაშში მას 3 გოლი აქვს გატანილი, მაგრამ მთლიანობაში „რენის“ თამაში უკვე ვერანაირ კრიტიკას ველარ უძლებს.

სამაგიეროდ, არაფერი შველის „აიაჩოს“, კორსიკელები ალბათ სეზონის ბოლოს ხელს დაგვიქნევენ და ლიგა 2-ში ჩაინაცვლებენ. მათი მეკარე **გილერმო ოჩოა** ყველაფერს აკეთებდა და სადამდეც შეეძლო გაძლო, მაგრამ... 59-ე წუთიდან 77-ე წუთამდე მაყურებლებმა ერთბაშად 5 (!) გოლი ნახეს, 4 აქედან „აიაჩოს“ კარში გავიდა. **გაეტან შარბონიეს** რაც იქამდე ჰქონდა გაფუჭებულ-ვერგატანილი ამ მატჩში აინაზღაურა, ნავსი სწორედ ექსმონპელიელმა გატეხა და 3 წუთში 2 მშვენიერი გოლით სტუმრებს თავიანთი ადგილი მიუჩინა.

**კლოდ პუელის** „ნიცამ“ დაგვიდასტურა, რომ კრიზისი დაძლეულია. ნიცელებს დებიუტში უამრავი მომენტი ჰქონდათ - **დარიო ცვიტანიჩის** ძელი და ასე შემდეგ. თუმცა წინ „ევიანი“ გავიდა. ამან „ალიანს რივიერას“ ბინადრები არ გატეხა და მეორე ტაიმში მათ სამართლიანობა აღადგინეს. გაიბრწყინა **ერიკ ბოტეაკმა**, იგი ამჯერად დუბლით გამოირჩა. ერთ-ერთი გადაცემა 25 წლის **კრისტიან ბრიულის** იყო, რომელიც კლასიკურ „მეპასედ“ ყალიბდება და ამ საინტერესო ფეხბურთელს სეზონის ბოლოს ალბათ „გენტი“ გაიწვევს, რადგან თავისთან აათამაშოს ან სარფიანად გაყიდოს.

ძელი, მეკარე **ალი აჰამადას** ბრწყინვალე თამაში და რა აღარ დაეხმარა „ტულუზს“ იმაში, რომ საკუთარ კედლებში არ წაეგო „გენგამთან“. 0:0 დაფიქსირდა კორსიკაზე „ბასტიასა“ და „მონპელიეს“ შეხვედრაშიც. მასპინძლები კი ფლობდნენ ტერიტორიულ უპირატესობას, მაგრამ მინიმუმ 2 ძალიან მწვავე მომენტი **როლან კურბისის** გუნდსაც ჰქონდა. ასეა თუ ისე, „მონპელიე“ უკვე ძალიან სახიფათოდ ახლოსაა გასავარდნ ზონასთან. ისე, მიუხედავად ორი უგოლო მატჩისა, წლის ბოლო ტური საკმაოდ უხვგოლიანი გამოდგა.

## მამა-შვილი და უხვგოლიანი ფრეები

„მარსელის“ ყოფილმა მეკარემ, ამჟამად კი „ბორდოს“ კაპიტანმა **სედრიკ კარასომ** ბევრი რთული ბურთი მოიგერია, სანამ ჟირონდელები წინ გავიდოდნენ. შემდეგ, **ფრანსის ჟიიოს** გუნდმა ორბურთიანი უპირატესობით წაიყვანა და თითქოს ჩემპიონატში მიყოლებით მეხუთე გამარჯვება უნდა ეზეიმა, თანაც როგორი მნიშვნელოვანი, მაგრამ „ოლიმპიკმა“ პატარა გმირობა ჩაიდინა. 73-ე წუთზე **ჟაკ-ალექსის რომაომ** დასწრებაზე იჟოჩალა და აქტიური **ფლორიან ტოვენის** დარტყმულს დაამატა, ხოლო 74-ეზე **ანდრე-პიერ ჟინიაკმა ბენჟამინ მენდის** პასით გაათანაბრა, იგი 8 გოლით კლუბის საუკეთესო ბომბარდირია. ბოლოს მარსელელებმა კინაღამ მოიგეს, მაგრამ **სულეიმან დიავარას** დარტყმა პირდაპირ კარასოსკენ წავიდა. სტუმართა მხრიდან ზედიზედ მესამედ გაიტანა **ნიკოლა მორის-ბელაიმ,** რაც შესანიშნავი შედეგია თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ ფეხბურთელს 247 მატჩში სულ 11 გოლი აქვს გატანილი.

დრამატული და საინტერესო იყო „ლორიანისა“ და „ლიონის“ დაპირისპირებაც. **კრისტიან გურკუფის** შესანიშნავ ფორმაში მყოფი მასპინძლები დასაწყისში მძიმედ გამოიყურებოდნენ და ამით ლიონელებმა ისარგებლეს - **კლემან გრენიემ** უმცროსი **გურკუფის,** იოანის პასით გაიტანა. მეორე ნახევრის დებიუტშივე **ბაფე გომისმა** თავისი მორიგი, კერძოდ მე-7 გოლი შემოგვთავაზა. **ვენსან პატე აბუბაქარი** კი აღარ ხუმრობს, 21 წლის კამერუნელმა მე-11 გოლი შეაგდო და ისევ **ზლატან იბრაჰიმოვიჩსა** და **ედინსონ კავანის** მისდევს. „ვალანსიენის“ ექსფორვარდმა ბრეტონელები თამაშში დააბრუნა და „ლორიანს“ ბოლომდე ბრძოლა 92-ე წუთზე დაუფასდა, უფროსი გურკუფის ცვლილებამ გაამართლა - 92-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა **ალენ ტრაორემ** გაათანაბრა. ასე რომ, ლორიანელებმა მიჯრით მე-6 გამარჯვება ველარ იზეიმეს, მაგრამ წაუგებელი სერია 8 შეხვედრამდე გაზარდეს. „ლიონი“ კი ახალ წელს ზუსტად მე-10 ადგილზე შეხვდება.

**გიორგი კაკაბაძე**

**მონაკო-ვალანსიენი 1:2**

**გოლები:** 0:1 აბიდალი (30-ს.კ.), 0:2 დუკურტიუ (58), 1:2 ჯ.როდრიგესი (84)

**მონაკო (4-3-3):** სუბაშიჩი - რაჯი (64. ფერეირა-კარასკო), რ.კარვალიო, აბიდალი, კურზავა - მოუტინიო, ტულალანი, ობადი - მარტიალი (56. ოკამპოსი), ჯ. როდრიგესი, რივიერი (46. ფალკაო)

**სტ. ეტიენი-ნანტი 20:00**

**გოლები:** 1:0 კორნიე (24), 2:0 ერდინჩი (83-პენ.)

**ბასტია-მონპელიე 0:0**

**ნიცა-ევიანი 3:1**

**გოლები:** 0:1 მონგონგუ (27-პენ.), 1:1 ბოტეაკი (60), 2:1 ბოტეაკი (69), 3:1 ბოსეტი (86)

**რეიმსი-აიაჩო 4:1**

**გოლები:** 1:0 შარბონიე (59), 2:0 შარბონიე (62), 3:0 ატარი (73), 3:1 ედუარდო (74), 4:1 აიიტე (77)

**სოშო-რენი 2:1**

**გოლები:** 1:0 ბაკამბუ (18-პენ.), 1:1 ალესანდრინი (41-პენ.), 2:1 ბაკამბუ (71)

**ტულუზი-გენგამი 0:0**

**მარსელი-ბორდო 2:2**

**გოლები:** 0:1 ჟუსი (34), 0:2 მორის-ბელაი (66), 1:2 რომაო (73), 2:2 ჟინიაკი (74)

**მარსელი (4-3-3):** მანდანდა - აბდალა, ნკულუ, დიავარა, მენდი - ლემინა (69. ჯ. აიუ), რომაო, იმბულა (85. ბენუა შეირუ) - ტოვენი, პაიე (59. ხელიფა), ჟინიაკი

**ლორიანი-ლიონი 2:2**

**გოლები:** 0:1 გრენიე (21), 0:2 გომისი (49), 1:2 აბუბაქარი (60), 2:2 ა. ტრაორე (90+2)

**ლიონი (4-2-3-1):** ა. ლოპეში - მ. ლოპეში (78. ფერი), ბიშევაცი, უმტიტი, ბედიმო - გონალონი, ფოფანა - გრენიე (88. მალბრანკი), ლაკასეტი, გურკუფი - გომისი

**პსჟ-ლილი 2:2**

**გოლები:** 1:0 იბრაჰიმოვიჩი (36), 1:1 რიო მავუბა (44), 1:2 ს. კალუ (53-პენ.), 2:2 ბაშა (72-ს.კ.)

**პსჟ (4-3-3):** სირიგუ - ვან დერ ვილი, ალექსი (67. პასტორე), ტიაგო სილვა, დინი (76. რაბიო) - ვერატი, ტიაგო მოტა, მატუიდი - ლუკასი, ლავეცი (76. მენეზი), იბრაჰიმოვიჩი

**ლილი (4-3-1-2):** ენიეამა - ბერია (56. სიდიბე), როზენალი, ბაშა, სუარე - რიო მავუბა, ბალმონი, გეიე - მარტენი (68. როდელენი) - ს. კალუ, რუ (82. ორიგი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 19 | 13 | 5 | 1 | 44-13 | 44 |
| 2. მონაკო | 19 | 12 | 5 | 2 | 31-13 | 41 |
| 3. ლილი | 19 | 12 | 4 | 3 | 22-8 | 40 |
| 4. ბორდო | 19 | 8 | 7 | 4 | 27-21 | 31 |
| 5. სტ. ეტიენი | 18 | 9 | 3 | 6 | 27-20 | 30 |
| 6. მარსელი | 19 | 8 | 5 | 6 | 27-20 | 29 |
| 7. ნანტი | 19 | 9 | 2 | 8 | 23-17 | 29 |
| 8. რეიმსი | 19 | 7 | 8 | 4 | 23-21 | 29 |
| 9. ლორიანი | 19 | 8 | 3 | 8 | 26-26 | 27 |
| 10. ლიონი | 19 | 6 | 7 | 6 | 28-27 | 25 |
| 11. ტულუზი | 19 | 6 | 7 | 6 | 20-24 | 25 |
| 12. გენგამი | 19 | 6 | 6 | 7 | 19-19 | 24 |
| 13. ბასტია | 19 | 6 | 6 | 7 | 21-26 | 24 |
| 14. ნიცა | 19 | 7 | 2 | 10 | 18-25 | 23 |
| 15. რენი | 19 | 5 | 6 | 8 | 22-24 | 21 |
| 16. ევიანი | 18 | 5 | 5 | 8 | 19-31 | 20 |
| 17. მონპელიე | 19 | 2 | 11 | 6 | 18-24 | 17 |
| 18. ვალანსიენი | 19 | 3 | 5 | 11 | 17-28 | 14 |
| 19. სოშო | 19 | 2 | 5 | 12 | 15-39 | 11 |
| 20. აიაჩო | 19 | 1 | 6 | 12 | 13-34 | 9 |

**ბომბარდირები:** 15 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 12 - ედინსონ კავანი (პსჟ); 11 - ვენსან აბუბაქარი (ლორიანი); 9 - ალექსანდრ ლაკასეტი (ლიონი), რადამელ ფალკაო (მონაკო).

**მომდევნო ტური**

8 იანვარი. სტ.ეტიენი-ევიანი (გადადებული მატჩი)
10 იანვარი. მონპელიე-მონაკო
11 იანვარი. აიაჩო-პსჟ, ბორდო-ტულუზი, გენგამი-სტ. ეტიენი, ლიონი-სოშო, რენი-ნიცა, ვალანსიენი-ბასტია;
12 იანვარი. ნანტი-ლორიანი, ევიანი-მარსელი, ლილი-რეიმსი.



რადამელ ფალკაომ პენალტი თავად მოიპოვა და თავადვე გააფუჭა

მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი


მოზიმე ბაიერნი

# ბაიერნის მეხუთე ტიტული

**მატჩი მე-3 ადგილისთვის**

**გუანჯოუ-ატლ. მინეირო 2:3**

**გოლები:** 0:1 დიეგო ტარდელი (2), 1:1 მურიკი (9), 2:1 კონკა (15-პენ), 2:2 რონალდინიო (45), 2:3 ლუანი (90)

**გაძევება:** რონალდინიო (87. ატლეტიკო მინეირო)

**ფინალი**

**ბაიერნი-რაჯა კასაბლანკა 2:0**

**გოლები:** 1:0 დანტე (7), 2:0 ტიაგო ალკანტარა (22)

**ბაიერნი (4-1-4-1):** ნოიერი - რაფინია, ჟ. ბოატენგი, დანტე, ალაბა - ლამი - შაჩირი (80. გიოტცე), ტიაგო ალკანტარა, კროოსი (60. ხავი მარტინესი), რიბერი - მიულერი (76. მანჯუკიჩი)

**რაჯა კასაბლანკა (4-2-3-1):** ასკრი - ელ ჰაშიმი, ბელმაალემი, ულპაჯი, კარუში - გუეპი, რაკი - შტიბი (50. მაბიდე), მუტუალი, ჰაფიდი (88. კაშინი) - იაჟური (78. სულაიმანი)

**გაფრთხილება:** ულპაჯი, სულაიმანი

**კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 13-17; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 11-11 (7-5); **ბურთის ფლობა:** 73%-27%

**მაყურებელი:** 37 774

**ბომბარდირები:** 2 - რონალდინიო (ატლეტიკო მინეირო), დარიო კონკა (გუანჯოუ ევერგრანდი), სესარ დელგადო (მონტერეი), მუჰსინე იაჟური (რაჯა კასაბლანკა)

მიუნხენის „ბაიერნმა“ 2013 წელი მორიგი ტიტულის მოგებით დაასრულა. გერმანიის ჩემპიონატის და თასის, ჩემპიონთა ლიგის და ევროპის სუპერთასის შემდეგ, „რეკორდმაისტერმა“ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზეც იმარჯვა და წელიწადი მაჟორულ ნოტზე დაასრულა. მიუნხენელებმა საკლუბო მუნდიალი პირველად მოიგეს, საკონტინენტთაშორისო თასი კი „ბაიერნს“ ორჯერ, 1976 და 2001 წლებში მოუგია.

ფინალური შეხვედრის ფავორიტი, რა თქმა უნდა, **ხოსეპ გვარდიოლას** გუნდი იყო, რომელმაც შეხვედრის ბედი უკვე 22-ე წუთზე გადაწყვიტა. ანგარიში მეშვიდე წუთზე კუთხურის შემდეგ **დანტემ** გახსნა. მაროკოელებს თამაშგარე მდგომარეობის შექმნა სურდათ, მაგრამ ბრაზილიელი გამოეპარათ, რომელმაც **ჟერომ ბოატენგის** პასი მიიღო და ხუთი მეტრიდან გაიტანა. ზუსტად 15 წუთში კი „ბაიერნმა“ მეორეც გაიტანა - **დავიდ ალაბას** პასით **ტიაგო ალკანტარამ** ისარგებლა და **ასკრის** შანსი არ დაუტოვა. 2:0-ის შემდეგ გასაგები გახდა, რომ მიუნხენელები უპირატესობას ხელიდან არ გაუშვებდნენ და პირველი ნახევარიც მშვიდ გარემოში დასრულდა.

მეორე ტაიმში მასპინძლებს რამდენიმე შანსი ჰქონდათ, რომელთაგანაც ყველაზე რეალური 84-ე წუთზე შეიქმნა. „ბაიერნის“ მცველების შეცდომის შემდეგ, ცვლილებაზე გამოსული **ვიანეი მაბიდე მანუელ ნოიერთან** პირისპირ დარჩა, მაგრამ ბურთი პირდაპირ მეკარეს გაარტყა, დამატებაზე კი **მუჰსინე მუტუალიმ** ვერ ივარგა, რომელმაც 7 მეტრიდან კარს ააცილა. საბოლოოდ, 2:0 და „ბაიერნი“ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს დაუეფლა.

*„წელიწადში ხუთი ტიტულის მოგება ძალიან დიდი წარმატებაა. ბედნიერი ვარ და ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით. ახლა, ორკვირიანი პაუზა გვაქვს, რომლის შემდეგაც საქმეს დავუბრუნდებით და ახალ გამოწვევებს შევეჭიდებით. მიღწეულით კმაყოფილები ვართ, მაგრამ უკვე წინ ვიყურებით და მომავალზე ვფიქრობთ. ჩემმა ფეხბურთელებმა იცოდნენ, რომ მაქსიმალური თავდადების გარეშე, წარმატებას ვერ მივაღწევდით. პირველი 25 წუთის განმავლობაში ძალიან კარგად ვითამაშეთ, მაგრამ ამის შემდეგ ზეწოლა შევამცირეთ და ძალიან ცოტა საგოლე მომენტი შევქმენით,“* - განაცხადა ხოსეპ გვარდიოლამ.

ფინალური მატჩის დასრულებით შემდეგ საუკეთესო ფეხბურთელის დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. ოქროს ბურთი და ტურნირის საუკეთესო მოთამაშის პრიზი **ფრანკ რიბერიმ** დაიმსახურა, ვერცხლის ბურთი **ფილიპ ლამმა** მოიგო, ბრინჯაოს მფლობელი კი „რაჯა კასაბლანკას“ ფორვარდი **მუჰსინე იაჟური** გახდა, რომელიც ორი გოლით, **რონალდინიოსთან, სესარ დელგადოსთან** და **დარკო კონკასთან** ერთად, ტურნირის საუკეთესო ბომბარდირადაც მოგვევლინა.

**ტატო ბაციკაძე**



ხელბურთი

# თურქეთში ისრაელის გავლით

2015 წელს ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპი გაიმართება. ამ შეჯიბრების გადამწყვეტ რაუნდში მოსახვედრად ევროპელები უკვე ჩაებნენ შესარჩევ ტურნირში. მოასპარეზეთა შორისაა საქართველოს ნაკრები, რომელმაც საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი შეხვედრა ლიტვაში 17:23 დათმო, ხოლო შინ ფინეთის ნაკრებს 26:19 აჯობა. ეროვნული ჩემპიონატის შემდეგ ქართველი ხელბურთელები კვლავ შეიკრიბნენ თბილისში მსოფლიო ჩემპიონატის გადამწყვეტი საკვალიფიკაციო მატჩებისთვის მოსამზადებლად. ორთაბრძოლები 2-11 იანვარს გაიმართება. ჩვენი გუნდი (მეკარეები - **შოთა თევზაძე** (რუმინეთის „შტიინცა ბაკეუ", 21.02.1981, 200 სმ), **გიგა ტორონჯაძე,** (თურქეთის „ტრაბზონსფორი", 07.02.1989, 188 სმ), **გაგა სამყურაშვილი,** (ბათუმი, 16.12.1985, 188 სმ), ხაზის მოთამაშეები - **გიორგი გვაზავა** (სტუ, 19.08.1978, 198 სმ), **უჩა მაისურაძე** (ბათუმი, 24.04.1986, 187 სმ), **ლევან ბერძენიშვილი** (სტუ, 06.07.1986, 192 სმ), შუამარბ-გამთამაშებლები - **სერგო დათუკაშვილი** (ლიბიის „ას სადი", 28.04.1978, 198 სმ), **ირაკლი ჩიქოვანი** (რუმინეთის „ტიმიშოარა", 28.07.1989, 197 სმ), გამთამაშებელი - **აკაკი ტალახაძე** (უგუნდო, 22.05.1983, 191 სმ), შუამარბები - **ვლადიმერ რუსია** (რუმინეთის „შტიინცა ბაკეუ", 30.05.1984, 202 სმ), **რატი მსხვილიძე** (თურქეთის „ტრაბზონსფორი", 19.06.1986, 208 სმ), **ზურაბ სიმონია** (სტუ, 25.08.1994, 190 სმ), **თეიმურაზ ორჯონიკიძე** (სტუ, 07.02.1996, 197 სმ), **ლექსო წითელიშვილი** (სამტრედია, 20.08.1992, 190 სმ), გარემარბ-გამთამაშებელი - **უჩა გამზარდია** (ბათუმი, 17.04.1990, 172 სმ), გარემარბები - **ზურაბ აბრამიშვილი** (სტუ, 23.01.1994, 193 სმ), **ილია გოგალაძე** (სტუ, 31.07.1986, 190 სმ), **რეზო ჭანტურია** (მაკედონიის „ზომიმაკ-სტრუმიცა", 31.05.1982, 177 სმ), **ოთარ ამირანაშვილი** (სტუ, 27.09.1987, 195 სმ), მთავარი მწვრთნელი **ჯორჯე რასიჩი,** მწვრთნელები - **ირაკლი კეკელიძე, ბექარ ორჯონიკიძე)** სერბი ჯორჯე რასიჩის ხელმძღვანელობით 25 დეკემბრამდე თბილისში ივარჯიშებს, შემდეგ შეკრებაზე ისრაელში გაემგზავრება, სადაც ერთ ამხანაგურ მატჩსაც გამართავს, 2 იანვარს კი ანკარაში თურქეთთან შესარჩევ მატჩს გამართავს. 5 და 8 იანვარს თბილისის სპორტის სასახლეში ვუმასპინძლებთ თურქეთსა და ლიტვას. ქართველი ხელბურთელები საკვალიფიკაციო ეტაპს 11 იანვარს ფინეთში დაასრულებენ. მსოფლიო ჩემპიონატის პლეი ოფში მხოლოდ ჯგუფის გამარჯვებული გადის.

უკვე ნაკრებთან ერთად ვარჯიშობენ რუმინეთში მოთამაშეები - შოთა თევზაძე, ვლადიმერ რუსია და ირაკლი ჩიქოვანი, ლიბანში მოასპარეზე სერგო დათუკაშვილი, „ტრაბზონსფორის" ხელბურთელები - რატი მსხვილიძე და გიგა ტორონჯაძე, რომლებმაც თურქეთის ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო ტურში წარმატებით ითამაშეს: „ტრაბზონმა" 21 დეკემბერს სტუმრად „მილი პიანგო" 27:24 დაამარცხა, მსხვილიძემ 5 გოლი გაიტანა. ქართველთა გუნდი პირველი წრის შემდეგ 14 ქულით (7 მოგება, 6 წაგება) მეხუთე ადგილზეა. 13 მოგებით „ბეშიქთაში" ლიდერობს. რევაზ ჭანტურიას „ზომიმაკ-სტრუმიცამ" მეცამეტე მატჩი მოიგო მაკედონიის ჩემპიონატში სტუმრად „პელისტერთან" - 17:16. 7 გოლი ჭანტურიას ანგარიშზეა. 27-29 დეკემბერს „სტრუმიცა" ჰოლანდიის საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებს - პრალის „დუკლას", ბარსელონის მეორე გუნდსა და მასპინძელთა „ეუროტეხ-ბევოს" დაუპირისპირდება. ჭანტურიაც საქართველოს ნაკრებს ამ ტურნირის შემდეგ შეუერთდება.



მსოფლიოს 2015 წლის ჩემპიონატის ევროპის 1 საკვალიფიკაციო ჯგუფში ამჟამად ასეთი მდგომარეობაა: ლიტვა - 4, საქართველო, ფინეთი - 2-2, თურქეთი - 0 ქულა.

პლეი ოფამდე დარჩენილ შეხვედრათა კალენდარი:

**2 იანვარი.** ფინეთი - ლიტვა თურქეთი - საქართველო.

**4 იანვარი.** ლიტვა - ფინეთი, **5 იანვარი.** საქართველო - თურქეთი.

**8 იანვარი.** საქართველო - ლიტვა, თურქეთი - ფინეთი.

**11 იანვარი.** ფინეთი - საქართველო, **12 იანვარი.** ლიტვა - თურქეთი.

ვაჟა დანელია




კალათბურთი. ქართველები უკრაინაში



## ოდესა დაამარცხეს, ქიმიაში ჩაიჭრნენ

პარასკევსა და შაბათს **გიორგი ცინცაძემ** უკრაინის ჩემპიონატში ორი შეხვედრა ჩაატარა. ორივე ერთმანეთისგან პოლარულად განსხვავებული გამოდგა: პირველში ცინცაძემ შედეგიანად ითამაშა უჩვენა და მისმა „დონეცკმა" „ოდესა" 95:74 დაამარცხა, ხოლო გუშინ დონეცკელებმა შინ „ხიმიკთან" 86:95 დათმეს.

„ოდესასთან" გიორგიმ 24 წუთი ითამაშა, 11 ქულა, 3 პასი და 2 მოხსნა ჩაიწერა. მან 2-დან 2 სამქულიანი, 4-დან 2 ორიანი და 2-დან 1 საჯარიმო გამოიყენა.

„ხიმიკთან" ქართველი გამთამაშებლის მონაგარი ასეთი იყო: 22 წუთი, 5 ქულა, 6 პასი, 1 მოხსნა.

„დონეცკი" 5 იანვრამდე დაისვენებს, ამ დღეს კი ვითიბი ლიგაზე პეტერბურგის „სპარტაკს" ესტუმრება.

## ისევ 13

საქართველოს ნაკრების უკანახაზელმა **ლევან ფაცაციამ** უკრაინის ჩემპიონატში 24 ნოემბრიდან მოყოლებული მეხუთე მატჩი ჩაატარა და ერთხელ არ ჩამოსცილებია 10-ქულიან ნიშნულს. ლევანმა ხუთიდან სამ შემთხვევაში 13 ქულა ჩააგდო. გუშინ მან „ფეროსთან" გასვლით შეხვედრაში 29 წუთში 13 ქულა, 9 მოხსნა, 4 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა.

ფაცაციას „დნიპრო-აზოტმა" კი ვერაფერი მოუხერხა ფეროელებს, მიუხედავად იმისა, რომ პირველი და მესამე პერიოდები მოიგო, საბოლოოდ მაინც დამარცხდა - 68:79.

27 დეკემბერს „აზოტი" „ოდესას" უმასპინძლებს.

ვაჟა სიმონიშვილი



კალათბურთი. | ქორქია-საკანდელიძის მემორიალი



# დინამო და სოხუმი... დინამო თუ სოხუმი?



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ლეგენდარული კალათბურთელების ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალი აქამდე ყოველთვის იანვარში იმართებოდა. წლეულს კი დეკემბერში გადმოიტანეს და გუნდებიც შეჯიბრებას სათანადო ფორმაში შეხვდნენ, რადგან სუპერლიგის პირველი წრე ახლახან დასრულდა.

ვინაიდან მონაწილეობა ნებაყოფლობითი იყო, რეგიონების გუნდები, „ბათუმი" და „ქუთაისი" არ ჩამოვიდნენ. შეჯიბრებას ასევე გამოაკლდა „მაქაბი".

მონაწილეები ორ ჯგუფად გაიყვნენ და თითოდან საუკეთესომ ავტომატურად მიიღო ფინალის საგზური. ესენი არიან „დინამო" და „სოხუმი". 2013 წელს ერთი შეკითხვაღა რჩება: ვინ მოიგებს მემორიალს, „დინამო" თუ „სოხუმი"?

### A ჯგუფი

**20 დეკემბერი**

**რუსთავი–დინამო 62:88**

13:17, 11:26, 16:23, 22:22

**რუსთავი:** მაჭავარიანი (7ქ, 3ჩ), გ. არაბული, არწივიძე, ხმელიძე (4ქ), აბაიშვილი (13ქ), ჩაჩანიძე (2ქ, 3პ), ყველაშვილი (4ქ), ჯ. არაბული, გუგავა (2ქ), გაგნიძე, მაისურაძე (4ქ, 6მ), ათუაშვილი (26ქ, 13მ, 2დ).

**დინამო:** გამყრელიძე (10ქ, 5პ), ს. ლეჟავა, კარტერი (21ქ, 8მ, 3პ, 4ჩ), ბ. ლეჟავა (6ქ), ვახანია (2ქ), ლილუაშვილი (4ქ, 7პ), მილოშევიჩი (12ქ, 5მ), პეშიჩი (17ქ, 7მ, 3პ), ჭოჭუა (10ქ, 4პ), ანთაძე (4ქ, 6მ), ორმოცაძე (2ქ).

**21 დეკემბერი**

**რუსთავი–შსს აკადემია 69:57**

16:14, 21:9, 16:13, 16:21

**რუსთავი:** მაჭავარიანი (2ქ), გ. არაბული (6მ), არწივიძე (3პ), ხმელიძე (16ქ, 5მ), აბაიშვილი (5ქ, 5პ), ჩაჩანიძე (2ქ), ალხანაიძე (2ქ), ჯ. არაბული (2ქ), გუგავა (9ქ, 9მ), გაგნიძე, მაისურაძე (7ქ), ათუაშვილი (24ქ, 16მ).

**შსს** აკადემია: ქიტოშვილი (4ქ), გოგალაძე (4ქ, 3პ), გუგეშაშვილი (6ქ, 3ჩ), კვანტალიანი (11ქ, 7მ, 3პ, 3ჩ), მირზიაშვილი (12ქ, 10მ), ლოლიშვილი (4ქ, 6მ), გელაზონია (11ქ, 5მ, 3ჩ), დ. როგავა, გორდულაძე (5ქ, 3ჩ), ლორთქიფანიძე.

**22 დეკემბერი**

**დინამო–შსს აკადემია 91:59**

20:11, 28:13, 18:17, 25:18

**დინამო:** გამყრელიძე (2ქ, 7პ), ს. ლეჟავა (4ქ), კარტერი (12ქ), ბ. ლეჟავა (2ქ, 4პ), ვახანია (4ქ, 4პ), ლილუაშვილი (5ქ), მილოშევიჩი (16ქ 11მ, 4პ), პეშიჩი (14ქ, 6მ), ჭოჭუა (19ქ, 7მ), ანთაძე, ორმოცაძე (9ქ, 3პ).

**შსს** აკადემია: ქიტოშვილი, გოგალაძე (6ქ), გუგეშაშვილი (3ქ), მირზიაშვილი (4ქ, 7მ), ლოლიშვილი, ხეთაგური (2ქ), გელაზონია (16ქ, 8მ, 4პ), დ. როგავა (2ქ), გორდულაძე (14ქ), ლორთქიფანიძე (12ქ).

| გუნდი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 2 | 2 | 0 | 4 |
| 2. რუსთავი | 2 | 1 | 1 | 3 |
| 3. შსს აკადემია | 2 | 0 | 2 | 2 |

„შსს აკადემიას" მწვრთნელებმა ძირითადი გუნდის დასვენება გადაწყვიტეს, საქართველოს თასისთვის ვემზადებითო, ამიტომ მემორიალზე გუნდი ძირითადად თინეიჯერებით დაკომპლექტდა. კალათბურთელებმა თავი დადებითი კუთხით დაგვამახსოვრეს, თუმცა ჯგუფიდან გასვლა ვერც მათ შეძლეს და ვერც „რუსთავმა".

ამაო გამოდგა ქვემოქართლელი **სერგო ათუაშვილის** მონდომება, რომელმაც 26 ქულას 13 მოხსნა მიამატა - „დინამომ" „რუსთავი" პირველივე ტურში დაამარცხა და საბოლოოდ ფინალის საგზურიც მოიპოვა.

რუსთაველებთან შეხვედრაში თბილისელთაგან ქულაუხვობით **ქიენ კარტერი** გამოირჩა - 21 ქულა, 8 მოხსნა.

### B ჯგუფი

**20 დეკემბერი**

**ოლიმპი–არმია 52:73**

16:12, 10:24, 14:22, 12:15

**ოლიმპი:** გულისაბედაშვილი (11ქ), ბაქრაძე, მიქელაძე (3ქ, 5მ), გოგოძე (4ქ), ხანიაშვილი (3ქ), თენიეშვილი (10ქ, 6მ), ათანელიშვილი (5ქ, 10მ), ფხაკაძე, ხიზანიშვილი (14ქ), ლომიძე (2ქ).

**არმია:** ბაბიაშვილი (6ქ, 5მ), ბოისა (5ქ, 3პ), ბერიშვილი (10ქ, 6მ), კვიმსაძე (2ქ, 3პ), ჯგერენაია (16ქ, 3დ), ნივნივაძე (7ქ, 6პ), ტუჯანი (7ქ, 5პ), შარაბიძე (11ქ, 5მ), კვეტენაძე, ჩაჩიბაია (9ქ).

**21 დეკემბერი**

**სოხუმი–ოლიმპი 81:72**

25:15, 17:17, 25:17, 14:23

**სოხუმი:** ივანიჩი (13ქ), გოლეთიანი, ჩლაიძე (13ქ, 3ჩ), კოპალიანი, შვანგირაძე, გაბისონია, ბააკაშვილი (14ქ), ქადარია (5ქ), საიმონსი (20ქ, 11მ, 3პ, 3ჩ, 3დ), დეკანოიძე, ბექაური (7ქ), ჯექსონი (9ქ, 8მ, 5პ).

**ოლიმპი:** გულისაბედაშვილი (12ქ, 3პ, 3ჩ), ნადირაძე, ბაქრაძე, მიქელაძე (3ქ, 5მ, 7პ), თავართქილაძე, გოგოძე (5ქ), ხანიაშვილი (10ქ), თენიეშვილი (7ქ, 7მ), ათანელიშვილი (12ქ), ფხაკაძე (2ქ), მათიაშვილი (20ქ, 9მ, 6პ, 3ჩ), ლომიძე (1ქ).

**20 დეკემბერი**

**არმია–სოხუმი 58:68**

11:10, 13:18, 22:19, 12:21

**არმია:** ბაბიაშვილი, ბოისა (3ქ, 3პ), ბერიშვილი (17ქ, 9მ), კვიმსაძე (11ქ), ჯგერენაია (11ქ, 12მ), ნივნივაძე (8ქ), ტუჯანი (4ქ, 7მ), შარაბიძე (4ქ, 5მ), ჩაჩიბაია.

**სოხუმი:** ივანიჩი (6ქ, 3პ), ჩლაიძე (9ქ), შვანგირაძე (3ქ), ბააკაშვილი (2ქ), ქადარია (8ქ, 8მ), საიმონსი (9ქ, 13მ), ბექაური (2ქ), ჯექსონი (29ქ, 5პ).

წინასწარ ცხადი იყო, რომ ყველაფერი ჯგუფური ეტაპის მესამე დღეს უნდა გარკვეულიყო, რადგან ბოლო ტურში ერთმანეთს მეტ-ნაკლებად თანაბარი ძალის გუნდები, „სოხუმი" და „არმია" ხვდებოდნენ. სუპერლიგის მეცხრე ტურში სოხუმელებმა არმიელებს დიდი სხვაობით სძლიეს. ამჯერად შეხვედრა თავიდან ბოლომდე თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და **ვაჟა კვარაცხელიას** შეგირდებმა ბოლოსლა მოიპოვეს მცირე უპირატესობა, რაც თამაშის მოგების საწინდარი გახდა.

„სოხუმის" წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით მეფარეებს, რომლებმაც დაცვაში კარგად იმუშავეს, თუმცა გადამწყვეტი მაინც **ჯოშუა ჯექსონის** სიზუსტე აღმოჩნდა, რომელმაც შეხვედრა 29 ქულით დაასრულა.

რაც შეეხება „ოლიმპს", აღსანიშნავია, რომ სწორედ მემორიალზე გაუვიდა დისკვალიფიკაციის ვადა **რიჩარდ მათიაშვილს** და იგი გუნდს „სოხუმთან" შეხვედრაში სიუხვით დაუბრუნდა.

| გუნდი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. სოხუმი | 2 | 2 | 0 | 4 |
| 2. არმია | 2 | 1 | 1 | 3 |
| 3. ოლიმპი | 2 | 0 | 2 | 2 |

**24 დეკემბერი**

სპორტკომპლექსი არენა

**V ადგილისთვის**

13:00 შსს აკადემია-ოლიმპი

**III ადგილისთვის**

15:00 არმია-რუსთავი

**ფინალი**

17:00 დინამო-სოხუმი

ვაჟა სიმონიშვილი

ქართველები ესპანეთში



## სტუმრების დღე

დასავლეთიბერიიდან ორი ამბავი მივიღეთ, ერთი კარგი, მეორე - ცუდი. კარგით დავიწყოთ: **ბექა ბურჯანაძის** „კახასოლმა" ესპანეთის ჩემპიონატში სტუმრად „ესტუდიანტესთან" ითამაშა და 61:54 გაიმარჯვა.

ბექამ 6 წუთში 2 ქულა ჩააგდო.

არასასიამოვნო ამბავი არაგონიდანაა - **გიორგი შერმადინისა** და **ვიქტორ სანიკიძის** „სარაგოსა" შინ „გიპუზკოასთან" 67:92 დამარცხდა.

ორივე ქართველი სასტარტო ხუთეულში იყო. შერმადინმა 20 წუთში 12 ქულა და 5 მოხსნა მოინაგრა, სანიკიძემ - 22 წუთში 3 ქულა და 2 მოხსნა.

„კახასოლსა" და „სარაგოსას" 5-5 მოგების ნილ 6-6 წაგება აქვთ და დანარჩენ სამ გუნდთან ერთად მერვე-მეთორმეტე ადგილებს ინაწილებენ.

ვაჟა სიმონიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს 2013 წლის რჩეული სპორტსმენი

წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად ვაგრძელებთ მკითხველთა ვერსიით ყოველწლიურ ტრადიციულ გამოკითხვას

/კანდიდატების სია შედგენილია ანბანის მიხედვით/

- ☐ **ალექსანდრე ამისულაშვილი** - ფეხბურთი
- ☐ **ვლადიმერ გეგეშიძე** - ბ\რ ჭიდაობა, ევროპა II
- ☐ **მამუკა გორგოძე** - რაგბი
- ☐ **ლაშა გურული** - სამბო, მსოფლიო II, ევროპა III
- ☐ **ზურაბ დათუნაშვილი** - ბ\რ ჭიდაობა, ევროპა II
- ☐ **გიორგი ედიშერაშვილი** - თავ. ჭიდაობა, ევროპა I
- ☐ **ჯაბა კანკავა** - ფეხბურთი
- ☐ **გურამ კაშია** - ფეხბურთი
- ☐ **მერაბ კვირიკაშვილი** - რაგბი
- ☐ **ნიკო კუცია** - სამბო, ევროპა II
- ☐ **ვალერი ლიპარტელიანი** - ძიუდო, მსოფლიო II, ევროპა II
- ☐ **გიორგი ლორია** - ფეხბურთი
- ☐ **კახა მამულაშვილი** - სამბო, მსოფლიო III, ევროპა III
- ☐ **მანუჩარ მარკოიშვილი** - კალათბურთი
- ☐ **დავით მარსაგიშვილი** - თავ. ჭიდაობა, ევროპა I
- ☐ **სალომე მელია** - ჭადრაკი, ევროპა II
- ☐ **ნოდარ მეტრეველი** - სამბო, მსოფლიო III, ევროპა II
- ☐ **ლევან ნახუცრიშვილი** - სამბო, მსოფლიო I
- ☐ **ადამ ოქრუაშვილი** - ძიუდო, ევროპა II
- ☐ **ამირან პაპინაშვილი** - ძიუდო, ევროპა I
- ☐ **გენო პეტრიაშვილი** - თავ. ჭიდაობა, ევროპა III
- ☐ **ზებედა რეხვიაშვილი** - ძიუდო, ევროპა III
- ☐ **ნინო სალუქვაძე** - ტყვიის სროლა, მსოფლიოს თასი II
- ☐ **ვიქტორ სანიკიძე** - კალათბურთი
- ☐ **ნუგზარ ტატალაშვილი** - ძიუდო, ევროპა II
- ☐ **გურამ ფერსელიძე** - ბ\რ ჭიდაობა, ევროპა III
- ☐ **პაატა ღვინიაშვილი** - ქართული ჭიდაობა, საქართველოს ფალავანი
- ☐ **ლაშა შავდათუაშვილი** - ძიუდო, ევროპა I
- ☐ **მერაბ შარიქაძე** - რაგბი
- ☐ **გიორგი შერმადინი** - კალათბურთი
- ☐ **ვახტანგ ჩიდრაშვილი** - სამბო, მსოფლიო I, ევროპა II
- ☐ **გიორგი ცინცაძე** - კალათბურთი
- ☐ **ავთანდილ ჭრიკიშვილი** - ძიუდო, მსოფლიო II, ევროპა I
- ☐ **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** - თავ. ჭიდაობა, ევროპა III

**შენიშვნა:** *სიაში მოხვდნენ სპორტსმენები, ვინც დიდებში, ანდა პარალელურად ახალგაზრდებში 2013 წელს თავი გამოიჩინეს საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე, აგრეთვე სპორტის სათამაშო სახეობებიდან პოპულარობის ინდექსით.*

*თქვენი რჩეული სპორტსმენი შეიტანეთ ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ანკეტაში და გამოგზავნეთ რედაქციაში, ან დააფიქსირეთ სპორტულ საიტზე* **www.sportall.ge** *ან გვაცნობეთ ტელეფონით ნომრებზე: 219 60 13; 219 60 53*

*(10-დან 18 საათამდე, 29 დეკემბრამდე).*

თარიღები და მოვლენები

### 23 - 26 დეკემბერი

**23. 1979.** დაიბადა **მირიან პავლიაშვილი** - სამბო

**23. 2010.** საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ 2010 წლის საუკეთესო სპორტსმენად მორაგბე **დავით ზირაქაშვილი** დაასახელა

**23. 2010. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** საქართველოს ჩემპიონები გახდნენ: **ლაშა გოგიტაძე (55 კგ), რევაზ ლაშხი (60), არჩილ თურმანიძე (66), მანუჩარ ცხადაია (74), ვლადიმერ გეგეშიძე (84), სანდრო დიხამინჯია (96), გურამ ფერსელიძე (მძიმე)**

**24. 2010 წ.** ქართულ ჭიდაობაში ქვეყნის ფალავნის ტიტული **ადამ ოქრუაშვილმა** მოიპოვა

**24-25. 2011. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** საქართველოს ჩემპიონატში იმარჯვეს: **ლაშა გოგიტაძემ** (55 კგ), **ირაკლი ჭოჭუამ** (60), **რევაზ ლაშხმა** (66), **მანუჩარ ცხადაიამ** (74), **რევაზ ნადარეიშვილმა** (84), **იოსებ ჯაბიძემ** (96) და **გურამ ფერსელიძემ** (120)

**25. 1945 წ.** თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა ამ დღეს რუმინულ ტურნეში ბოლო მატჩი ჩაატარეს და 5:0 მოუგეს ქ. ტიმომირის გუნდს

**25. 1951.** დაიბადა **დავით კვაჭაძე** - კრივი

**26. 1940.** დაიბადა **ვლადიმერ რუბაშვილი** - თ\ჭიდაობა. ტრაგიკულად დაიღუპა 1964 წელს

**26. 1954.** დაიბადა **ვახტანგ კოპალეიშვილი** - ფეხბურთი

**26. 1958.** დაიბადა **შოთა ხაბარელი** - ძიუდო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. ევროპის საკლუბო პირველობა

# სხვათა ქართველები

შაბათს პარიზში დასრულდა ევროპის საკლუბო ჩემპიონატი ძიუდოში, რომელშიც ქართული გუნდი არა, მაგრამ ქართველებით დაკომპლექტებული სამი უცხოური კლუბი კი გამოდიოდა. ერთი მათგანი – გერმანული „აბენსბერგი" ჩემპიონიც გახდა, პორტუგალიური „სპორტინგი" და თურქული „გალათასარაი" კი პირველივე წრიდან გამოვარდნენ.

„აბენსბერგი" ტურნირის ფავორიტი იყო და, საერთოდაც, ის ამ შეჯიბრების რეკორდსმენია. პირველ წრეში მან რომის „კარაბინერები" დაამარცხა – 5:0, მეორეში ასეთივე ანგარიშით რუსულ მაიკოპის „ადილეს" მოუგო, ნახევარფინალში კიდევ ერთი რუსული კლუბი, ოღონდ ვლადიკავკაზის „დინამო რნო-ალანია" დაჯაბნა, თუმცა მშრალი ანგარიშით ველარ იმარჯვა – 4:1 მოიგო, ფინალში კი ამავე ანგარიშით ფრანგულ „ლევალოისს" სძლია.

ადრე აბენსბერგელთა შემადგენლობაში ჩვენებურები ყოველთვის ბლომად გამოდიოდნენ, წლეულს კი აქაური ქართველებიდან მხოლოდ **ზებედა რეხვიაშვილი** (73) შემორჩა. კლუბმა ის პარიზში კი წაიყვანა, თუმცა მწვრთნელმა მხოლოდ ერთხელ დაიხმარა – ნახევარფინალში, სადაც ოსთა დაღესტნელი ფალავანი, ეროვნებით ტაბასარანელი ევროპის ვიცეჩემპიონი **კამალ ხან-მაგომედოვი** დააიპონა. დანარჩენ შეხვედრებში გერმანელები ადგილობრივ ფალავანს – **კრისტოფ ვიოლეკს** ენდნენ და იმანაც გაამართლა იმედები, სამივე პაექრობა მოიგო. თუმცა ფინალში ძალიან გაუჭირდა ფრანგ ევროპის ბრინჯაოს მედალოსან **პიერ დუპრატთან** – მხოლოდ იუკოთი იმარჯვა.

სამაგიეროდ, გერმანელთა წარმატებაში ლომის წილი დაიდო სხვათა ქართველმა, ბერძენთა ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ილიას ილიადისმა** (90), ოღონდ მწვრთნელმა მას მაქსიმალური შანსი არ მისცა – მხოლოდ სამ შეხვედრაში დააყენა. სამაგიეროდ, ილიადისმა სამივე პაექრობა იპონით მოიგო – იტალიელი კარაბინერი **ჯოვანი კაროლო**, ადილეელი **ნიკიტა შირობოკოვი** და ფინალში ფრანგი **ალექსანდრ იდირი** ვადამდე დაამარცხა. მას მხოლოდ ნახევარფინალში არ უჭიდავია და გერმანელებმა სწორედ იქ დათმეს პირველი პაექრობა – ფრანგი **კრისტოფ ლამბერტი მურატ გასიევთან** დამარცხდა.

გერმანელთა რიგებში კიდევ ერთი სხვათა ქართველი გამოდიოდა – უკრაინელთა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი **გიორგი ზანთარაია**. მწვრთნელებმა ის მხოლოდ ბოლოს დაიხმარეს – ფინალსა და ნახევარფინალში, გამოსვლა კი თითო მოგება-წაგებით დაასრულა - ჯერ ოსთა დაღესტნელი **აბდულა აბდულხალილოვი** დააიპონა, ფინალში კი ფრანგ **დმიტრი დრაჟინთან** ვაზარით წააგო.

ჩვენებურები ყველაზე ბლომად „გალათასარაის" რიგებში ირიცხებიან, თუმცა მათი უმეტესობა ტრავმების გამო არ ჭიდაობდა. თურქებს წილისყრამ არ გაუმართლა, რადგან პირველივე მეტოქედ მომავალი ფინალისტი „ლევალოისი" ერგოთ. ამ შეხვედრაში ორმა ჩვენებურმა იჭიდავა – **ნუგზარ**



ილიას ილიადისი (ჯარჯი ზვიადაური)

**ტატალაშვილმა** (73) და **ავთანდილ ჭრიკიშვილმა**, რომელიც ჩვეული 81-ის ნაცვლად 90-ში დააყენს და გასაკვირი არცაა, რომ წააგო. ტატალაშვილისთვის ეს პირველი ტურნირი იყო აგვისტოში, მსოფლიოს ჩემპიონატზე მიღებული ტრავმის შემდეგ და სასიხარულოა, რომ პაექრობა ალმავლობით ჩაატარა. თან, მეტოქეც არ ჰყავდა ხელწამოსაკრავი – ზემოხსენებული ფრანგი ევროპის მედალოსანი დუპრატი, რომელსაც ჩვენებურმა ვაზარით სძლია. ამით ტატალაშვილმა საერთო ანგარიშიც გაათანაბრა, რადგან მანამდე თურქები 0:1-ს აგებდნენ, თუმცა მისმა თანაგუნდელებმა შანსი ვერ გამოიყენეს – ყველამ წააგო. მათ შორის – ჭრიკიშვილმაც, ვინც ზემოხსენებულ იდირთან იპონით დამარცხდა. რომ არა **ვალერი ლიპარტელიანის** ტრავმა, სავარაუდოდ, თურქები 90-ში მას დააყენებდნენ, ახლა კი, ეტყობა, საკადრო პრობლემები შეექმნათ – ჭრიკიშვილის ზევით აწევის შემდეგ 81-ში **სეზერ ჰიუზუსი** აჭიდავეს, ვინც 73-ის ფალავანია.

როგორ გითხარით, პირველივე წრეში დამარცხდა კიდევ ერთი „ქართული" კლუბი - „სპორტინგი". პორტუგალიელთა რიგებში **ბექა ღვინიაშვილი** (90) და **ლევან მატიაშვილი** (+90) გამოვიდნენ. იჭიდავა ქუთაისელმა **ანრი ეგუტიძემაც** (73), ოღონდ ის უკვე პორტუგალიის მოქალაქეა.

„სპორტინგმა" მოსკოველებთან დასაწყისშივე წააგო სამი შეხვედრა (მათ შორის, ეგუტიძემაც – **სერგეი ნიკოლაევთან**), რითაც ორთაბრძოლის ბედიც გადაწყდა. ამდენად, იქაურები ჩვენებს ვერ დაემდურებიან. მით უფრო, მხოლოდ ამათ იმარჯვეს. მართალია, არაფრის მომცემ შეხვედრებში, მაგრამ მოგება მოგებაა. თანაც, მატიაშვილმა მსოფლიოს სამგზის გამარჯვებული, ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი **ალექსანდრ მიხაილინი** დააიპონა. რაც შეეხება ღვინიაშვილს, მან **ალექსანდრ როსლიაკოვს** მოუგო ასევე სუფთად.

**ირაკლი თავაძე**

შაში

# შველას ითხოვს!..

„ლელო" იტყობინებოდა, რომ მრავალი წლის შემდეგ შაში კვლავ დაუბრუნდა ქართული სპორტის ოჯახს. დაბრუნება საზეიმოდ აღინიშნა ქ. თბილისის ღია პირველობით. თბილისელმა, რუსთაველმა და თელაველმა მოშაშეებმა გაითამაშეს პრიზები, დაგეგმილია ტურნირის ტრადიციად დამკვიდრება.

საქართველოს შაშის გაერთიანებული ფედერაციის პრეზიდენტი **ვანო შუტაკაშვილი** მიიჩნევს, რომ შაში არა თუ ოპოზიციაში ჩაუდგება ჭადრაკს, მისი ფრთის ქვეშ უნდა განვითარდეს, რაც მოიწონეს კიდეც ჭადრაკის ფედერაციამ და სპორტის სამინისტრომ, პირველი ნაბიჯი კი ჭადრაკის სასახლის ზემოხსენებული პირველობისთვის დათმობით გადაიდგა.

შაშის ამაგდარი სპორტსმენები მზად არიან დაიწყონ ახალგაზრდების მომზადება, რათა კვლავ დავიბრუნოთ სახელი საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე. შაში შეტანილია მსოფლიოს ინტელექტუალური თამაშების პროგრამაში, რაც მეტს გვავალებს და ყველას შეახსენებს - შაში შველას ითხოვს!

თბილისის 2013 წლის ღია პირველობაზე ადგილები ასე განაწილდა:

**64 ადგილიანი შაში: 1. ლევან კიკნაძე, 2. ჯუმბერ ბერიშვილი, 3. ალეკო ბერუაშვილი** (სამივე-თბილისი); **100 უჯრიანი: 1. ჯუმბერ ბერიშვილი, 2. ლევან კიკნაძე, 3. თენგიზ რეხვიაშვილი** (რუსთავი).

დავძენთ, რომ ჯუმბერ ბერიშვილი და ლევან კიკნაძე მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები არიან, ალეკო ბერუაშვილი კი ჩვენი ქვეყნის რვაგზის გამარჯვებულია.

**„ლელოს" კორ.**



ნინა პლანზე - ჯუმბერ ბერიშვილის და გოდერძი ლეკიშვილის (ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე) შეხვედრა; მეორე პლანზე - ალეკო ბერუაშვილი (მარჯვნივ).

ჭადრაკი

# ჯობავას ოთხიდან ოთხი

ქართველმა დიდოსტატმა **ბაადურ ჯობავამ** წარმატებით აილო სტარტი ალ-აინის (არაბთა გაერთიანებული საამირო) საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 99 წარმომადგენელი იბრძვის პირველობისთვის. პირველ ტურში ჯობავამ ეგვიპტელ ჰასან სეიდ ბარაკატს აჯობა, შემდეგ ამირეზა პურცმეზანალი (ირანი) და ედუარდ ანდრეევი (უკრაინა) დაამარცხა, გუშინ კი სომეხ რობერტ ჰოვანესიანს გააჩერებინა საათი და ოთხი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ მეწინავეობს. ლიდერთა ჯგუფიდან მე-4 ტურში დაზავდნენ მიხაილო ოლექსიჩენკო (უკრაინა)-აზერ მირზოევი (აზერბაიჯანი), გოპალი (ინდოეთი)-ალექსანდრ იპატოვი (თურქეთი), ცეგმედ ბათჩულუუნი (მონგოლეთი)-ევგენი მიროშნიჩენკო (უკრაინა), ალექსეი ბარსოვი (უზბეკეთი)-მარტინ კრავცივი (უკრაინა), ჰოვიკ ჰაირაპეტიანი (სომხეთი)-ვიორელ იორდაჩესკუ (მოლდოვა), აბჯით გუფთა (ინდოეთი)-მოშენ შარბაფი (ირანი).

ოთხი ტურის შემდეგ ჯობავა 4 ქულით დაწინაურდა. 6 მოჭადრაკეს 3,5-3,5 ქულა აქვს. საერთაშორისო ოსტატი **ხვიჩა სუპატაშვილი** ვლადისლავ კოვალევს (ბელარუსი) დაუზავდა და 2,5 ქულას მოუყარა თავი.

შეჯიბრებაზე შვეიცარიული სისტემით 9 ტური გათამაშდება.

**ვაჟა დანელია**

ძიუდო

# ტურნირი ქარელში

ქარელის შოთა ხაბარელის სახელობის სასპორტო სკოლის დარბაზმა უმცროსი ასაკის ძიუდოისტთა ტურნირს უმასპინძლა. შეჯიბრება ჯემალ მჭედლიშვილის სახელობისაა, დიდი ხანი არაა რაც დაარსდა, მაგრამ უკვე ტრადიციულია. ქარელელი ჯემალ მჭედლიშვილი 80-იან წლებში გამოდიოდა საჭიდაო არენაზე და ჭიდაობის ჩვენში გავრცელებულ სამივე ჩოხიან სახეობაში (სამბო, ძიუდო, ქართული) ტიტულები მრავლად მოიპოვა. ქართულ ჭიდაობაში ორგზის აბსოლიტური ფალავანია, სამბოში მსოფლიოს, ხოლო ძიუდოში საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი.

ტურნირში ჩვენი ქვეყნის ათამდე რაიონის სასპორტო სკოლის გუნდებმა იასპარეზეს. შეჯიბრება ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების მიერ იყო ორგანიზებული.



**გამარჯვებულები**

**29 კგ.** 1. ლუკა სუხიტაშვილი, 2. გიორგი ანიაშვილი, 3. მირიან ბურძენაძე (სამივე - გორი), თენგო მლებრიშვილი (ქარელი).

**32 კგ.** 1. გიორგი ლურსმანაშვილი (ქარელი), 2. გიორგი მეხრიშვილი (ხაშური), 3. ზაზა მაისურაძე, ნოდარ ქოქაშვილი (ორივე - ქარელი).

**35 კგ.** 1. დათო დვალიშვილი (გორი), 2. მიხეილ კირვალიძე (საჩხერე), 3. გიორგი ტურაშვილი, მიშიკო ტიტვინიძე (ორივე - გორი).

**38 კგ.** 1. დიმიტრი ხუციშვილი (ჭიათურა), 2. ნოდარ ბუხრიკიძე (ხაშური), 3. გიორგი კუთხაშვილი, ვალერი იარლანაშვილი (ორივე - ქარელი).

**42 კგ.** 1. შოთა ხაბალაშვილი (ქარელი), 2. ჯემალ ტატიშვილი (ჭიათურა), 3. თორნიკე მარგველაშვილი (ქარელი), თამაზ კვერნაძე (თერჯოლა).

**46 კგ.** 1. გუგა ძავაშვილი (გორი), 2. გიორგი ნასყიდაშვილი (ხაშური), 3. ვაჟა ტაბატაძე, გიორგი ომიაძე (ორივე - ჭიათურა).

**50 კგ.** 1. ნიკა ხარაზიშვილი (ქარელი), 2. ნუგზარ დავითელაშვილი (გორი), 3. გიორგი ივანიშვილი, შალვა ხუციშვილი (ორივე - ქარელი).

**55 კგ.** 1. ლევან ფსუტური (გორი), 2. ილია სულამანიძე (ტყიბული), 3. გიგა ლომიძე, ჯიბილო ნიჟარაძე (ორივე - ქარელი).

**60 კგ.** 1. ოთარ პირველი, 2. გიორგი შათირიშვილი (ორივე - ქარელი), 3. გოგა ჭანკვეტაძე (ჭიათურა), ალეკო ხუბულური (გორი).

**66 კგ.** 1. მალხაზ ხარებაშვილი (ქარელი), 2. ზურაბ ჯანელიძე (ჭიათურა), 3. გიგა მეხრიშვილი (ქარელი), ზურა დოლაძე (ჭიათურა).

**+66 კგ.** 1. ალექსი სვიანაძე (ზესტაფონი) 2. დიტო ნონიკაშვილი, 3. ილია საათაშვილი (ორივე - გორი), ნოდარ კუთხაშვილი (ქარელი).

**ვასილ ბალახაძე**
ქარელიდან

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. „დაჩია", 3. დევიდ, 4. აბგა, 7. იუნგი, 8. ელენე, 10. პაპი, 12. ელო, 14. სპიცი, 15. „ოტავა", 17. „იუტა", 19. პლეი, 21. „აიაჩო", 22. ავილა, 24. აგასი, 26. „აია", 28. ფინტი.

**შვეულად:** 1. დედოფალი, 2. ჩავი, 5. გუნდე, 6. ლიდერი, 8. ეტაპი, 9. „აპოელი", 11. კოლინა, 13. „ასტორია", 16. ანტალია, 18. „ჟირონა", 20. „ბავარია", 23. ლენსი, 25. გეიმი, 27. როი.

ჩოგბურთი

# მეოთხედფინალში შეაჩერეს

თურქეთში დამთავრდა ჩოგბურთელ ვაჟთა 10.000-იანი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ორი წრე წარმატებით განვლო თბილისელმა **გიორგი ჯავახიშვილმა:** ჩვენებურმა ჯერ რუმინელი ანდრეი მიჰაი ჩამოიშორა გზიდან, მერე მე-7 ნომრად განთესილ პორტუგალიელ ანდრე გასპარ მურატას სძლია, მეოთხედფინალში ტიტების ქვეყნის წარმომადგენელ ალბენ მეუფელსს ვერ გასცდა, არადა, ჯავახიშვილმა პირველი ხელი 6:2 მოიგო, მომდევნო ორი სეტი დათმო - შესაბამისად, 4:6, 1:6 და შეჯიბრებას გამოეთიშა.

**ვაჟა დანელია**

## სეოკ-ის განცხადება

ორშაბათს, 24 დეკემბერს, 13:00 საათზე, სასტუმრო „თბილისი მარიოტში" (შ. რუსთაველი გამზ. № 13) გაიმართება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ყოველწლიური საანგარიშო სესია.

**დღის წესრიგი**

1. სეოკ-ის აღმასკომის ანგარიში 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ
2. აუდიტის ანგარიში
3. საორგანიზაციო კომიტეტის ინფორმაცია 2015 წელს თბილისში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვის მზადების თაობაზე
4. სხვადასხვა

დელეგატთა რეგისტრაცია 12:00 საათიდან.

საქართველო
GEORGIA

ჩიგბი ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. XII ტური

# ყოჩების მძიმე გამარჯვება

| | |
|---|---|
| აკადემია | 14 |
| ყოჩები | 15 |

**აკადემია** (15-9) მაკაროვი, კალანდარიშვილი, სიჭინავა, ერაძე, მათიაშვილი (ჩაჩუა 45), ქოპილაშვილი, ჯ.ლამბაშიძე; (1-8) ფეიქრიშვილი, გეგია (ნვერავა 57), მაზმიშვილი (ლამბაშიძე 67), გოგლიძე, ბერიკაშვილი (მოსეშვილი56), ნიბლაძე, გოგოლაძე, შუბითიძე;

**ლ:** კალანდარიშვილი **3ს:** მათიაშვილი

**ყოჩები** (15-9) შ.მახარაშვილი, კვარაცხელია (გოგოლაშვილი 41), ხარშილაძე, გაბუნია, ხუციშვილი (აბდუშელიშვილი 55), სოხაძე, ბეგაძე; (1-8) გოგიშვილი (გოგიძე 67), ხიდეშელი, შენგელია, ხვისტანი, გრძელიშვილი, მალალურაძე (მაისურაძე 60), ტყეშელიაძე, ჩხიკვაძე;

**2ლ:** კვარაცხელია, ბეგაძე; **გ,ს:** სოხაძე;

**მსაჯი:** შოთა თევზაძე



გიორგი ბეგაძის სალელოვე შეტევა

საქართველოს ეროვნული სარაგბო ჩემპიონატის მეთორმეტე ტურის მატჩში, „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" მშვენიერ სპორტულ ფორმაში შესული „ყოჩები" თანაქალაქელ „აკადემიას" დაუპირისპირდა. შეხვედრის სტარტი ნომინალური სტუმრების - „ყოჩების" აქტიური თამაშით აღინიშნა, რაც მალევე ლელოში აისახა. ფულბეკმა **შავლეგ მახარაშვილმა** მოედნის ცენტრში ცრუმოძრაობის ხარჯზე გვერდი აუარა მეტოქის თავდაცვით ხაზს და გადამწყვეტ მომენტში ჯვარზე მშვენივრად შეიყვანა სისწრაფეაკრეფილი **ლუკა კვარაცხელია**, რომელსაც აღარ გასჭირვებია „აკადემიას" ჩათვლის მოედანში ბურთის დამიწება. **თემურ სოხაძემ** იოლად გარდასახა და სტუმრები დაწინაურდნენ - 7:0.

„ყოჩებმა" ნელ-ნელა სათამაშო ტემპს უმატეს და მეტოქეზე ზეწოლა გაზარდეს. **სანდრო ესაკიას** გაწვრთნილი გუნდი უარს ამბობდა მოპოვებული საჯარიმოების კარში დარტყმაზე და ძირითად აქცენტს ლელოზე აკეთებდა, მათი მთავარი მიზანი ბონუს ქულით გამარჯვება გახლდათ, თუმცა თავისმხრივ „აკადემიამ" დროულად მოახერხა გამოფხიზლება და სერიოზული პრობლემების შექმნა დაიწყო მეტოქისთვის. ჯერ მასპინძელთა ფეხბურთნმა გარემარბმა **სოსო მათიაშვილმა** ზუსტად დარტყმული საჯარიმოთი შეამცირა ჩამორჩენა - 3:7, ხოლო 22-ე წუთზე „აკადემიას" ფულბეკმა **დავით მაკაროვმა** ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე მარჯვენა ფლანგზე მშვენივრად გაჭრა მეტოქის თავდაცვის ხაზი, 30 მეტრი ირბინა და შედეგიანი პასი მიაწოდა **ლევან კალანდარიშვილს**, რომელმაც კიდესთან გაიტანა ლელო და საკუთარი გუნდი წინ გაიყვანა - 8:7.

„ყოჩებს" არ აწყობდათ მოვლენების ასე განვითარება და მათი მორკინლები გაცილებით უფრო აგრესიულად ათამაშდნენ. სტუმრებმა მეტოქის ნახევარზე მოიგეს დერეფანი, მშვენიერი მოლიც ააგორეს და უპირატესობაც მოიპოვეს, წარმოქმნილი რაკიდან ბურთი დროულად აიტაცა ცხრა ნომერმა **გიორგი ბეგაძემ** და მეორედ დაალელოვა მასპინძლები - 12:8. გაშვებულმა ლელომ „აკადემია" დააბნია და უკანახაზელებმა ზედიზედ რამდენიმე შეცდომა დაუშვეს, რითაც „ყოჩებს" კიდევ ერთხელ მიეცათ შანსი საკუთარი ჰანდიკაპის გაზრდისა, თუმცა მასპინძლებმა მედგრად დაიცვეს თავი და მეტოქეს მხოლოდ ერთი საჯარიმოს გატანის უფლება მისცეს - 15:8.

მატჩის მეორე ნახევარში ქარი გაძლიერდა, რომელიც ამჯერად აკადემიელთა სასარგებლოდ ქროდა. მასპინძელთა სამწვრთნელო შტაბის მიღებულმა ტაქტიკურმა გადაწყვეტილებამ აშკარად გაამართლა. „აკადემია" პირველივე შესაძლებლობისთანავე მალალ აბრაგანებს კიდებდა მეტოქის ნახევარზე და ცდილობდა უკვე იქ შეეწუხებინა მოწინააღმდეგე. სტუმრებმა ნელ-ნელა დათმეს უპირატესობა როგორც სტატიკური მდგომარეობებისას, ასევე ღია თამაშისას, რითაც მშვენივრად ისარგებლა მასპინძელმა გუნდმა და ორი გატანილი საჯარიმოთი სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა 14:15. ორივე შემთხვევაში თავი მათიაშვილმა გამოიჩინა.

65-ე წუთზე ამჯერად უკვე „ყოჩების" სამწვრთნელო შტაბმა განახორციელა რამდენიმე ცვლილება, რამაც ისევ დაუბრუნა სათამაშო უპირატესობა სტუმრებს. ისინი 10 წუთის განმავლობაში მეტოქის ჩათვლის მოედანთან ახლოს აკონტროლებდნენ ბურთს, თუმცა რიგ შემთხვევებში ან მათი მგეზავი სოხაძე სცოდავდა დარტყმებისას, ანაც მორკინალთა ტექნიკური წუნი ერთვებოდა საქმეში.

მატჩისთვის განკუთვნილი დრო კი ამასობაში იწურებოდა. 78-ე წუთზე აკადემიელებმა საკუთარ ნახევარზე მოიპოვეს ჯარიმა, რომელიც **გიორგი ქოპილაშვილმა** აუტში გადაიტანა. დარტყმა მართლაც მშვენიერი გამოვიდა, მასპინძელმა გუნდმა ერთბაშად 60 მეტრი მოიგო. „აკადემიამ" საკუთარი დერეფანი მშვენივრად გაათამაშა, კარგი მოლიც ააგორა, რომელშიც მთელი გუნდი ჩაერთო, თუმცა ერთ მომენტში ბურთი ჩაიხურა და მატჩის მთავარმა არბიტრმა საფინალოდ ჩაჰბერა სასტვენს - 15:14. „ყოჩებმა" მოპოვებული გამარჯვებით კიდევ უფრო განიმტკიცეს საკუთარი პოზიციები საპლეიოფო ექვსეულში, ხოლო „აკადემია" მორიგი სანუგეშო ქულის მოპოვებით სატურნირო ცხრილში მერვე ადგილამდე აღზევდა, ჩამოაქვეითა რა რუსთავის „ხარები".

**გიორგი ბარბაქაძე**

*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო*

# ძველი მეტოქეების ძველებური ბრძოლა

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი | 28 |
| აია | 19 |

**ლოკომოტივი** (15-9) ნიკლაური, ჟამუტაშვილი, ქავთარაძე, კავთიძე, ჩიტიძე, ჭინჭარაული, ზაბახიძე. (1-8) კაზალიკაშვილი, გენებაშვილი, ზარიძე (კაკაბაძე 78), გეგია, ხოლუაშვილი, ბერიშვილი, ფოფხაძე, კიკვიძე (თხელიძე 61)

**4ლ:** ფოფხაძე (2), კავთიძე, გეგია. **2ს,გ:** ნიკლაური

**სინბინი:** გენებაშვილი

**გაძევება:** ბერიშვილი

**აია** (15-9) ძნელაძე, ბ. ტორაძე, ფრუიძე, ირემაძე (კვერნაძე 76), აბრამიძე (შაშიაშვილი 71), სინაურიძე (ჯინჭველაშვილი 68), თუთბერიძე. (1-8) რატიაშვილი, მატკავა, ჩხიკვაძე (ულიმბელაშვილი 25), შალამბერიძე, ჩიტეიშვილი (ძაგნიძე ს64), რევიშვილი, დანგაძე (სალდაძე 61), ყურაშვილი.

**3ლ:** ჩხიკვაძე, ძნელაძე, ყურაშვილი. **2გ:** სინაურიძე.

**სინბინი:** ულუმბელაშვილი

**გაძევება:** მატკავა

**მსაჯი:** ნიკა ამაშუკელი

საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპი გუშინ დასრულდა. ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი თბილისის „ლოკომოტივი" უძველეს მეტოქეს ქუთაისის „აიას" დაუპირისპირდა და მძიმე ბრძოლაში 28:19 დაამარცხა.

თამაში, როგორც მოსალოდნელი იყო, ძალიან საინტერესო, დაძაბული გამოდგა. მართალია, ძლიერი ქარი მოთამაშეებს ხელს უშლიდა, მაგრამ ორივე გუნდს არაფერი დაუკლია, ქომაგებისთვის საინტერესო რაგბობა შეეთავაზებინა. როგორც უკვე ვთქვით, ამ გუნდების დაპირისპირებას დიდი ხნის ისტორია აქვს. წლეულს, პირველ წრეში რკინიგზელებმა მეტოქეს სტუმრად სძლიეს და გასაკვირი არ არის, ქუთათურებს რევანში რომ სწყუროდათ.

პირველი ტაიმის მიმდინარეობა თითქოს ქუთაისელთა სანადელის ასრულებას მოასწავებდა, მაგრამ მოგვიანებით, შესვენების შემდეგ „ლოკომოტივმა" მთლიანად შეცვალა ტაქტიკა და მეტოქე უშანსოდ დატოვა. თამაში რკინიგზელებისთვის ცუდად დაიწყო. მათ საკუთარი ლელოდან ხუთ მეტრში უხეში შეცდომა დაუშვეს. შედეგად სტუმართა სასარგებლოდ შერკინება დაინიშნა. „აიამ" ის სუფთად მოიგო და მორკინალების მიძალებით შეუტია. რამდენიმე მოკლე დარტყმის შემდეგ ბურთი რაკიდან შერკინების ბურჯმა **ტარიელ ჩხიკვაძემ** აიტაცა და ლელოში შეაღწია. მგეზავმა **გაგა სინაურიძემ** გარდასახა - 7:0.

ეს ანგარიში ტაბლოზე დიდხანს შენარჩუნდა. რკინიგზელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ 32-ე წუთამდე „აიას" დაცვასთან ვერას გახდნენ. მათი შედეგიანი შეტევა კი ხუთმეტრიანი დერეფნიდან მოლის აგორებას მოჰყვა. ბოლოს ბურთით ხელში მესამეხაზელი **ლაშა ფოფხაძე** იყო. ფულბეკმა და გუნდის კაპიტანმა **ბექა ნიკლაურმა** ვერ გარდასახა - 5:7.

ოთხ წუთში ქუთათურებმა საპასუხო ლელო გაიტანეს. მეტოქის ჩათვლის მოედნიდან 22 მეტრში აგდებული დერეფნის შემდეგ სტუმრებმა ბურთი გრძელ ფრთაზე გამოიტანეს, სადაც შუამარბმა **გიორგი ფრუიძემ** ცრუ მოძრაობით რამდენიმე მეტოქეს გვერდი აუარა. რკინიგზელებმა მისი შეჩერება ზედ კარის ძელთან შეძლეს, თუმცა ფრუიძემ ბურთის ფულბეკისთვის, **ზურაბ ძნელაძისთვის** გადაწოდება შეძლო, რომელსაც ლელოს გატანა აღარ გასჭირვებია. სინაურიძემ იოლად გარდასახა - 14:5.

„ლოკომოტივმა" ტაიმის მიწურული შეტევაში გაატარა, თუმცა მხოლოდ საჯარიმოს გატანა შეძლო და ანგარიშში ჩამორჩენა ექვს ქულამდე შემცირდა - 8:14. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ, როგორც უკვე ვთქვით, „ლოკომოტივი" უფრო მობილიზებული და ორგანიზებული გამოვიდა. თამაშის განახლებიდან 10 წუთში მასპინძლებმა მეორე ლელო გაიტანეს. მორკინალების მიძალების შემდეგ შუამარბმა **ვახტანგ კავთიძემ** იყოჩაღა და ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა. ნიკლაურმა მის მიერ გატანილი ლელო ვერ გარდასახა - 13:14.

ცხადია, „აია" გულხელდაკრეფილი სულაც არ იჯდა. ქუთათურებმა იერიში მარცხენა ფრთიდან მიიტანეს და ისევ მორკინალებმა შეძლეს მეტოქის შევიწროება. ლელო მესამეხაზელმა **ბექა ყურაშვილმა** გაიტანა, რასაც გუნდური ჩხუბი მოჰყვა. მატჩის არბიტრმა რკინიგზელ **გივი ბერიშვილს** და ქუთაისელ **მერაბ მატკავას** წითელი ბარათი უჩვენა. გარდასახვა სინაურიძემ ვერ გაიტანა - 19:13.

დასკვნით 20 წუთში „ლოკომოტივი" გადამწყვეტ უპირატესობას დაეუფლა. რკინიგზელებმა თამაშში გარდატეხის შეტანა შეძლეს და მეტოქეს კიდევ ორი ლელო გაუტანეს. ჯერ თავი ისევ **ლაშა ფოფხაძემ** გამოიჩინა, მერე კი **გიორგი გეგიას** ჯერიც დადგა. ნიკლაურმა ერთი გარდასახა და ერთიც საჯარიმო მიაყოლა - 28:19.

ამ გამარჯვებით „ლოკომოტივმა" სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე გაიმყარა პოზიცია. გუნდისთვის, რომელიც სეზონის წინ წამყვანმა მოთამაშეებმა დატოვეს და უმრავლესობა ახალბედაა, ეს შესანიშნავი შედეგია. „აია", მართალია, ახლა მეოთხეა, მაგრამ ერთი თამაში თადარიგში აქვს.

| ბათუმი-არმია | 14:54 |
|---|---|

**ბათუმი:** 2ლ - გოგიტიძე, მეგრელიძე. 2გ - ჩუბინიძე.

**სინბინი:** კაიკაციშვილი

**არმია:** 8ლ - დარასელია, გაგოშვილი (3), ბაირამაშვილი, კობახიძე, ტუჩაშვილი, აფციაური. 7გ - კობახიძე.

| ხარები-ლელო | 8:38 |
|---|---|

**ხარები:** ლ - თეგეთაშვილი. ს: ხუციშვილი

**ლელო:** 4ლ - ხორბალაძე, ხმალაძე (2), ნიჟარაძე. 3გ,4ს - ყიასაშვილი.

| ჯიქები-არმაზი | 6:9 |
|---|---|

**ჯიქები:** 2ს - გიორგაძე

**არმაზი:** 3ს - ნიკოლავა

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლელო | 12 | 9 | 0 | 3 | +171 | 44 |
| 2. არმია | 12 | 8 | 1 | 3 | +142 | 41 |
| 3. ლოკომოტივი | 12 | 9 | 0 | 3 | +72 | 40 |
| 4. აია | 11 | 8 | 0 | 3 | +77 | 36 |
| 5. ყოჩები | 12 | 7 | 1 | 4 | +35 | 34 |
| 6. არმაზი | 11 | 7 | 0 | 4 | -13 | 30 |
| 7. ჯიქები | 12 | 5 | 2 | 5 | +54 | 30 |
| 8. აკადემია | 12 | 1 | 0 | 11 | -178 | 8 |
| 9. ხარები | 12 | 1 | 0 | 11 | -172 | 7 |
| 10. ბათუმი | 10 | 1 | 0 | 9 | -188 | 6 |

**ბესიკ ჯანგავაძე**

*გურამ დოლენჯაშვილის ფოტო*



აიას შედეგიანი შეტევა

რაგბი. U-18

## უკრაინა ისევ დავამარცხეთ

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" უკრაინის 20-წლამდელთა გუნდთან მეორე მატჩი გამართა და მეტოქე ისევ დიდი ანგარიშით 56:3 დაამარცხა.

**საქართველოს ნაკრები**

ნიკა ნეფერიძე, ლაშა გედეხაური, სანდრო პაპუნაშვილი, ლაშა მამუჩარაშვილი, გაგა არაბული (ყველა-ლოკომოტივი), ვანო მარგალიტაძე, ბესო გოგოლაძე, კახა ელბაქიძე, სანდრო მერკვილიშვილი (ყველა-არმია), დავით ფაილოძე (ლელო), ლაშა ტაბიძე, ვასილ ლობჟანიძე, დავით ლობჟანიძე, ირაკლი ცხადაძე (ყველა-არმაზი), სანდრო აბაშიძე, ბექა მაზმიშვილი, კოტე ახობაძე, სანდრო ილურიძე (ყველა-აკადემია), მიხეილ ბაბუნაშვილი, გიორგი ჯავახია, ოთარ გიორგაძე, თორნიკე მანაგაძე (ყველა-აია), თორნიკე ზოიძე (აკადემია), ბექა გორგაძე, თორნიკე აქუბარდია, გიორგი კოშაძე (სამივე-ხარები), ლაშა საჯაია, ირაკლი სვანიძე, ვახტანგ გაბისიანი (სამივე-ჯიქები), ლევან გურგენიძე, თემურ ცქვიტავა (ორივე-რაინდები), გიორგი გვესელაძე (იუნკრები), სოსო ჯაფარიძე, ბექა ნონიაშვილი (ორივე-ხულიგანა), გიორგი მელაძე (ყოჩები).

**ბესიკ ჯანგავაძე**

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# 39 სიცხეს და ქულას



კაირი ირვინგი

შაბათის სათამაშო დღის გმირად თამამად შეიძლება მოინათლოს "კლივლენდის" ლიდერი **კაირი ირვინგი**, რომელიც მაღალი სიცხით გავიდა "მილუოკის" წინააღმდეგ სათამაშოდ. ამ მატჩის ბედი ოვერტაიმმა გაარკვია და ირვინგმა ბოლომდე გაძლო, თუმცა გაუჭირდა ამის გაკეთება. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მეოთხე მეოთხედში, ერთ-ერთი პაუზის დროს, კაირის კინალამ გული აერია. ოვერტაიმი კი მას შემდეგ დაინიშნა, რაც **ტრისტან ტომპსონმა** სწორედ ირვინგის აცილებულს დაამატა.

დამატებით დროში ირვინგმა ბოლო ძალები მოიკრიბა. ოვერტაიმი მან ორი ზუსტი სამქულიანით დაიწყო და ბოლო 20 წამში ოთხი ზუსტი საჯარიმოთი დაასრულა, რითაც თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა (114:110).

კაირის ანგარიშზე 39 ქულა, 6 შედეგიანი პასი და 4 დაფარება იყო, რაც კარიერის პირადი რეკორდი გახლავთ.

■ ■ ■

ამ სათამაშო დღის წინ, მთავარი განსახილველი თემა **კობი ბრაიანტის** მორიგი ტრავმა იყო, რის გამოც, "ლეიკერსის" ლიდერი თვე-ნახევარი ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას. თუმცა მის გარეშეც კალიფორნიელები მშვიდად გაუსწორდნენ "მინესოტას". ბრაიანტის გარდა, "ლეიკერსს" სამი ნომინალური გამთამაშებელი აკლდა და სასტარტოში პირველ ნომრად **ქსავიე ჰენრი** იდგა. მან 21 ქულა და 4 შედეგიანი პასი (პირადი რეკორდი) დააგროვა. თუმცა მატჩის გმირი არა ის, არამედ **პაუ გასოლი** გახდა, რომელსაც ორი პასი დააკლდა სამმაგ დუბლამდე (21+13 მოხსნა+8 პასი).

"მინესოტას" ლიდერი **კევინ ლავი** გადამწყვეტ მომენტებში თავის გუნდს ვერ დაეხმარა. უკვე მესამე მეოთხედის ბოლოს, მის ანგარიშზე ორმაგი დუბლი იყო (25+12 მოხსნა), მაგრამ ბოლო 12-წუთეულში მხოლოდ ერთი მოხსნა მიითვალა და ვერც ერთი ქულის ალება ვერ შეძლო.

სირენამდე ხუთი წუთით ადრე, "მინესოტა" ერთ ქულამდე მიუახლოვდა მეტოქეს (89:90), მაგრამ დარჩენილ დროში მხოლოდ ორი საჯარიმო ჩააგდო, იმ დროს, როცა მარტო პაუ გასოლმა შეძლო ცხრა ქულის მოპოვება, რამაც მის გუნდს კომფორტული გამარჯვება მოუტანა - 104:91.

■ ■ ■

"ინდიანასა" და "ჰიუსტონის" მატჩი იმით იყო გამორჩეული, რომ "პეისერსის" რიგებს დაუბრუნდა ფორვარდი **დენი გრეინჯერი**, რომელიც ბოლო წლებში გუნდის ლიდერად მიიჩნეოდა. თუმცა გაუთავებელი ტრავმების გამო, დენიმ დათმო პოზიციები და შარშანდელ სეზონში, მხოლოდ 5 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

რა თქმა უნდა, აღნიშნულ შეხვედრაში გრეინჯერს უთამაშებლობა ეტყობოდა - მან შვიდიდან მხოლოდ ერთი ზუსტი ტყორცნა შეასრულა და ხუთი შეცდომა დაუშვა. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია "ინდიანასთვის" დიდი ანგარიშით დაემარცხებინა დასავლეთის მეხუთე გუნდი. მასპინძლებმა ბრწყინვალე დაცვა ითამაშეს და "როკეტსს" მხოლოდ 38-პროცენტიანი სიზუსტით ასროლინეს, თავად კი 12 სამქულიანი მოათავსეს კალათში, რაც სეზონში საუკეთესო მაჩვენებელია.

**20 დეკემბერი**

**ფილადელფია-ბრუკლინი 121:120 (ო)**

29:31, 31:26, 22:26, 26:25, 13:12

ფ: ე. ტერნერი (29+10 მოხსნა), ტ. იანგი (25), როუტენი (19), კარტერ-უილიამსი (15+10 პასი).

ბ: ა. ანდერსონი (26), პირსი (24+10 მოხსნა), ბ. ლოპესი (22), ტელეტოვიჩი (18), დერონ უილიამსი (17+14 პასი).

**ატლანტა-იუტა 118:85**

30:16, 25:18, 30:24, 33:27

ა: ლ. უილიამსი (25), ჰორფორდი (23), მილსეპი (14+10 მოხსნა).

ი: ბერკსი (13), კანტერი (13+13 მოხსნა).

**კლივლენდი-მილუოკი 114:111 (ო)**

25:26, 22:21, 23:23, 26:26, 18:15

კ: ირვინგი (39), ჯეკი (17), ს-ჯ. მაილსი (15), ტ. ტომპსონი (10+15 მოხსნა).

მ: მაიო (20), ჰენსონი (18+10 მოხსნა), ნაითი (17+14 მოხსნა).

**დეტროიტი-შარლოტი 106:116**

31:22, 28:22, 30:31, 17:41

დ: ჯენინგსი (26), ჯოშ სმითი (18), დრამონდი (14+15 მოხსნა).

შ: კ. უოკერი (34), ე. ჯეფერსონი (24+14 მოხსნა), ჰენდერსონი (22).

**მაიამი-საკრამენტო 122:103**

33:36, 34:25, 31:21, 24:21

მ: ბოში (25+8 მოხსნა), უეიდი (20), ლ. ჯეიმსი (18).

ს: კაზინსი (27), მაკლემორი (20).

**ინდიანა-ჰიუსტონი 114:81**

25:20, 31:25, 31:20, 27:16

ი: პ. ჯორჯი (24), ლ. სტივენსონი (16).

ჰ: ჰოვარდი (19+12 მოხსნა).

**დალასი-ტორონტო 108:109**

33:22, 19:27, 29:29, 20:23

დ: კალდერონი (23), ნოვიცკი (22), ელისი (21+11 პასი).

ტ: ლოური (20), ვალანჩუნასი (18+13 მოხსნა).

**დენვერი-ფინიქსი 99:103**

28:20, 34:28, 20:24, 17:31

დ: ჩენდლერი (15).

ფ: მარკუს მორისი (25), ჯერ. გრინი (19), გ. დრაგიჩი (17).

**ლეიკერსი-მინესოტა 104:91**

35:26, 16:27, 30:23, 23:15

ლ: ნ. იანგი (25), პ. გასოლი (21+13 მოხსნა+8 პასი), ჰენრი (21).

მ: ლავი (25+13 მოხსნა), პეკოვიჩი (22+13 მოხსნა).

# ოკლაჰომა-სან ანტონიო 2:0

გუშინდელი დღის ცენტრალური მატჩი, რა თქმა უნდა, სან ანტონიოში გაიმართა, სადაც "სპურსი" "ოკლაჰომას" მასპინძლობდა. მცირეხნიანი პაუზის შემდეგ, "სან ანტონიოს" დაუბრუნდა **ტონი პარკერი**, მაგრამ ამან **გრეგ პოპოვიჩის** შეგირდებს ვერ უშველა.

ყველაზე გასაკვირი ის არის, რომ "სპურსმა" პირწმინდად წააგო მეორე მეოთხედი. ტრადიციულად, ეს 12-წუთეული რეზერვისტების დროა და თითქოს, ტექსასელების ხათადარიგოებს უპირატესობა უნდა ჰქონოდათ, მაგრამ **ფიშერმა, ჯექსონმა, ლემბმა, ადამსმა** და სხვებმა სტუმრებს ისეთი უპირატესობა მოუტანეს, რომელიც მატჩის ბოლომდე აღარ შემცირებულა.

თუმცა იმის თქმაც არ შეიძლება, რომ "სპურსმა" ნაადრევად ჩამოუშვა ხელები და დანებდა კონკურენტს. ბოლო მეოთხედში მასპინძლებმა ორჯერ შეამცირეს სხვაობა სამ ქულამდე, მაგრამ უფრო შორს წასვლა ვერ შეძლეს. ლემბის დროულმა სამქულიანმა და **კოლისონის** გააქტიურებამ "ოკლაჰომას" 9:2 გაქცევა მოუტანა, ხოლო საქმე ბოლომდე იმათ მიიყვანეს, ვისაც ეს ევალებოდა: **დურანტმა** და **უესტბრუკმა**. "თანდერმა" სეზონში მეორედ დაამარცხა "სან ანტონიო".

■ ■ ■

"ნიუ იორკმა" საკუთარ მოედანზე მეათე მატჩი წააგო. ამდენივე საშინაო მარცხი ჰქონდა "ნიქსს" გასულ სეზონში, ახლა კი ამ მაჩვენებელს კათოლიკურ შობამდე "მიაღწია".

**მაიკ ვუდსონის** გუნდის დამარცხება, ამჯერად, "მემფისმა" შეძლო. საბოლოო შედეგი გასაკვირი არ არის, თუ გავითვალისწინებთ **რენდოლფისა** და კომპანიის დიდ უპირატესობას სამწამიანში. სტუმრებმა თითქმის ორჯერ მეტი მოხსნა შეასრულეს და სამწამიანიდან 60 ქულა დააგროვეს. "ნიუ იორკმა" კი აქცენტი საშუალო და შორეულ ტყორცნებზე გააკეთა, მაგრამ ამ ტაქტიკამ ამჯერადაც არ იმუშავა. **ენტონის, ჰარდუეისა** და **სმიტს** ღირსეული მონაგარი ჰქონდათ (62 ქულა), მაგრამ დანარჩენი ნიუიორკელები მხოლოდ 25 ქულით იწონებდნენ თავს.

■ ■ ■

უცნაური მატჩი მოუგო "გოლდენ სტეიტმა" "ლეიკერსს". "მეომრებმა" თამაშიდან მხოლოდ 38.8 პროცენტი ჩააგდეს და მიზანს კარგი დაცვის წყალობით მიაღწიეს, რაც ამ გუნდისთვის დიდი იშვიათობაა. **მაიკ დ'ენტონის** შეგირდებმა კიდევ უფრო უარესად ისროლეს, გარდა ამისა, სტუმრებს 24 შეცდომა დაუგროვდათ, რითაც "გოლდენ სტეიტმა" 28 ქულა მოიპოვა. დაბოლოს, მასპინძლებმა კარგად გამოიყენეს ის ფაქტორი, რომ "ლეიკერსის" რიგებში ვერ ვიხილეთ **პაუ გასოლი**. ესპანელის არყოფნაში, **ბოგუტმა** და **ლიმ** 30 მოხსნა დააგროვეს და მთლიანად დაიპყრეს ორივე ფარი.

■ ■ ■

ძალიან კარგი შენაძენი გააკეთა **დერიკ როუზის** ტრავმის შემდეგ "ჩიკაგომ", რომელსაც ჰაერივით სჭირდებოდა გამთამაშებელი. "ხარებმა" ყველასგან დაწუნებული **დი ჯეი ოგასტინი** გაიფორმეს და ეს მცველი შესანიშნავად შეერწყა ახალ გუნდს.

"კლივლენდთან" მატჩში ოგასტინმა 46 წუთი გაატარა მოედანზე, დააგროვა 18 ქულა, 10 შედეგიანი პასი შეასრულა და ოთხი სამქულიანიც ჩააგდო. ამით მან "ბულზს" გამარჯვება მოუტანა იმის მიუხედავად, რომ "ხარებს" არ ჰყავდათ **დენგი, ჰაინრიხი** და **ბატლერი**.

**21 დეკემბერი**

**ნიუ იორკი-მემფისი 87:95**

22:25, 18:25, 21:22, 26:23

ნ-ი: კ. ენტონი (30), ჯ-ა. სმიტი (16), ჰარდუეი (16).

მ: რენდოლფი (25 + 15 მოხსნა), ტ. ალენი (19), ბეილესი (11), კუფოსი (10), ედ დევისი (10).

**ბოსტონი-ვაშინგტონი 99:106**

30:14, 21:30, 25:30, 23:32

ბ: ბრედლი (26), სალინჯერი (22+11 მოხსნა), ჯეფ გრინი (13), ბასი (11+11 მოხსნა), ჯორ. კროუფორდი (11+8 პასი).

ვ: არიზა (27), უოლი (20+9 პასი), გორტატი (13+11 მოხსნა), სარეფინი (13), ნენე (13).

**შარლოტი-იუტა 85:88**

21:17, 25:25, 20:28, 19:18

შ: კ. უოკერი (20), ე. ჯეფერსონი (19+11 მოხსნა), სეშენსი (13), ჰენდერსონი (12).

ი: ბერკი (20), ფეივორსი (14), რ. ჯეფერსონი (13), ჰეივორდი (12+10 მოხსნა), ბერკსი (11).

**ორლანდო-საკრამენტო 100:105**

31:25, 27:31, 19:19, 23:30

ო: აფლალო (26), ტ. ჰარისი (21), დ. ნელსონი (13), ოლადიპო (12), გ. დევისი (10).

ს: გეი (23), ა. ტომასი (23), ტორნტონი (15), კაზინსი (14+11 მოხსნა), დ. ტომპსონი (11).

**დეტროიტი-ჰიუსტონი 97:114**

24:33, 29:28, 18:25, 26:28

დ: დ. სმიტი (19), სინგლერი (12), ბაინუმი (11), მონრო (10+11 მოხსნა).

ჰ: დ. ჰოვარდი (35+19 მოხსნა), პარსონსი (20), გარსია (16), კასპი (13), ბრუქსი (10), ბევერლი (10).

**მილუოკი-ფილადელფია 116:106**

29:23, 30:26, 26:23, 31:34

მ: მიდლტონი (27), ბატლერი (22+11 მოხსნა), ნაითი (21), რადულიცა (14), ადეტოკუნბო (12).

ფ: ტ. იანგი (30+10 მოხსნა), ჰეიესი (25+11 მოხსნა), კარტერ-უილიამსი (19+12 პასი), ე. ტერნერი (10).

**ჩიკაგო-კლივლენდი 100:84**

33:26, 27:17, 21:22, 19:19

ჩ: ბუზერი (19), ოგასტინი (18+10 პასი), სნელი (17), ტ. გიბსონი (15), ნოა (11+18 მოხსნა), დანლივი (11).

კ: ბაინუმი (19), ირვინგი (14), ჯეკი (11), დელავედოვა (10), ტ. ტომპსონი (10).

**სან ანტონიო-ოკლაჰომა 100:113**

21:21, 29:40, 26:24, 24:28

ს-ა: პარკერი (23), დანკანი (17+10 მოხსნა), ბელინელი (17), დიაო (14), ჯინობილი (11).

ო: უესტბრუკი (31), რ. ჯექსონი (21), დურანტი (17), იბაკა (14+14 მოხსნა).

**ფინიქსი-დალასი 123:108**

38:25, 25:33, 28:24, 32:26

ფ: ბლედსოუ (25), ჯ. გრინი (22), ფრაი (18), ტაკერი (16), დრაგიჩი (13).

დ: ნოვიცკი (21), რაიტი (19), ელისი (19), კარტერი (14), მერიონი (10).

**პორტლენდი-ნ. ორლეანი 110:107**

21:26, 31:27, 31:25, 27:29

პ: ლილარდი (29), მეტიუზი (18), ოლადიპო (18), რ. ლოპესი (14), ბატუმი (11).

ნ-ო: ტ. ევანსი (21), ე. დევისი (21), რ. ანდერსონი (18), ე. გორდონი (18), ჰოლიდეი (13).

**გ. სტეიტი-ლეიკერსი 102:83**

27:26, 19:16, 26:15, 30:26

გ-ს: დ. ლი (19), კარი (18), კ. ტომპსონი (17), ბოგუტი (12), სპეიტსი (10).

ლ: ნ. იანგი (20), ჰილი (14), მიქსი (13), ჰენრი (13), კამანი (10).

**ქლიპერსი-დენვერი 112:91**

28:18, 28:25, 23:17, 33:31

ქ: ჯ. კროუფორდი (27), ბ. გრიფინი (24+16 მოხსნა).

დ: უ. ჩენდლერი (19), მოზგოვი (15+9 მოხსნა).



პარკერს უესტბრუკმა აჯობა



კობის მემფისთან შეხვედრა საბედისწერო აღმოჩნდა

# კობის თვე-ნახევარი

ექვსი მატჩი ჩაატარა რვათვიანი პაუზის შემდეგ დაბრუნებულმა **კობი ბრაიანტმა** და ისევ იძულებით დასვენება მოუწევს. "მემფისთან" მატჩში "ლეიკერსის" ლიდერმა მარცხენა მუხლის ერთ-ერთი ძვალი გაიტეხა და როგორც სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, დაახლოებით ექვსი კვირა ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას.

*"კობისთვის ეს ნამდვილი უბედურებაა, რადგან ძალიან მონდომებით მუშაობდა იმისთვის, რომ მოედანზე დაბრუნებულიყო,* - განაცხადა კალიფორნიული კლუბის მთავარმა მწვრთნელმა **მაიკ დ'ენტონიმ**. - *ახლა, ქსავიე ჰენრის მოუწევს ბრაიანტის პოზიციაზე თამაში ჯოდი მიქსთან ერთად, რადგან ძალიან შეზღუდულები ვართ ტაქტიკურ ვარიანტებში".*

მოედანზე დაბრუნების შემდეგ, ბრაიანტს ხშირად გამთამაშებლის პოზიციაზე უწევდა თამაში, რადგან "ლეიკერსს" ამ ამპლუის სამი მოთამაშე ჰყავს ტრავმირებული - **სტივ ნეში, სტივ ბლეიკი** და **ჯორდან ფარმარი**.

## ლოპესმა სეზონი დაასრულა

"ბრუკლინ ნეტსის" ხელმძღვანელობამ დაადასტურა, რომ სეზონის ბოლომდე ვერ შეძლებს თამაშს ძირითადი ცენტრი **ბრუკ ლოპესი**, რომელიც წელს, საშუალოდ, 20.7 ქულასა და 6.0 მოხსნას აგროვებდა. როგორც კლუბის ოფიციალური ვებგვერდი წერს, 25 წლის კალათბურთელმა მარჯვენა ტერფის ძვალი მოიტეხა.

ლოპესმა ეს დაზიანება "ფილადელფიასთან" მატჩის მეოთხე მეოთხედში მიიღო, როცა ფარიდან ასხლეტილი ბურთისთვის ბრძოლაში შეეჯახა **ტადეუშ იანგს**. საბოლოო ჯამში, ეს გახლავთ იმ ტრავმის რეციდივი, რომელიც ბრუკმა 2011-12 წლების სეზონში მიიღო და ბევრი დრო გაუცდა.

## აჟინკა NBA-ში დაბრუნდა

საფრანგეთის "სტრასბურის" ცენტრი **ალექსის აჟინკა** "ნიუ ორლეანის" მოთამაშე გახდა. კონტრაქტის თანახმად, კალათბურთელი სეზონში 575 ათას დოლარს მიიღებს, მისი სათამაშო ნომერი კი "12" იქნება. შეგახსენებთ, რომ აჟინკა 2008 წლის დრაფტზე "შარლოტმა" აირჩია, მაგრამ ცენტრმა ლიგაში დამკვიდრება ვერ შეძლო და ევროპაში დაბრუნდა.

მიმდინარე სეზონში, საფრანგეთის ჩემპიონატში აჟინკა საშუალოდ 17.1 ქულასა და 5.4 მოხსნას აგროვებდა. ის აგრეთვე ევროპის ჩემპიონი გახდა საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## სამთო თხილამურები. მსოფლიოს თასი


ლინდსი ვონი და ტაიგერ ვუდსი

# მოულოდნელი სწრაფდაშვება

### ლინდსი ვონს მორიგი პაუზა აქვს

ქალებს შორის სამთო თხილამურებში მსოფლიოს თასის გათამაშება საფრანგეთის კურორტ ვალ დ'იზერში გაგრძელდა და სწრაფდაშვებაში მოულოდნელობა მოხდა. 27 წლის **მარიან კაუფმან-აბდერჰალდენმა** ტრასის ბოლო ნაწილის ბრწყინვალედ გავლის შემდეგ შეძლო პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე ასვლა. 27 წლის მოთხილამურემ დაამარცხდა სლოვენიელი **ტინა მაზე** და ავსტრიელი **კორნელა ჰიუტერი**, რომლებთანაც დისტანციის დიდი ნაწილი აგებდა. წელს კაუფმან-აბდერჰალდენმა ერთხელ უკვე შეძლო სწრაფდაშვებაში პოდიუმზე ასვლა - ეს კანადის ლეიკ-ლუისში მოხდა.

მეოთხე ადგილი დაიკავა ლიხტენშტაინის წარმომადგენელმა **ტინა ვაირატერმა**, რითაც მან ლიდერობა მოიპოვა გენერალურ კლასიფიკაციაში.

■ ■ ■

ამერიკელი ვარსკვლავის **ლინდსი ვონისთვის** ფრანგული ეტაპი მხოლოდ მეოთხე სტარტი იყო სპორტში დაბრუნების შემდეგ, მაგრამ შაბათის სწრაფდაშვებამ აჩვენა, რომ ის შორს არის სრულად გამოჯანმრთელებისგან. ერთ-ერთი ვირაჟის დროს, ტრავმირებულმა მუხლმა ისევ შეახსენა თავი, რის გამოც, ამერიკელი იძულებული გახდა, მიეტოვებინა ტრასა თავისი შეყვარებულის, ამერიკელი **ტაიგერ ვუდსის** თვალწინ.

ასე რომ, ლინდსი ისევ იღებს იძულებით პაუზას, თუმცა მან ეტაპის დასრულების შემდეგ დარწმუნებით განაცხადა, რომ მუხლის ტრავმა ხელს არ შეუშლის სოჭში გამოსვლას.

*"ახლა, ჩემს ორგანიზმს დასვენების საშუალებას მივცემ. ოლიმპადამდე ერთ, მაქსიმუმ ორ რბოლაში მივიღებ მონაწილეობას"*, - განაცხადა ამერიკელმა.

# კანადური ტრიუმფი იტალიაში

მამაკაცი მოთხილამურეები იტალიაში, კურორტ ვალ გარდენაში შეიკრიბნენ. შარშან, იქაურ ტრასაზე სწრაფდაშვებაში თითქმის გარანტირებული გამარჯვება გაუშვა ხელიდან კანადელმა **ერიკ გუეიმ**, მაგრამ წელს მას კონკურენცია ვერავინ გაუწია და ჩრდილოამერიკელმა კარიერაში მსოფლიოს თასის მეოთხე ეტაპი მოიგო.

კანადელმა თავისი ცდა არც ისე სწრაფად დაიწყო და მეოთხე საშუალედო ფინიშზე მხოლოდ მეცხრე დრო ჰქონდა, მაგრამ გუეიმ ბრწყინვალედ განვლო ტრასის მეორე ნაწილი: ბოლოსწინა საშუალედო ფინიშზე მხოლოდ ნორვეგიელ **ჩეტილ იანსრუდთან** აგებდა, ბოლოს კი მასაც გაუსწრო 12 მეასედი წამით.

ნორვეგიელი **აქსელ ლუნდ სვინდალი** მეოთხე ადგილზე გავიდა და ახლა ის გენერალურ კლასიფიკაციაში 175 ქულით უსწრებს უახლოეს კონკურენტს.

■ ■ ■

ამასობაში, გაირკვა, რომ არ გაიმართება მსოფლიოს თასის ეტაპი გერმანიის ქალაქ მიუნხენში, რომელიც პირველ იანვარს იყო დაგეგმილი. სტარტის გაუქმების მიზეზი გახდა თბილი და მშრალი ამინდი.

ასევე გამოცხადდა, რომ ამ ეტაპს სხვა დროს არ გადაიტანენ და მისი გამართვა 2013-14 წლებში არ იგეგმება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ერიკ გუეი

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

### 20 დეკემბერი

**ნიუ ჯერსი-ანაჰაიმი 2:3 (ო)**

0:0, 1:1, 1:1, 0:1

**გოლები:** 1:0 რაიდერი-10 (ენრიკე-8), 1:1 ფაულერი-4 (ლავჯოი-6, სელიანე-6), 1:2 მ. პერო-6 (პალმიერი-6, სელიანე-7), 2:2 ე. გრინი-5 (იაგრი-18, ზეიჯაკი-9), 2:3 პალმიერი-5 (მ. პერო-12, ფაულერი-17).

**რეინჯერსი-აილენდერსი 3:5**

1:2, 2:1, 0:2

**გოლები:** 0:1 კლატერბეკი-4 (ბელიტი), 0:2 გრაბნერი-3, 1:2 პულიო-4 (კრაიდერი-11, ბრასარი-10), 2:2 დორსეტი-3 (დ. მური-3, სტრალმანი-4), 3:2 სტეპანი-7 (რიკ ნეში-7, ცუკარელო-17), 3:3 სტრეიტი-1 (ბეილი-7, სტროუმი-1), 3:4 ვანეკი-11 (ოკსპო-20, ენდრიუ მაკდონალდი-10), 3:5 გრაბნერი-4 (ნილსენი-16, ჰამონიკი-6).

**კაროლინა-ვაშინგტონი 2:4**

1:0, 1:3, 0:1

**გოლები:** 1:0 ჯ. სტაალი-8 (სიომინი-7, ფოლკი-13), 1:1 მ. იოჰანსონი-5 (ბექსტრიომი-30, ოვეჩკინი-11), 1:2 ჯ. კარლსონი-7 (ბექსტრიომი-31, ბროუერი-7), 2:2 რაილი ნეში-4 (სეკერა-13, გერბე-8), 2:3 ბროუერი-7 (მაიკ გრინი-15, ბექსტრიომი-32), 2:4 ოვეჩკინი-29 (ბექსტრიომი-33, ერატი-11).

**ჩიკაგო-ვანკუვერი 2:3 (ბ)**

1:0, 1:1, 0:1, 0:0, 1:2

**გოლები:** 1:0 ვერსტიგი-7 (პ. კეინი-27, ჰანზუსი-5), 2:0 პ. კეინი-21 (როჟსივალი-4, ოდუია-8), 2:1 კასიანი-7 (გარისონი-19), 2:2 დ. სედინი-12 (ბიეკსა-13, ჰ. სედინი-24).

**ბულიტები გაიტანეს:** სანტორელი (ვანკუვერი), შარპი (ჩიკაგო), კესლერი (ვანკუვერი).

**ვინიპეგი-ფლორიდა 5:2**

3:1, 2:1, 0:0

**გოლები:** 0:1 მატიასი-4, 1:1 ტროუბა-2 (შაიფელი-10, ე. კეინი-9), 2:1 ენსტრიომი-3 (ო. იოკინენი-14, ბაფლინი-19), 3:1 ველერი-12 (ბოგოსიანი-4, ტროუბა-6), 4:1 ე. კეინი-9 (ფროლიკი-12, შაიფელი-11), 4:2 ბოუგსტადი-7, 5:2 ფროლიკი-9 (ლედი-16, ბაფლინი-20).

### 21 დეკემბერი

**პიტსბურგი-კალგარი 4:3**

2:0, 2:2, 0:1

**გოლები:** 1:0 დუპუი-7 (კროსბი-33, კუნიტცი-18), 2:0 ზოლნიერჩიკი-1 (ბორტუცო-2, ჯ. ნილი-12), 2:1 ბირონი-2 (კოლბორნი-6, ბატლერი-6), 3:1 კროსბი-20 (კუნიტცი-19, დესპრე-4), 4:1 ნისკანენი-3 (კროსბი-34, ბორტუცო-3), 4:2 კამალერი-11 (ჯორდანო-11), 4:3 ჰუდლერი-10 (სტაიანი-10, ბროდი-9).

**ოტავა-ფინიქსი 3:4 (ო)**

1:0, 2:2, 0:1, 0:2

**გოლები:** 1:0 ტარისი-8 (მეტოტი-7, რაიანი-17), 2:0 ზ. სმითი-6 (გრიბა-3), 2:1 ვერმეტი-10 (კორპიკოსკი-4, ბოდკერი-13), 2:2 ვრბატა-10 (ჰანზალი-15), 3:2 მეტოტი-3 (მ. მიხალეკი-11), 3:3 ვერმეტი-11 (მოსი-9, ბოდკერი-14), 3:4 ვერმეტი-12 (მორისი-10).

**ლოს ანჯელესი-კოლორადო 3:2 (ბ)**

1:0, 1:1, 0:1, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ჯ. კარტერი-11 (დაუტი-13, კოპიტარი- 19), 2:0 ჯასტინ უილიამსი- 12 (სტოლი-9, დ. ბრაუნი-6), 2:1 ე. ჯონსონი-5 (დუშენი-16, რ. ო'რაილი-11), 2:2 რ. ო'რაილი-12 (დუშენი-17, ბერი-5).

**ბულიტები გაიტანეს:** კოპიტარი (ლოს ანჯელესი).

**ბოსტონი-ბაფალო 4:1**

1:1, 1:0, 2:0

**გოლები:** 1:0 რ. სმითი-10 (სოდერბერგი-12, სპუნერი-4), 1:1 გირგენსონსი-4 (მოულსონი-11, ტალინდერი-4), 2:1 კრეიჩი-7 (იგინლა-14), 3:1 ლუჩიჩი-12 (კრეიჩი-24, ხარა-7), 4:1 რ. სმითი-11 (ბოიჩაკი-8, ჰ. ბერგერონი-10).

**ტორონტო-დეტროიტი 4:5 (ბ)**

1:3, 2:0, 1:1, 0:0, 0:2

**გოლები:** 1:0 ფრანსონი-2, 1:1 დაციუკი-14 (მიეჰანი-1, დეკეისერი-8), 1:2 ჟ. ანდერსონი-6 (ალფრედსონი-19, ბ. სმითი-6), 1:3 იურკო-2 (მიეჰანი-2, ტუტუ-1), 2:3 ფანოფი-3 (ლუპული-10), 3:3 ლუპული-11 (კესელი-16, ვან რიმსდიკი-13), 4:3 კლარკსონი-3 (მაკლემანი-4, კულემინი-6), 4:4 ტატარი-7 (იურკო-1, კრონვალი-21).

**ბულიტები გაიტანეს:** ალფრედსონი (დეტროიტი), დაციუკი (დეტროიტი).

**ტამპა ბეი-კაროლინა 3:2 (ო)**

1:1, 0:1, 1:0, 1:0

**ბულიტები გაიტანეს:** 0:1 ტლუსტი-5 (დუაიერი-5, რაილი ნეში-5), 1:1 პედმანი-7 (ფილპულა-13, კილორნი-12), 1:2 ტლუსტი-6 (ე. სტაალი-20, ჰეინსი-6), 2:2 სან ლუი-15 (ჰედმანი-11, ფილპულა-14), 3:2 გუდასი-2 (ნ. ტომპსონი-5).

**აილენდერსი-ანაჰაიმი 3:5**

1:0, 2:1, 0:4

**გოლები:** 1:0 ვანეკი-12 (ოკსპო-21, ენდრიუ მაკდონალდი-11), 1:1 გეტცლაფი-17 (პერი-16, პალმიერი-7), 2:1 ვანეკი-13, 3:1 ნილსენი-12 (ბეილი-8, ჰიკი-5), 3:2 გეტცლაფი-18 (პერი-17, ალენი-7), 3:3 მ. პერო-7 (ვინიკი-15, ბელეკსი-4), 3:4 პალმიერი-6 (გეტცლაფი-24), 3:5 გეტცლაფი-19 (პერი-18, ლავჯოი-7).

**ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი 4:5 (ო)**

0:1, 3:0, 1:3, 0:1

**გოლები:** 0:1 ჟიდლიცკი-4 (ე. გრინი-13, იაგრი-19), 1:1 ჩიმერა-7 (ერატი-12, ჯ. უორდი-11), 2:1 გრაბოვსკი-10 (ფერი-9, ბროუერი-8), 3:1 ჯ. უორდი-11 (მაიკ გრინი-16, ერატი-13), 3:2 იაგრი-13 (ე. გრინი-14, ელიაში-16), 4:2 ოვეჩკინი-30 (ელზნერი-6), 4:3 ჟიდლიცკი-5 (ზეიჯაკი-10, ზუბრუსი-11), 4:4 ზუბრუსი-8 (ზეიჯაკი-11), 4:5 ე. გრინი-6 (იაგრი-20, ელიაში-17).

**კოლამბუსი-ფილადელფია 6:3**

1:0, 1:2, 4:1

**გოლები:** 1:0 რ. იოჰანსენი-13 (ნ. ფოლინო-10, გაბორიკი-7), 2:0 უმბერგერი-9 (ვიშნიევსკი-17, მიურეი-6), 2:1 სიმონდსი-7 (გირო-22, ჰარტნელი-8), 2:2 კუტურიე-7 (როდი-8, ლეკავალიე-6), 3:2 სავარი-2 (ნიკიტინი-7, ტროპი-3), 4:2 ჯენერი-4 (ნიკიტინი-8, სავარი-8), 5:2 რ. იოჰანსენი-14 (ტროპი-4, ტოუტონი-11), 5:3 სიმონდსი-8 (ვორაჩეკი-14, შტრაიტი-13), 6:3 უმბერგერი-10 (ანისიმოვი-7, ჯ. ჯონსონი-7).

**ნეშვილი-მონრეალი 3:4 (ო)**

0:3, 2:0, 1:0, 0:1

**გოლები:** 0:1 საბენი-5 (ელერი-10), 0:2 პასიორეტი-15 (გალაჰერი-8, ემელინი-4), 0:3 პლეკანეცი-12 (ბ. ჯონტა-14), 1:3 გ. ბურკი-5 (კულენი-11, სტალბერგი-7), 2:3 სპალინგი-6 (შ. უებერი-11, კ. სმიტი-11), 3:3 შ. უებერი-9 (ფიშერი-6, ჰორნკვისტი-11), 3:4 დეშარნე-4.

**ედმონტონი-სტ ლუისი 0:6**

0:1, 0:1, 0:4

**გოლები:** 0:1 კ. სტიუარტი-11 (შვარცი-15), 0:2 მოროუ-6 (კ. სტიუარტი-8, როი-18), 0:3 კ. სტიუარტი-12 (ბერგლუნდი-10, ჯეკმანი-7), 0:4 შვარცი-10 (ოში-26), 0:5 კ. სტიუარტი-13 (როი-19, შატენკირკი-21), 0:6 ბერგლუნდი-3 (პიეტრანჯელო-18, პაიარვი-1).

**სან ხოსე-დალასი 3:2 (ბ)**

0:1, 1:1, 1:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 0:1 რეი უიტნი-4 (ჰორკოფი-8), 0:2 რუსელი-8 (გოლიგოსკი-9, ჩიასონი-11), 1:2 დემერსი-1 (ტაილერ კენედი-9, დებარდენი-6), 2:2 პაველსკი-14 (ჯ. ტორნტონი-32, ვლასიჩი-10).

**ბულიტები გაიტანეს:** ჯ. ტორნტონი (სან ხოსე).

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ინგლისი — კონფერენსი

| | |
|---|---|
| ალდერშოტი-ტამუორტი | 6:0 |
| ალფრეტონი-დარტფორდი | 2:1 |
| ჩესტერი-ლინკოლნი | 3:3 |
| ჰალიფაქსი-ფორესტ გრინი | 1:0 |
| ჰერეფორდი-კემბრიჯი | 1:0 |
| ჰაიდი-ბარნეტი | 0:1 |
| ლუტონი-გეიტშიდი | 4:2 |
| ნანიტონი-უოკინგი | 0:2 |
| სალისბერი-საუთპორტი | 1:1 |
| უელინგი-რექსჰემი | 1:1 |

#### საფრანგეთი — II დივიზიონი

| | |
|---|---|
| არლი-ტური | 1:0 |
| მეცი-ტრუა | 1:0 |

#### ჰოლანდია — II დივიზიონი

| | |
|---|---|
| აიაქსი II-მაასტრიხტი | 3:1 |
| გრააფსხაპი-ჰელმონდი | 1:2 |
| ტვენტე II-ახილესი | 4:0 |
| ვილემი-ექსელსიორი | 0:1 |
| დენ ბოში-ემენი | 4:3 |
| ვოლენდამი-ფორტუნა | 2:1 |

#### ბელგია

| | |
|---|---|
| შარლერუა-მონსი | 0:2 |
| ვარეგემი-ოსტენდე | 2:2 |
| ლოკერენი-ლოივენი | 2:0 |
| მეხელენი-კორტრიიკი | 5:2 |
| ვაასლანდი-ლიერსი | 3:1 |
| სერკლი-გენკი | 1:0 |
| გენტი-ბრიუგე | 1:3 |
| სტანდარდი-ანდერლეხტი | 1:1 |

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ჰოოგსტრატენი-ვიზე | 1:1 |

#### პორტუგალია — II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ბენფიკა B-ტროფენსე | 5:0 |
| მადეირა-ავეში | 1:0 |
| ტონდელა-ბრაგა B | 2:1 |
| შავეში-სანტა კლარა | 1:0 |
| ფარენსე-პორტიმონენსე | 2:1 |
| ფეირენსე-ლეიქსოეში | 2:1 |
| ოლივეირენსე-პენაფიელი | 0:0 |
| კოვილია-მარიტიმუ B | 1:0 |
| სპორტინგი B-ატლეტიკო | 3:0 |
| ვიზეუ-მორეირენსე | 0:2 |
| პორტუ B-ბეირა მარი | 1:0 |

#### შოტლანდია — ჩემპიონშიპი

| | |
|---|---|
| ალოა-დანდი | 0:1 |
| დამბარტონი-ჰემილტონი | 2:1 |
| მორტონი-ფალკირკი | 0:2 |
| ქუინი-ლივინგსტონი | 2:2 |
| რეითი-კოუდენბითი | 3:3 |

#### I ლიგა

| | |
|---|---|
| არბროა-დანფერმლაინი | 0:3 |
| ისტ ფაიფი-ბრეჩინი | 1:3 |
| ფორფარი-ეირი | 0:1 |
| სტენჰაუზმური-ეირდრი | 1:1 |

#### II ლიგა

| | |
|---|---|
| პიტერჰედი-სტირლინგი | 3:1 |
| კლაიდი-ალბიონი | 2:2 |
| ელჯინი-ისტ სტირლინგი | 0:1 |
| ქუინზ პარკი-ბერუიკი | 0:4 |

#### კვიპროსი

| | |
|---|---|
| ომონია-ანორთოსისი | 3:2 |
| არისი-ალკი | 0:0 |
| ერმისი-აპოლონი | 0:0 |
| ენოსისი-აპოელ | 0:3 |
| აეკ-კუკლიონი | 3:1 |
| აელ-ეთნიკოსი | 3:1 |

#### საბერძნეთი

| | |
|---|---|
| ოფი-პანაიტოლიკოსი | 2:1 |
| ატრომიტოსი-პანთრაკიკოსი | 3:1 |
| აპოლონი-ოლიმპიაკოსი | 0:5 |
| პაოკ-ლევადია | 3:0 |
| ასტერასი-ვერია | 0:0 |
| კალონი-ერგოტელისი | 0:0 |
| პლატანიასი-პანიონიოსი | 1:0 |
| პანათინაიკოსი-ქსანთი | 2:1 |

#### ჩრ. ირლანდია

| | |
|---|---|
| არდსი-გლენტორანი | 0:0 |
| ბალიმენა-კრუზეიდერსი | 1:0 |
| კლიფტონვილი-ბალინამალარდი | 1:0 |
| კოლრეინი-დუნგანონი | 0:2 |
| ლინფილდი-პორტდაუნი | 3:2 |

#### თურქეთი — II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ანკარასფორი-ორდუ | 4:0 |
| შანლიურფა-მერსინი | 2:3 |
| 1461 ტრაბზონი-ბუიუქშეჰირი | 2:3 |
| ბალიქესირი-ქაჰრამანმარა | 3:1 |
| ბოლუ-ფეთჰიე | 1:1 |
| სამსუნი-მანიშა | 2:1 |
| ბუკა-ქარსიაქა | 1:0 |
| გაზიანთეფი ბბ-თავშანლი | 2:1 |

#### უელსი

| | |
|---|---|
| ბანგორი-აფან ლიდო | 1:0 |
| რილი-კარმარტენი | 2:0 |
| ნიუთაუნი-ეირბასი | 2:2 |

#### ისრაელი

| | |
|---|---|
| აშდოდი-ბნეი იეჰუდა | 1:0 |
| ჰაპოელი (ჰ)-ირონი (რ-ჰ) | 3:0 |
| მაკაბი (ფ-ა)-ჰაპოელი (რ) | 1:0 |
| ბნეი შაჰნინი-ჰაპოელი (თ-ა) | 4:0 |
| მაკაბი (თ-ა)-ჰაპოელი (ი-ა) | 5:0 |
| ირონი (ქ-შ)-მაკაბი (ჰ) | 2:1 |

#### რუმინეთი

| | |
|---|---|
| ასტრა-სტიაუა | 1:1 |
| რაპიდი-ვიიტორული | 1:2 |

#### ბოლივია

| | |
|---|---|
| ნასიონალი-ბოლივარი | 1:0 |
| სპორტ ბოისი-უნივერსიტარიო | 0:0 |
| სტრონგესტი-რეალ პოტოსი | 3:0 |

#### ავსტრალია

| | |
|---|---|
| მელბურნ ჰ-მელბურნ ვ | 1:3 |
| ველინგტონი-სიდნეი | 1:0 |
| პერტი-ადელაიდა | 0:0 |

#### ს. აფრიკა

| | |
|---|---|
| ფრი სტეიტი-მოროკა | 2:2 |
| პოლოკვანე-სუპერსპორტი | 1:1 |
| აიაქსი-პლატინუმი | 0:2 |
| ბიდვესტი-ბლუმფონტეინი | 3:1 |
| ამაზულუ-კაიზერ ჩიფსი | 1:4 |
| ორლანდო-ლამონტვილი | 3:1 |
| უნივერსიტი-მაუმალანგა | 2:0 |

### კალათბურთი

#### ადრიატიკის ლიგა

| | |
|---|---|
| ოლიმპია-ზადარი | 90:66 |
| ცედევიტა-პარტიზანი | 68:65 |

#### გერმანია

| | |
|---|---|
| ბამბერგი-ჰაგენი | 104:93 |
| ტრირი-ბაიერნი | 69:76 |
| არტლანდი-ბაიროიტი | 84:83 |

#### ესპანეთი

| | |
|---|---|
| ბილბაო-კახა ლაბორალი | 96:92 (ო) |
| სარაგოსა-გიპუსკოა | 67:92 |
| ფუენლაბრადა-ბარსელონა | 73:77 |
| ესტუდიანტესი-კახასოლი | 58:61 |
| გრან კანარია-ხუვენტუდი | 89:82 (ო) |
| ვალენსია-რეალი | 75:82 |

#### იტალია

| | |
|---|---|
| კრემონა-სკავოლინი | 80:82 |
| ბოლონია-აველინო | 74:78 |
| კაზერტა-ვარეზე | 86:80 |
| პისტოია-ვენეცია | 81:62 |
| რომა-რეჯო ემილია | 72:67 |
| ბრინდიზი-მონტეგრანარო | 76:80 |
| სასარი-მონტეპასკი | 60:62 |

#### ლიტვა

| | |
|---|---|
| ლ. რიტასი-ჟალგირისი | 90:58 |

#### თურქეთი

| | |
|---|---|
| ფენერბაჰჩე-პინარი | 66:76 |
| ბანვითი-კოლეჯილილერი | 95:71 |
| გალათასარაი-ტრაბზონი | 87:81 |

#### საფრანგეთი

| | |
|---|---|
| ნანტი-როანი | 79:72 |
| პო ორტეზი-ანტიბი | 81:72 |

### ხელბურთი

#### მს. ჩემპიონატი — ქალები. III ადგილი

| | |
|---|---|
| დანია-პოლონეთი | 30:26 |

#### ფინალი

| | |
|---|---|
| ბრაზილია-სერბეთი | 22:20 |

### ჰოკეი

#### ევროტური

| | |
|---|---|
| რუსეთი-ჩეხეთი | 1:2 |
| ფინეთი-შვედეთი | 4:2 |

#### ავსტრია

| | |
|---|---|
| ფეჰერვარი-ბოლცანო | 3:7 |
| ინსბრუკი-ლინცი | 3:4 (ო) |
| ოლიმპია-გრაცი | 4:1 |
| ზალცბურგი-ვენა | 2:1 |

#### გერმანია

| | |
|---|---|
| კიოლნი-ნიურნბერგი | 2:1 (ო) |
| მანჰაიმი-აუგსბურგი | 7:0 |
| სტრაუბინგი-კრეფელდი | 2:4 |
| მიუნხენი-დიუსელდორფი | 5:2 |
| შვენინგერი-იზერლონი | 4:3 (ო) |
| ინგოლშტადტი-ჰამბურგი | 3:2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცურვა

# ფელპსის დაბრუნება გადაწყვეტილია

ეჭვი ალარავის ეპარება იმაში, რომ 28 წლის ლეგენდარული ამერიკელი მოცურავე **მაიკლ ფელპსი** პროფესიულ კარიერას განაახლებს.


მაიკლ ფელპსი

ამის შესახებ პრესას აცნობა ცნობილმა რუსმა მოცურავემ **ნიკიტა ლობინცევმა**, რომელმაც მოსკოვში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე 100 და 400 მეტრზე თავისუფალი სტილით დისტანციები მოიგო.

*"ფელპსის დაბრუნება შემდგარ ფაქტად შეიძლება მივიჩნიოთ. მაიკლმა განაახლა ვარჯიშები, დაბრუნდა თავის პირველ მწვრთნელთან და 2014 წლის ზაფხულში გამოვა ოფიციალურ ტურნირებში, - ამბობს ლობინცევი. - ფელპსი კიდევ გვიჩვენებს თავის მაღალ კლასს. და მისი დაბრუნებით, სხვებსაც გაუჩნდებათ სტიმული. მაიკლთან კონკურენცია - შესანიშნავია".*

შეგახსენებთ, რომ ამერიკელმა ლონდონის ოლიმპიადის შემდეგ დაასრულა კარიერა. ის გახლავთ ერთადერთი სპორტსმენი ისტორიაში, ვისაც 18 ოლიმპიური ოქრო აქვს მოგებული, მას აგრეთვე ყველაზე მეტი ოლიმპიური მედალი აქვს (22) და ერთ ოლიმპიადაზეც ყველაზე მეტი ოქრო (8) მიუღია.

ოლიმპიზმი. სოჭი 2014


დევიდ კემერონი სოჭში არ მიდის

# მორიგი უარი სოჭს

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი **დევიდ კემერონი** არ აპირებს სოჭის ოლიმპიურ თამაშებზე დასწრებას. ამით, კემერონი მიბაძავს აშშ-ს, გერმანიის, საფრანგეთის და სხვა ძლიერი ქვეყნების ხელმძღვანელებს, რომლებიც არ ჩავლენ რუსეთში, თუმცა ამ შემთხვევაშიც ხაზი გაესვა იმას, რომ კემერონის უარი არ უკავშირდება რუსეთში მიღებულ კანონს ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის აკრძალვის თაობაზე.

*„პრემიერს სჯერა ურთიერთგაგების პოლიტიკის. მას არ მიაჩნია, რომ ბოიკოტებითა და ფართო ჟესტებით შეიძლება რაიმეს მიღწევა"*, - განაცხადა კემერონის ერთ-ერთმა თანაშემწემ.

ბრიტანეთის მთავრობაში აღნიშნავენ, რომ სოჭში გასამგზავრებელი დელეგაციის შემადგენლობაში იქნება კულტურის მინისტრი. მიუხედავად ამისა, დელეგაციის საბოლოო სია დადგენილი არ არის.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ფორმულა 1

# ზაუბერში რუსს მექსიკელი ამჯობინეს

მექსიკელმა პილოტმა **ესტებან გუტიერესმა** შეინარჩუნა "ზაუბერში" საპრიზო პილოტის სტატუსი. ამით შვეიცარიული საჯინიბოს შემადგენლობა 2014 წლისთვის დაკომპლექტებულია. შეგახსენებთ, რომ "ზაუბერმა" ადრე მოაწერა ხელი გერმანელ **ადრიან სუტილთან** კონტრაქტს.

თავდაპირველი ინფორმაციით, გუნდში არ სურდათ გუტიერესთან ურთიერთობის გაგრძელება, მით უმეტეს, რომ მექსიკელის სასპონსორო კონტრაქტები ამოიწურა. მის ადგილზე მთავარ პრეტენდენტებად **გიდო ვან დერ გარდე** და **სერგეი სიროტკინი** მიიჩნეოდნენ, მაგრამ ახლა "ზაუბერში" ოფიციალურად დაადასტურეს, რომ 22 წლის პილოტი სუტილის პარტნიორი იქნება. რაც შეეხება რუს სიროტკინს, მას ტესტ-პილოტის როლით დაკმაყოფილება მოუწევს.

*"მოხარული ვარ, რომ შემიძლია კარიერა "ზაუბერში" გავაგრძელო. გასული სეზონი გამოცდილების მიღების რთულ პროცესს დაეთმო, მაგრამ გუნდთან მჭიდრო თანამშრომლობამ სტაბილური პროგრესი მომიტანა. "ზაუბერში" ჩემთვის მეოთხე სეზონი დაიწყება, საპრიზო პილოტი კი ზედიზედ მეორე წელი ვიქნები და კარიერაში ახალი ნაბიჯის წინ, თავს საკმაოდ კომფორტულად ვგრძნობ"*, - განაცხადა ესტებანმა.

*„2014 წელს სერიოზული ცვლილებები გველის ტექნიკურ რეგლამენტში. ამიტომაც, ძალიან მნიშვნელოვანია ახლოს გაიცნო ის ადამიანები, რომლებთანაც მუშაობა მოგიწევს. მაქსიმალურად მოვინდომებ იმისთვის, რომ გავაუმჯობესო საკუთარი შედეგები და დავეხმარო გუნდს განვითარებაში"*, - დაამატა მექსიკელმა.


## გამოიწერეთ გაზეთი "ლელო" და კიდევ ერთი ნებისმიერი პერიოდული გამოცემა 1 წლით და მიიღეთ საჩუქრად წლის ერთ-ერთი ბესტსელერი წიგნი

### პალიტრა მედიის გამოცემები

| დასახელება | ერთეულის ფასი | რაოდენობა 1 წლით | ფასი 1 წლით |
|---|---|---|---|
| გაზეთი "კვირის პალიტრა" | 1,00 | 52 | 52,00 |
| გაზეთი "სიტყვა და საქმე" | 1,00 | 260 | 260,00 |
| გაზეთი "ყველა სიახლე" | 1,00 | 52 | 52,00 |
| ჟურნალი "გზა" | 1,00 | 52 | 52,00 |
| ჟურნალი "რეიტინგი" | 2,00 | 52 | 104,00 |
| ჟურნალი "არსენალი" | 3,00 | 12 | 36,00 |
| ჟურნალი "კარიბჭე" | 1,00 | 26 | 26,00 |
| ჟურნალი "ოჯახის მკურნალი" | 1,50 | 26 | 39,00 |
| ჟურნალი "კარუსელი" | 0,80 | 52 | 41,60 |
| ჟურნალი "საბავშვო კარუსელი" | 1,00 | 52 | 52,00 |
| გაზეთი "ლელო" | 0,80 | 260 | 208,00 |
| ჟურნალი "ლელო" | 1,50 | 52 | 78,00 |
| ჟურნალი "ბომონდი" | 5,00 | 12 | 60,00 |
| ჟურნალი "ლიტერატურული პალიტრა" | 3,00 | 12 | 36,00 |
| ჟურნალი "ავტობილდი" | 3,00 | 12 | 36,00 |
| ჟურნალი "და ქალი" | 2,00 | 12 | 24,00 |
| ჟურნალი "გემრიელი" | 3,00 | 12 | 36,00 |
| ჟურნალი "ისტორიანი" | 2,00 | 12 | 24,00 |
| გაზეთი "Georgian Journal" | 2,00 | 52 | 104,00 |




ბესტსელერები
ჩემი საშობაო საუნჯე
ვეფხისტყაოსანი
დესერტების ოქროს წიგნი
ადამიანის სხეულის ილუსტრირებული ატლასი

ელვა.GE პრესა და წიგნები ადგილზე მიწოდებით, ფასნამატის გარეშე ტელ.: 238 26 73; 238 26 74; 238 26 76 www.elva.ge


ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28), გია ტუხაშვილი (555 50 05 13); მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge; მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად 02:50 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ნიკოლოზ ნეფარიძე
ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608